# საერთო გაზეთი

№11 (364) • 30 მარტი, 2016 წ. • გამოდის ოთხშაბათს • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1.20 ლ.


## ქვეყნისთვის გაკეთებული სიკეთე მზის სინათლესავითაა...



„რას ნიშნავს და საიდან მოდის ეს უმადურობით გაჟღენთილი დასკვნა, რომ ბიძინა ივანიშვილს არაფერი გაუკეთებია ამ ქვეყნისთვის? საიდან მოდის და იქიდან მოდის, რომ ამის მთქმელი ადამიანი, ქართველი, საქართველოს შვილი, თვითონ არ თვლის თავის თავს ამ ქვეყნის განუყოფელ ნაწილად და საქართველოსთვის გაკეთებულ სიკეთეს პირადად მისთვის გაკეთებულ სიკეთედ არ მიიჩნევს“.

კობა არაბული

## ტაძართა ტრაგედია და ქვეყნის ბედისწერა



## ბაგა-ბაღებში დაწყებული საპროტესტო აქციების უკან „ნაციონალები“ დგანან?



გოჩა დგებუაძე

## ე. წ. ოპოზიცია რომ გაიძახის, სად არის შეპირებული ქარხნებიო, მოვიდნენ და ვაჩვენებ ქარხნებს სენაკში!

მამუკა არეშიძე

## ცივილიზაციათა ომი დაიწყო – ისლამური სახელმწიფო ევროპის ანექსიისთვის ემზადება



## „ახალი“ სახეები „ნაცმოძრაობაში“, ანუ გაწელე გარმონი, დაკა დოლი და წავიდააა!



ლევან კოჭლოშვილი

## თუ საჭირო იქნება, აქციებსაც მოვაწყობთ მოთხოვნით – დაბრუნდეს პოლიტიკაში ირაკლი ღარიბაშვილი!

## პატრიოტმა „მაცაცომ“ საქართველო „იხსნა“!



# ქვეყნისთვის გაკეთებული სიკეთე მზის სინათლესავითაა...

**ვახტანგ ხარჩილავა**

***მართლა გულწრფელად ვსვამ ამ კითხვას ყოველგვარი პოლიტიკის გარეშე. ხაზს ვუსვამ ყოველგვარი პოლიტიკის გარეშე !!!***

***ადამიანმა რომელმაც:***

*– ააშენა სამების ტაძარი*

*– გაარემონტა და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვა თსუ-ს 1 კორპუსი.*

*– გაარემონტა კონსერვატორია.*

*– გაარემონტა სამხატვრო აკადემია.*

*– გაარემონტა პირველი კლასიკური გიმნაზია.*

*– აშენებს ტექნოლოგიურ უნივერსიტეტს.*

*– ააშენა ფრანგული სკოლა.*

*– საქართველოში ააშენა და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვა 36 სკოლა.*

*– აღადგინა და რესტავრაცია ჩაუტარა 534 ტაძარს და ძეგლს.*

*(კაცხის მონასტერს, ვარძიას, მცხეთა – სვეტიცხოველი, გერგეტის სამებას და ა.შ.*

*– ჯანსულ კახიძის მუსიკალური ცენტრს ჩაუტარა სრული რეკონსტრუქცია.*

*– ოპერისა და ბალეტის თეატრს სრული რეკონსტრუქცია*

*– თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზს (ფილარმონია).*

*– შოთა რუსთაველის თეატრს სრული რეკონსტრუქცია.*

*– მარჯანიშვილის თეატრს სრული რეკონტრუქცია.*

*– გრიბოედოვის თეატრს სრული რეკონსტრუქცია.*

*–თავისუფალი თეატრის რეკონსტრუქცია.*

*–მოზარდმაყურებელთა თეატრი.*

*–თუმანიშვილის თეატრი.*

*–მარიონეტების თეატრი.*

*– მუსიკისა და დრამის თეატრი.*

*– საქართველოს ეროვნული მუზეუმი.*

*– ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი.*

*– აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმი.*

*– მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმი.*

*– თეატრის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმი*

*– დააფინანსა 20-ზე მეტი მუსიკალური ანსამბლი.*

*– პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.*

*– ბოტანიკური ბაღი.*

*– 2004-2007 წლებში მინისტრების და ა.შ. პირების ხელფასები.*

*– ქართული ჯარის ყაზარმების რემონტი და ხელფასები.*

*– საპატრულო პოლიციის სრული ეკიპირება და დაფინანსება*

***ადამიანმა, რომელმაც ეს ყველაფერი გაუკეთა საკუთარ ქვეყანას ჩვენს საქართველოს და ქართველ ხალხს როგორც, მინიმუმ, იმის ღირსი არ არის, რომ თუნდაც ეს იყოს უბრალო ჰობი და მეტი არაფერი, ერთი ხე, ხაზს ვუსვამ, ერთი ხე მაინც ვაჩუქოთ? როდესაც ადამიანმა, პრაქტიკულად, ისტორია გადაგვირჩინა? აღარაფერს ვამბობ მანიაკალური რეჟიმის დამთავრებაზე და ა.შ. უბრალოდ, წმინდა ადამიანური ფაქტორიდან გამომდინარე, ადამიანი, რომელიც ამდენ რამეს გაუკეთებს ქვეყანას და ხალხს, იმის ღირსი არ არის, რომ, როგორც მინიმუმ, თუნდაც ჰობის გამო და ა.შ. ერთი ხე რაოდენ მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს, უბრალოდ, აჩუქოს ქვეყანამ, როგორც მინიმუმ, მადლობის ნიშნად? არ გრცხვენიათ?“***

აი, ამ შინაარსის სტატუსი გამოაქვეყნა ბატონმა **ოთარ აბესაძემ** სოციალურ ქსელში.

პირადად მეც და „საერთო გაზეთის“ სხვა ავტორებსაც ძალიან ბევრჯერ დაგვისვამს ეს კითხვა?! იმ ადამიანების მისამართით, რომლებსაც ჯიუტად არ სურთ იმ უზარმაზარი მადლისა და სიკეთის დანახვა, რაც ბიძინა ივანიშვილს საქართველოსა და ქართველი ხალხის წინაშე მიუძღვის. არ გრცხვენიათ?!

„ნაცმოძრაობას“ რომ არაფრის რცხვენია, გასაგებია. „რუსთავი–2“–ს და მის ტაკიმასხარებს რომ არაფრის რცხვენიათ, ესეც ცხადია, პოლიტიკოსთა იმ ნაწილს, რომელსაც სხვა ავლადიდება არ აბადია და ივანიშვილის ძაგებით ფიქრობს პოლიტიკური ქულების მოხვეჭას, შუბლის ძარღვი რომ აქვს გაწყვეტილი, ესეც ვიცით, მაგრამ იმ უბრალო მოქალაქეებს რა ჭირთ, რომელთა ერთი ნაწილი საყვედურებს გამოთქვამს ივანიშვილის მისამართით?

სწორედ ამ კითხვაზე სცემდა პასუხს წერილი **„ქართველი კაცი, რომელიც ბიძინა ივანიშვილს უკადრებელს აკადრებს, ან დიდი უნამუსოა, ან დაქირავებული პროვოკატორი“**, რომელიც ამ ერთი წლის წინათ გამოქვეყნდა „საერთო გაზეთში“.

> **„რას ნიშნავს და საიდან მოდის ეს უმადურობით გაჯერებული დასკვნა, რომ ბიძინა ივანიშვილს არაფერი გაუკეთებია? საიდან მოდის და იქიდან მოდის, რომ ამის მთქმელი ადამიანი, ქართველი, საქართველოს შვილი, თვითონ არ თვლის თავის თავს ამ ქვეყნის განუყოფელ ნაწილად და საქართველოსთვის გაკეთებულ სიკეთეს პირადად მისთვის გაკეთებულ სიკეთედ არ მიიჩნევს“.**

გთავაზობთ ფრაგმენტს წერილიდან:

„დროა ისეთი, რომ ყველაფერს ვერ იტყვი და ვერ გაშიფრავ, რადგან ამით შეიძლება საკუთარ თავსაც და ქვეყანასაც ძალიან დიდი ზიანი მიაყენო.

ამიტომაც უნდა ისწავლოს ქართულმა საზოგადოებამ ქვეტექსტის ამოკითხვა და სიტყვებიდან დაშიფრული შინაარსის გამოტანა.

თუ რაღაც ისე ვერ კეთდება, როგორც ჩვენ გვინდა, იმწამსვე საქართველოს ხელისუფლებისაკენ ან ბიძინა ივანიშვილისკენ კი ნუ გავიშვერთ თითს, ცოტა სხვა მიმართულებითაც გავიხედოთ.

ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში მოსვლამდეც, პოლიტიკაში მოსვლის და პოლიტიკიდან წასვლის შემდეგაც, ქართულ საქმეს აკეთებდა და აკეთებდა არა სპონტანურად, არა იმპულსურად, არამედ კარგად გააზრებული და აწონილ-დაწონილი გეგმის მიხედვით.

პერსპექტივაზე გათვლილი ამ გეგმის მასშტაბები, რაც დრო გადის, მით უფრო ცხადი და ნათელი ხდება.

ეს საქართველოს გადარჩენის გეგმაა და, დარწმუნებული ვარ, ის აუცილებლად განხორციელდება ბოლომდე, თუ ჩვენ, ქართველები, არ შევუშლით ხელს ჩვენი სულსწრაფობით და სულმოკლეობით...

* * *

ბოლო ხანებში ხშირად გაიგონებთ ასეთ ფრაზას: – რა გაგვიკეთა ბიძინა ივანიშვილმა? აბა, ერთი თქვით, რა გაგვიკეთა? ამ რიტორიკულ ტონალობაში დასმულ კითხვას კი პასუხსაც თვითონ მოაყოლებენ ხოლმე: რა გაგვიკეთა და არაფერი!

ბიძინა ივანიშვილს იმდენი სიკეთე აქვს ქვეყნისთვის გაკეთებული, ერთ კაცს კი არა ათი ათას კაცს ეყოფა თავის მოსაწონებლად და სამშობლოს წინაშე ვალის პირნათლად მოსახდელად.

მაშინ რას ნიშნავს და საიდან მოდის ეს უმადურობით გაჯერებული დასკვნა, რომ ბიძინა ივანიშვილს არაფერი გაუკეთებია?

საიდან მოდის და იქიდან მოდის, რომ ამის მთქმელი ადამიანი, ქართველი, საქართველოს შვილი, თვითონ არ თვლის თავის თავს ამ ქვეყნის განუყოფელ ნაწილად და საქართველოსთვის გაკეთებულ სიკეთეს პირადად მისთვის გაკეთებულ სიკეთედ არ მიიჩნევს.

აი, ეს ეგოიზმი, ეს სახიფათო ფაქტი საკუთარი თავის სამშობლოსგან განცალკევებულად წარმოჩენისა, ეს გაუცნობიერებელი სეპარატიზმი,



პიროვნებასა და სახელმწიფოს შორის თვითონ პიროვნების მიერ გავლებული მავთულხლართი, არის მიზეზთა მიზეზი ზემოთნახსენები იმ ფრაზის დაბადებისა.

**ქვეყნისთვის გაკეთებული სიკეთე აუცილებლად გადანაწილდება მის თითოეულ მოქალაქეზე, ანუ აუცილებლად მოვა შენამდეც, ისე როგორც მზის სინათლე და სითბო, რომელიც ყველასია, მაგრამ იმავე დროს თითოეული ჩვენგანისაცაა“.**

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# ვის სურს ქართული სახელმწიფო ბორდელად აქციოს?



## ტაძართა ტრაგედია და ქვეყნის ბედისწერა გადაჯაჭვულია

ტაძართა წვა და ნგრევა ერის სულიერი და ზნეობრივი კოლაფსის მაუწყებელია:

თუ არ შეასახლე სული, არ იარსებებს არც მატერია. ყოველი მტერი ერისთვის ზნეობრივი ნიადაგის გამოცლას ცდილობდა. უმორალოდ დარჩენილი რასა კვდება, იღუპება იმპერია...

მეომეათა ლაშქარი, მხედართა კასტა ვერ იბრძოლებს უმორალოდ!

* * *

ტაძართა ტრაგედია და ქვეყნის ბედისწერა გადაჯაჭვულია! ინგრევა ტაძარი, იღუპება ერი!

ტაძარში ვგულისხმობ ზნეობას, ადამიანთა ღირსების დასაბამიერ მორალს.

......

დასაბამითგანვე ქართველი რასის მოდგმას ათასი ჯურის ვერაგი მტერი ჰყავდა დაწყებული სემიტურ-ქამიტური ტომებიდან, დამთავრებული მონღოლურ-ხაზაროიდული ბარბაროსებით...

მაგრამ ყველა მომხვდური არ გვიწვავდა ტაძრებს. მაგალითად, მონღოლები! მეტსაც გეტყვით: მონღოლები აფასებდნენ ქართველთა ღირსებას და რაინდობას.

ჟამთა აღმწერელის ისტორიიდან ვიგებთ, რომ მონღოლებს სძულთ მამათმავალი და მოლოიდი (ჩუმად კაცისმკვლელი) სპარსელი და ყაენი მათი მოწყვეტისკენ მოუწოდებს ნოინებს, მაგრამ მათ არ სძულთ პირდაპირი და რაინდი ქართველი! ისინი გაოგნებული და აღტაცებული არიან ცოტნე დადიანის ქცევით, მისი ღირსებით.

მონღოლმაც იცის, რო მამათმავლობა დასაძრიხი უზნეობაა. მონღოლმა იცის, რომ ტაძრის ნგრევა და რელიგიათა დევნა უზნეობაა და ეს კაცობრიობის ყველაზე დიდი ბარბაროსი ინდობს ადამიანთა რწმენას და არ ეხება ტაძრებს.

ტაძარი არ დაწვა აღა-მაჰმადხანმაც კი, მისმა სისხლისმსმელმა ურდომ სვეტიცხოველს გვერდი აუარა, დაინდო...

* * *

ესენი კი ტაძრებს წვავენ, ცეცხლს უკიდებენ შიგნიდან.

პირდაპირ ეკრანიდან წვავენ ტაძრებს

ვინმე მაია ასათიანი...

ვინმე ინგა გრიგოლია...

ვინმე ჩერგოლეიშვილი...

ვინმე ვაჭარაძე...

და ათასი ვინმე მათი „მოდე-მოწილე“, ქადაგი როგორც იტყვის და თვით ქართველთა პრეზიდენტი პირდაპირ პრეზიდენტის სასახლიდან და სატელევიზიო შოუებიდან უკიდებენ ცეცხლს ერის სულს და ზნეობას!

პარლამენტის ტრიბუნიდან წვავენ ტაძარს ნაცები – ბოკერიები და მისთანები...

რესპუბლიკელები, ბერძენიშვილხიდაშელები და მისთანები...

ლიბერასტ-დემოკრატები: ალასანია-პეტრიაშვილები და მისთანები!

ათასი ჯურის „ჰომოსექსები“ – ლგბტ-თა, არასამთავრობოთა გარყვნილი ჯოგები, პარტიათა ურიცხვი ნახირი ხრავს და თელავს ერის სულიერ ქსოვილს... „ბარამბოს“...

ფეოდალმა პარტიებმა დაშალეს და გათიშეს ქვეყანა ნაწილ-ნაწილ, ერი საკუთარი თავის მოსისხლედ აქციეს, ოჯახების ერთიანი (წმიდა) სხეული დაანაწევრეს და ერთი დედ-მამის შვილი, და-ძმა დააპირისპირეს. ყველა ოჯახს სულში ჰომოსექსუალს და პედერასტს უნერგავენ...

* * *

მაია ასათიანის შოუს შევესწარი „რუსთავი-2“-ზე – ეს „ფეხზემდგარი ჯოჯოხეთი“, ეშმაკი რომ ჰყავს შესახლებული გაფარჩხულ სხეულში. როგორ დასჩხავის საზოგადოებას, როგორ უტიფრად უღერდა ბრჭყალებს პირდაპირ თვალებში ქართველ ქალებსა და კაცებს სინ-

(ხელისუფლებას) – როდემდე შეიძლება მათი არსებობა და მოთმენა?

ეს „ფურუნკულები“ უნდა ამოვარდნენ სახელმწიფოს სივრციდან!

ვინ მიიღებს გადაწყვეტილებას, ვინ იქნება გმირი, რომ დეკრეტით შეაჩეროს ამდენი პარტიის, ამდენი არასამთავრობოს, ამდენი ანტისახელმწიფოებრივი, ძირგამომთხრელი ტელევიზიის არსებობა და ფუნქციონირება და დეკრეტით (ან კანონით) განსაზღვროს მათი რიცხვი...

გვეშინია, ვერ გავბედავთ!

მაშინ დავმარცხდებით და არ გვექნება ქვეყანა: ერის რღვევა და ნიჰილიზმის პროცესი სწრაფად მიდის...



მოკლედ, ტაძრებს წვავს და ანგრევს ადამიანთა უზნეობა, ერს შიგნიდან ჭამს, როგორც მოლოხი...

**ამათ** ქვეყანა ბორდელად გვიქციეს, წმიდა ბარძიმები დაგვიქციეს!

კიდევ განვმარტავ: ტელევიზიებმა შექმნეს ერის ზომბირების, „ბაქტერიოზული ძალადობის“ ქსელი, შეერწყნენ ერთმანეთს არასამთავრობოები: ანტიზნეობრივი ლიბერასტი „ქრომოსომული“ წარმონაქმნები, ჰიბრიდული ჩანასახები ქართველი „სხვა პლანეტიდან“ ერის საშოში, უცხო ზნეობრივი სივრციდან...

**ასევე:** როგორც ფეოდალები ხლეჩდნენ და ანგრევდნენ, ღალატობდნენ და ყიდდნენ (ვაჭრობდნენ შვილების სისხლით), ასევე ამ



დისი და ღირსება რომ ქენჯნით. მე მიკვირს, როგორ მოითმინა (ან რატომ მოითმინა) ამათი ყურება ნუკრი მჭედლიშვილმა (ხრიდოლის ოსტატმა), რომ არ ადგა და არ მოისროლა პიედესტალიდან ეს უტიფარი დედაკაცი და პედერასტი ვაჭარაძე!..

* * *

მე ვწერდი ჩემს წინა ესსეებში ერისთვის სახიფათო ზონებზე, რომლებიც ანგრევენ ერის ცნობიერებას და მის ეთნოკულტურას, მის ფსიქომოდელს და ხიფათს უქმნიან სახელმწიფოს არსებობას...

ვერ აშენდება, ვერ გაიხარებს ეს ქვეყანა, ანუ ქართველთა სამშობლო ამათი მუდმივი დესტრუქციით, აგრესიით და იმ „ტოქსიკური შხამით“, რომელსაც საოცარი ენერგიით გამოყოფენ ერთი ციდა მორიელისხელა მაქციები: ნაცვლიშვილები, ვინმე ეკა გიგაურები, ხოშტარიები, კვესიტაძეები, თაქთაქიშვილები (და სხვები და სხვები) ვირუსის გამავრცელებელი ბუნკერები და ა.შ.

* * *

მოდი, ვნახოთ, რამდენი პარტიაა ამერიკაში, რომლის ერთი შტატის ნახევარიც არ არის ჩვენი ქვეყანა – შეიძლება ასეთი რამ.

– ამდენი ძირგამომთხრელი არასამთავრობო, რომლებიც პოლიტიკურ პოლიპებად იქცნენ და სუნთქვის საშუალებას არ აძლევენ ქვეყანას

ვიტყვი იმასაც, რომ: ახალი ფაშიზმის და ნეო-ბოლშევიზმის, ანუ სრულიად უცნობი ნეო-ლიბერალიზმის ძალადობით ერი გვეღუპება!

ე. ი. თუ ერი არ დათრგუნავს უზნეოთა ნადიმებს, საჯარო სექსისა და პედერასტიის „ბომონდებს“, თუ ხელისუფლება ჭკუას არ მოუხმობს და არ მოუხმობს ერს მხარში დასადგომად.

თუ ეკლესია არ გამოაცხადებს საყოველთაო პროტესტს ამ მასონური, ნეო-ლიბერალური, ჰომოსექსუალთა „დინასტიების“ ასალაგმად, თუ არ ჩააჩუმებენ ამ ანტიქრისტიანულ, კაცთმოძულე ტელევიზიებს, აღმოვჩნდებით უსახელმწიფო ბუნკერში, რომელსაც ყველანაირ ნაგავს აყრიან თავზე!..

* * *

ახლა ადამიანები კითხულობენ: რატომ იწვის ტაძარი? ჩვენი უზნეობა წვავს ტაძრებს, ქალაქი გომორის ცოდვებში რომ ჩავახრჩეთ, იმიტომ წვავს და ამას არ იკმარებს უფალი... შეიძლება ყანა და ბალახიც არ მოვიდეს ჩვენს მიწაზე!

რა წვავს ტაძრებს და ქალაქებს, ისინი შემთხვევით და უმიზეზოდ არ იწვიან, როცა შემოკრებ ამდენ მეძავს და ჰომოსექსუალს და პრეზიდენტი მდიდარი სექსის საჯარო გაკვეთილებს ჩაუტარებს ერს...

ხოლო საზოგადოება თუ გადაყლაპავს ამას ძილის აბივით, ის ქვეყანა ვერ იქცევა სახელმწიფოდ...

* * *

როცა უფალმა გომორში მართალი კაცი ვერ ნახა, იაკობს ქალაქიდან გასვლა უბრძანა და ქალაქი გოგირდის ცეცხლით დაწვა...

ტაძრებს და ქალაქებს წვავს ადამიანთა უზნეობა – ან ჩვენ უნდა გავიდეთ უკვე სოდომადქცეული ქალაქიდან და **ესენი** დარჩნენ, ან ესენი უნდა გავიყვანოთ და ერი უფალთან დარჩეს!..

იბერთა ქვეყანაში სხვანაირად არაფერი გამოგვივა!

ეს არის ყოფნა-არყოფნის დღე! ერი **წყვეტს** და უფალი **სჯის!** თუ ერი აღასრულებს უფლის ნიშანს – გადარჩება!

ჩვენ უნდა გავჭრათ გოირდიასის კვანძი, რომ უფალმა არ დაგვსაჯოს...

ახლა რეზიუმეს სახით ვიტყვი შემდეგს:

ჩვენ ვიცით, თუ რა მიზეზით დაიქცა რომის იმპერია, რამ გამოიწვია ბიბლიური სოდომისა და გომორის დაწვა თუ პომპეუსის დაღუპვა... თეოლოგთა აზრით, უზნეობამ განსაზღვრა მათი ასეთი ბედისწერა.

მაგრამ ჩვენთვის, ქართველთათვის, უფრო საყურადღებოა, რამ დააქცია თითქმის გაბრწყინებული ქართველთა სახელმწიფო ლაშა-გიორგისა და რუსუდანის ეპოქაში.

ჟამთა აღმწერელის აზრით, ეს გამოიწვია სამეფო კარის დაცემამ და უზნეობამ, თვით გიორგი-ლაშას ავხორცობამ და რუსუდანის „ისეთობამ“, როგორიც იყო.

ჟამთა აღმწერელი მონღოლების მოვლენას ღვთის ნებად თვლის ქართველთა დასასჯელად, რომელნიც ასცდნენ დავით აღმაშენებლის ზნეთ და საქმეთ. ქართველმა ერმა და სამეფო კარმა დაკარგა რწმენა და ჩაეფლო სოდომის ჭაობში...

მწიგნობარნი მიიჩნევენ და მეც ვიზიარებ, დავით აღმაშენებელი რომ ყოფილიყო, მონღოლები დაიმსხვრეოდნენ საქართველოს საზღვრებთან ისევე, როგორც თურქმენთა (400 000-იანი ურდო) დაიმსხვრა დიდგორზე და კიდევ ერთხელ გადარჩებოდა მსოფლიო (ევროპა).

საქართველომ არაერთხელ შეაჩერა ევროპისკენ მიმართული ურდოები. მას ჰქონდა უფლისმიერი ისტორიული მისია და ასრულებდა ამ მისიას.

ქართველ ერს ახლაც აქვს თავისი განსაკუთრებული მისია, რომლიც განხორციელებას უნდა მოხმარდეს მთელი ქვეყნის და თითოეული ჩვენგანის ეროვნული ენერგია.

**კობა არაბული,**
მწერალი

# ცივილიზაციათა ომი დაიწყო – ისლამური სახელმწიფო ევროპის ანექსიისთვის ემზადება



## გვესაუბრება ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე:

— **ბატონო მამუკა, პან-თურქიზმის და პან-ისლამიზმის იდეოლოგიური საფუძველი ხომ ისლამს ეყრდნობა, რაზეც აღმოცენდა კიდეც ისლამური სახელმწიფო. რა საფრთხეებს ხედავთ ამ მიმართულებით?**

— ჯერ კიდევ 50-იან წლებში ჰანტინგტონმა თქვა, რომ ცივილიზაციათა ომი კარს მოგვადგა. სხვათა შორის, ეს, კაცობრიობის ისტორიაში, პირველი შემთხვევა როდია. ცივილიზაციათა ომი – ისლამსა და ქრისტიანობას შორის ციკლური ხასიათისაა. ცხრა-ათი საუკუნის წინაც იგივე ხდებოდა, ოღონდ, პირიქით – მაშინ ისლამზე ქრისტიანებმა გაილაშქრეს. პრაქტიკულად, ამ ათი საუკუნის მანძილზე, ეს პროცესი არ შეწყვეტილა და ავად თუ კარგად, ორ რელიგიას შორის დაპირისპირება, ყოველთვის იკვეთებოდა. საბოლოო ჯამში, მე-19 საუკუნისთვის ისლამური სახელმწიფოების დიდი უმრავლესობა წამყვანი ქრისტიანული სახელმწიფოების მიერ ან კოლონიზირებულ იქნა, ან პროტექტორატის ქვეშ იყო, ან უბრალოდ, მათ პოლიტიკას მსხვილი სახელმწიფოები წარმართავდნენ. მაგალითად, ისეთი დიდი მუსულმანური სახელმწიფო როგორიც თურქეთია, მე-19 საუკუნეში, პრაქტიკულად, დიდ ქრისტიანულ სახელმწიფო რუსეთთან მუდმივი მარცხის რეჟიმში იყო და მის პოლიტიკას დიდი ქრისტიანული სახელმწიფოები საფრანგეთი და ინგლისი, შემდგომში, გერმანია წარმართავდნენ. ამ პერიოდისთვის, აბსოლუტურად, დასუსტებული, დაუძლურებული იყო ასევე, დიდი მუსულმანური სახელმწიფო ირანი, მუსულმანები კი ერთ-ერთი ყველაზე დიდი ევროპული სახელმწიფოს ესპანეთის სივრციდან გაძევებულნი იყვნენ. თურქეთის გავლენა ევროპის მხოლოდ რამოდენიმე რეგიონში იყო შენარჩუნებული, იგულისხმება ბალკანეთი, სადაც მუსულმანური მოსახლეობა ცხოვრობდა. რაც შეეხება კავკასიას, აქაც, რუსეთმა გაიმარჯვა და თურქეთზე, ირანზე თავისი გავლენები განავრცო როგორც მუსულმანურ, ისე ქრისტიანულ რეგიონებში. პრაქტიკულად, ცხრასაუკუნოვანი დაპირისპირების რაუნდი, საბოლოო ჯამში, ქრისტიანული სახელმწიფოს გამარჯვებით დასრულდა. გამომდინარე აქედან, მუსლიმებში აშკარა რევანშისტული განწყობა იკვეთება. ისინი თვლიან, რომ საუკუნეების განმავლობაში მათ ქრისტიანები ავიწროვებდნენ, მათი სიკეთეებითა და ეროვნული სიმდიდრით ევროპული ქვეყნები მდიდრდებოდა, ისეთ კოლონიალურ სახელმწიფოებში როგორებიცაა ბრიტანეთი, საფრანგეთი, ჰოლანდია, ბელგია და ა.შ.



ეკონომიკური თუ ინდუსტრიული რევოლუცია მათ ხარჯზე მოხდა. ეს რევანშისტული განწყობა ყოველთვის არსებობდა, განსაკუთრებით, რადიკალური ისლამის მიმდევრებში. აღსანიშნავია ისეთი ქვეიდეოლოგიური მიდგომები, როგორებიცაა მაგალითად, პან-თურქიზმი და „პან-ოსმანიზმი", ასევე, პან-არაბიზმი. იგი, განსაკუთრებით აქტიური, გასული საუკუნის 60-70-იან წლებში იყო. პან-არაბიზმი როგორც საუდის არაბეთის გავლენის სივრცე ისე ჩამოყალიბდა, სადაც კი ხელი მიუწვდება, იქ, მისი გავლენა, მაქსიმალურად ძლიერია. საუდის არაბეთის გავლენების პარალელურად თურქული და ირანის გავლენები ვითარდებოდა, რომელიც ახლო-აღმოსავლეთის შიიტურ მოსახლეობას ეყრდნობა. შიიტური მოსახლეობა, ახლო-აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყანაში, საკმაოდ ბევრია. ასე, რომ პროცესისთვის რაც დღეს ხდება, ნიადაგი მომზადებული იყო. მინდა ორი სიტყვით „პან-ოსმანიზმს" შევეხო. იგი, პან-თურქიზმისაგან იმით განსხვავდება, რომ ამ უკანასკნელის იდეოლოგიის ძირითადი პოსტულატი იყო საერო რელიგია, ასევე, ის, რომ ყველა ადამიანი რომელიც თურქეთის ტერიტორიაზე ცხოვრობს თურქია და ყველა ხალხი რომელიც თურქული წარმოშობისაა, რომელ სახელმწიფოშიც არ უნდა იყოს, მისი ლიდერი თურქეთია. „პან-ოსმანიზმი" ცოტა სხვა რამაა – ეს ნიშნავს, ოსმალეთის იმპერიის გავლენების მთელს იმ სივრცეში აღდგენას, რომელსაც ოსმალეთი პირველ მსოფლიო ომამდე აკონტროლებდა.

— **ზემოთქმულს, ევროპა რას უპირისპირებს?**

— ვითომ ერთიანობას, აბსოლუტურად, გაცვეთილ იდეოლოგიას, რომელიც სახელმწიფოებრივ ინტერესებზე ორიენტირებული არაა. ლიბერალიზმის მთავარი თავისებურება კონკრეტული ადამიანის უფლებების დაცვაა, სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვა კი, მეორე პლანზეა, რაც თავისთავად უშლის ხელს იმ იდეოლოგიასთან ბრძოლას, რაზეც ვისაუბრეთ. აქედან გამომდინარე, პრაქტიკულად, დღეს, პოლიტიკური ისლამის სასტარტო მდგომარეობა, ცივილიზაციათა ბრძოლის კონტექსტში, ბევრად უფრო მომგებიანია, ვიდრე დანარჩენი სამყაროსი. აქ, პირველ რიგში, ქრისტიანული სახელმწიფოები იგულისხმება. ერთადერთი თუ ქრისტიანული სახელმწიფოების მდგომარეობას რამე აძლიერებს, ესაა არა იდეოლოგია, არამედ შეიარაღება – არა არმიები, არამედ სწორედ, შეიარაღება. ტექნოლოგიური თვალსაზრისით, ქრისტიანული სამყარო ბევრად უფრო წინაა, ვიდრე მუსულმანური, რაც ერთგვარი ბონუსია. ასე, რომ დღეს, ჩვენ, უკვე ცივილიზაციათა დაპირისპირების რეჟიმში ვართ, თუმცა, ევროპამ თავის დასაკლავი დანა თვითონ გამოითხარა. საქმე შემდეგშია: მეორე მსოფლიო ომის მერე, მაშინ როდესაც მარშალის გეგმა ამუშავდა და დანგრეული ევროპის ეკონომიკური განვითარების პროცესი დაიწყო, მუშახელი არ კმაროდა იმიტომ, რომ დაახლოებით, ათ-მილიონამდე მამაკაცი ომში იყო დაღუპული. ამან გამოიწვია ის, რომ მაგალითად, გერმანიამ ფართოდ გაუღო კარები თურქეთს, ეს 50-იან წლებში მუშახელის მიზიდვის მიზნით მოხდა და 90-ინი წლების შუა პერიოდამდე, გერმანიაში, დაახლოებით, ხუთი მილიონი თურქი გაჩნდა. რიგ ქალაქებში, განსაკუთრებით, ინდუსტრიულში, მოსახლეობის დიდ ნაწილს თურქები შეადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ გერმანიაში დღემდე არის ქალაქები, უბნები, სადაც თურქულს უფრო გაიგონებ, ვიდრე გერმანულს. საფრანგეთი, ამ შემთხვევაში, სხვანაირად მოიქცა, მან სერიოზული შეცდომა დაუშვა. 50-იან წლებში, საფრანგეთში, იმისათვის, რომ თავის კოლონიებზე გავლენები შეენარჩუნებინათ, ამ კოლონიების მაცხოვრებელთა დიდი უმრავლესობა, დეგოლმა, ავტომატურად საფრანგეთის მოქალაქედ გამოაცხადა. ეს დიდი შეცდომა იყო. იმ დღეს, ავტომატურად, თითქმის, მთელი ალჟირის მოსახლეობა საფრანგეთის მოქალაქე აღმოჩნდა, რომლებიც, ბუნებრივია, ერთ მშვენიერ დღეს, ეკონომიკურად გაჭირვებული ალჟირიდან, საფრანგეთში გადასახლდნენ. ბელგია იმას იმკის, რაც მისმა ხელისუფლებამ წლების განმავლობაში დათესა. მაგრამ რაც ახლა სირიისა და ერაყის კონფლიქტის შემდეგ მოხდა, ეს არ იყო გაჭირვებულ ხალხთა ტალღა, რომელიც ევროპას მიაწყდა. ამ მართულ პროცესში აქტიურად იყო ჩართული თურქეთის ხელისუფლება. ევროკავშირში მიღებაზე უარის თქმის გამო, ევროპაზე განაწყენებულმა თურქეთის ხელისუფლებამ, აი, ეს „გაუკეთა" ევროპას. სხვათა შორის, მუსულმანი ლტოლვილების ესოდენ დიდ ნაკადს შეეძლოთ თავი მუსულმანური ქვეყნებისთვის შეეფარებინათ – ან თურქეთში დარჩენილიყვნენ, ან საუდის არაბეთში, მაგრამ ასე არ მოიქცნენ. საუდის არაბეთში, მილიონ კაცზე იყო გაშლილი ბანაკი და ამ უმდიდრეს ადგილას არავინ ჩავიდა, არამედ ყველამ ევროპისკენ დაადო თავი. რა თქმა უნდა, ეს მართული პროცესი იყო, რათა ევროპისთვის მძლავრი დარტყმა მიეყენებინათ და ის პროექტი განეხორციელებინათ, რაზეც ვილაპარაკე, ანუ, ციხე შიგნიდან გაეტეხათ. სწორედ, ამ მომენტში, უკვე, ცივილიზაციათა ღია დაპირისპირება დაიწყო. ჩვენმა საზოგადოებამ არ იცის, რომ მაგალითად, დიდი ბრიტანეთის კონსტიტუციაში 1974 წლიდან შეტანილია შესწორება, რაც შემდეგს გულისხმობს: შარიათის კანონით, ზოგიერთი პოსტულატი გათვალისწინებული უნდა იყოს საზოგადოებისთვის, რომელიც დიდ ბრიტანეთში ცხოვრობს. იგულისხმება, მუსულმანები. ბელგიის კანონმდებლობაშიც ასევე, 1974 წელს ისლამი უკვე ოფიციალურ რელიგიადაა მიჩნეული. ეს საქართველოში რომ მომხდარიყო, გასაგები იქნებოდა იმიტომ, რომ ჩვენთან ტრადიციულად მუსულმანური მოსახლეობა ათ საუკუნეზე მეტია არსებობს, ბელგიისთვის კი ეს გასაკვირია. იმ დროს, ბელგიაში მუსულმანური მოსახლეობა 0,1% იყო, ახლა – 12%-ია. დღეს, ბელგიაში 300-მდე მეჩეთია. ჩათვალეთ, რომ ამ მეჩეთების ნახევარი პოლიტიკური ისლამის მიდევართა ხელშია. წარმოიდგინეთ, როგორ აქვს ბელგიის ტერიტორიაზე ფეხი მოკიდებული ისეთ ორგანიზაციებს როგორებიცაა ალქაიდა, ისლამური ხალიფატი. ბრიუსელის მოლენბეკის რაიონი უკვე მთლიანად ისლამურია. 70-იანი წლებიდან იქ, ბევრი მუსულმანი ცხოვრობდა, მაგრამ ყველა, ზომიერი ისლამის



მიმდევარი იყო, დღეს, პირიქითაა. ჩვენ, საშუალება გვქონდა, როცა ევროპისკენ ლტოლვილთა ნაკადი დაიძრა, იქ, ჟურნალისტი გაგვეგზავნა. იგი, ამ ნაკადს, უნგრეთში დახვდა და საკუთარი თვალით იხილა როგორი კონტინგენტი მოდიოდა. როგორც წესი, ავტობუსიდან კარგად ჩაცმულ-დახურული, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ახალგაზრდები ჩამოდიოდნენ. ეს კარგად ორგანიზებული მასა იყო, ისინი პრეტენზიებს გამოთქვამდნენ. ამ ახალგაზრდებზე, იდეოლოგიური ნამუშევარი, ჩანდა. ისინი იქ ჩავიდნენ არა თავშესაფრის საძიებლად, არამედ ადგილის დასამკვიდრებლად. მათი ტექსტები, დაახლოებით, ასეთი იყო – თქვენ, საუკუნეების განმავლობაში, ჩვენს სისხლს სწოვდით, ახლა, ჩვენ მოვედით, რათა კომპესაცია მივიღოთ. უნგრეთში არცერთი არ გაჩერებულა, ყველა გერმანიისკენ მიდიოდა. ბუნებრივია, ჩნდება შეკითხვა – რატომ გერმანიისკენ? – იმიტომ, რომ გერმანია ევროკავშირში, ეკონომიკური თვალსაზრისით, მთავარი ქვეყანაა. იგი, იმ პლაცდარმად უნდა იქცეს, საიდანაც პოლიტიკური ისლამის მეთოდით, ევროპის ანექსია მოხდება. გერმანია პირველი უნდა დაეცეს. მაშინ, ჩნდება შეკითხვა – რატომ მოხდა ტერაქტი ბრიუსელში? – ბრიუსელი დედაქალაქია. ტერაქტის სივრცე ვნახეთ, იგი ძალიან ახლოს იყო დედაქალაქის ცენტრალურ ორგანოებთან – ევროკომისიასთან, ევროპარლამენტთან და ა.შ. აქ, ერთ ძალიან მნიშვნელოვან ფაქტორს უნდა მივაქციოთ ყურადღება – თუ ვინმეს ჰგონია, რომ ისლამური ხალიფატი ეს მხოლოდ მუსულმანი ფანატიკოსების თავყრილობაა, ძალიან ცდება. ისლამური ხალიფატის რიგები სავსეა როგორც დასავლეთის, ისე რუსეთის აგენტურით. აქედან გამომდინარე, ვინ, როდის, როგორ წარმართავს ამ პროცესებს, ძალიან ძნელი სათქმელია. კი ზედაპირულად ჩანს, რომ ლტოლვილთა ნაკადების თვალსაზრისით, თურქეთის ხელისუფლება აქტიურადაა ჩართულია, მაგრამ პროცესები იმართება როგორც დასავლეთის სახელმწიფოებისაგან, პირველ რიგში, აშშ-გან, ისე რუსეთისგან. სულ არ გამიკვირდება, ერთ მშვენიერ დღეს აღმოჩნდეს, რომ გახმაურებული ტერაქტების უკან რომელიმე ქვეყნის სპეცსამსახური დგას. ვთქვათ, რუსეთი. ამ ყველაფერს მინდა დავამატო, ნუ დაგვავიწყდება, რომ ისლამურ ტერორისტულ





ორგანიზაციებთან ასეთი გამოცდილება, ამ ქვეყნებს, 60-იანი წლებიდან მოყოლებული აქვთ. განსაკუთრებით, ერაყის შემთხვევაში. ერაყის არმიის ოფიცრების უმრავლესობას, სადამ ჰუსეინის პერიოდში, უმაღლესი რუსეთში აქვთ დამთავრებული. დღეს, ამ ოფიცრების უმრავლესობა, ისლამური ხალიფატის რიგებშია და ისევ ოფიცრები არიან. ისევე, როგორც სირიის არმიის ოფიცრების დიდ უმრავლესობას, უმაღლესი, ინგლისსა და საფრანგეთში აქვთ დამთავრებული. მათი ერთი ნაწილი, დღეს, სირიის თავისუფალ არმიაშია, მეორე – ასადის არმიაში, მესამე – ხალიფატის რიგებში. ასეთი ვითარებაა, რაც ჩვენმა საზოგადოებამ აუცილებლად უნდა იცოდეს.

– **ამ კუთხით, საქართველოში რა ვითარებაა?**

– რაც შეეხება საქართველოს, მისი მოსახლეობა დღეს, ოფიციალურად, ისლამური ხალიფატის, კავკასიური ხალიფატის ტერიტორიაზე ცხოვრობს, რომელიც ისლამურ ხალიფატში შედის. ასეთი ვერსია ვრცელდება მათი მხრიდან, ხომ. რასაკვირველია, ჩვენ ამას არ ვცნობთ და ვერ ვაცნობიერებთ, მაგრამ ეს იმიტომ ხდება, რომ საქართველო არ შედის იმ ქვეყნების რიგში, რომლებიც ამ ეტაპზე, ხალიფატისთვის, განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს. ხალიფატისთვის ინტერესს წარმოადგენს მთლიანად კავკასია. მაგრამ დღეს, ანგარიში ევროპისთვისაა გასასწორებელი და მერე, უკვე, კავკასიისა და რუსეთის რიგი დადგება. რუსეთს ვერ უშველის ის, რომ მისი აგენტურა ხალიფატის რიგებში მუშაობს. რუსეთიც იმ ქვეყნების რიგს განეკუთვნება, რომელიც პოლიტრიკური ისლამის მესვეურთა აზრით, მოსაშთობია. ეს ჩანს კიდეც, ჩრდილოეთ-კავკასიაში, განსაკუთრებით, თათარსტანში, თუ როგორ ხდება ნელ-ნელა რუსების გამოძევება სახელმწიფო სტრუქტურებიდან და როგორ ხდება ამ ქვეყნებში, განსაკუთრებით, ტატარსტანში რუსული სახელმწიფოებრივი იდეის შევიწროვება. საბოლოო ჯამში, მინდა გითხრათ, რომ საერთოდ, კავკასიისა და საქართველოს მდგომარეობა უაღრესად მძიმეა. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ამ თვალსაზრისით კავკასიის რომელიმე რესპუბლიკა დაცულია, ძალიან ცდება. აზერბაიჯანი და საქართველო არის პირველი, ერთ-ერთი განსაკუთრებულად მოწყვლადი ქვეყნები. მაგრამ პარადოქსალურია ის, რომ სომხეთიც ამ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ის, რომ სომხეთი მონოქრისტიანული სახელმწიფოა, ეს, ხალიფატისთვის ძალიან გამაღიზიანებელია. ხალიფატს ნუ განვიხილავთ ცალკე ერთ პოლიტიკურ თუ ფსევდო, კვაზი სახელმწიფოებრივ ორგანიზაციად. ხალიფატის უკან არაბული სამყაროს ძალიან სერიოზული ქვეყნები დგას პოლიტიკური ძალებითა და სერიოზული ფულით. მაგალითად, კატარის სამეფო მთლიანად. კატარის საელჩო აგერ, რუსთაველის პროსპექტზეა. ასე, რომ ეს დეკორაციაა და მის უკან სერიოზული მანიპულატორები დგანან. ახლა ერთ რამეს გეტყვით, რაც თქვენი გაზეთისთვის ექსკლუზივი იქნება. სირიისა და თურქეთის საზღვარზე განლაგებულია კილიკიის რეგიონი, სადაც არის სომხური სოფელი, რომლის ნახევარი თურქეთის, ხოლო ნახევარი სირიის მხარესაა. სირიაში მებრძოლი კავკასიელი ისლამისტები ამ სოფლის თურქულ მხარეს გადადიან, იღებენ თურქეთის მოქალაქე სომხეთის პასპორტებს, შემდეგ ბეირუთში გადადიან, ბეირუთი-ერევნის რეისით ერევანში ჩამოდიან და იქედან, კავკასიაში ვრცელდებიან. ყველას თურქული პასპორტი აქვს, მაგრამ სომეხი უწერიათ და გვარიც სომხური აქვს. ის შეიძლება დაღესტნელიც იყოს, ჩეჩენიც, ამას მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ ძალიან მოსახერხებელია – თურქეთის მოქალაქე კი არის, მაგრამ სომეხი უწერია. სომეხი მესაზღვრის ბუნებრივ კითხვაზე – იცის თუ არა სომხური, პასუხობს არაო, მაგრამ ეს გასაგებიცაა – თურქეთის ტერიტორიაზე ცხოვრობს და სომხური აღარ ახსოვს. აი, ასეთი რამ ხდება. ჩვენი უვიცი ჟურნალისტების დიდი უმრავლესობა კი კითხულობს როგორ ახერხებენ შემოსვლასო?! – ამის უამრავი გზა არსებობს, ენისა და მენტალობის უცოდინარი მებაჟისთვის სიტუაციაში გარკვევა, ძალიან რთულია. ჩვენი მესაზღვრეები, ძირითადად, ქისტებს ებრძვიან. ეს სამარცხვინოა იმიტომ, რომ დღეს, მთელ ამ სიტუაციაში, ქისტების თემა მეორადია. ბევრად უფრო რთული პროცესები აჭარაში ვითარდება. როგორც ჩვენი უცხოელი კოლეგები გვეუბნებიან, უკვე ვერ გაიგებ სირიაში შემომსვლელთა შორის რომელი უფრო მეტია რაოდენობრივად – აჭარელი მუსულმანი თუ ქისტი, ზოგი წყაროთი აჭარლები მეტია. რაც შეეხება ტერორს, ხშირად მეკითხებიან, გვემუქრება თუ არა მსგავსი აქტი? – ჩვენ ეს არ გვემუქრება. ევროპაში შედგენილია იმ ქვეყნების სია, რომელსაც ტერაქტი ემუქრება, ესენია – ბრიტანეთი, ნორვეგია და ბელგია, სადაც უკვე 10%-ზე მეტი მუსულმანური მოსახლეობაა. საფრანგეთი, სხვათა შორის, მეორე კატეგორიაშია იმიტომ, რომ იქ 5%-ზე მეტი მუსულმანია, გერმანიაში 7%-ზე მეტი, დანიაში – 9%. ასე, რომ საქართველოში, მოსახლეობის წინააღმდეგ, ტერაქტებს არ ვვარაუდობ, მაგრმ გამორიცხული არ არის ტერაქტები მოხდეს ჩვენთან დაშვებული უცხოური წარმომადგენლობების წინააღმდეგ – საელჩოების, სავაჭრო, ეკონომიკური თუ კულტურული წარმომადგენლობების წინააღმდეგ. შეიძლება, ამ ეტაპზე, მექანიკურ ტერორს არ ველოდებით, სამაგიეროდ, იდეოლოგიური ტერორის ქვეშ ვართ. ეს არანაკლები იარაღია. იდეოლოგიურ ტერორს ვხედავთ, გვესმის სოციალური ქსელებიდან, პრესიდან და ა.შ. მარტო მუქარებს არ ვგულისხმობ. ჩვენი მოსახლეობის იდეოლოგიურად დამუშავება ყოველ წამს მიმდინარეობს. ამიტომაა, რომ მუსულმანი ახალგაზრდების ერთი ნაწილი არამხოლოდ სირიაში მიდის, არამედ ადგილზე რჩება, მაგრამ ამ პროცესის ნაწილი ხდება. ეს არამხოლოდ მუსულმანურ რეგიონში ხდება, არამედ ისეთშიც, როგორიც გურიაა. ამ პროცესმა, უკვე, საკმაო რაოდენობის სოფლები მოიცვა. ასევე, სამცხე. ეს სერიოზული თემაა. ამის მოგვარება მხოლოდ უშიშროების მეშვეობით, რომელიც საკმაოდ ნორმალურად მუშაობს, არ შეიძლება. ეს სახელმწიფოს, ყველა უწყების საქმეა და რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ეს საზოგადოების საქმეა. საქართველოს მთავარი დეფიციტი, უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ ქვეყანას იდეოლოგია, ფუნქცია არ აქვს. თუ სახელმწიფო იდეოლოგია არ ჩამოყალიბდა, პოლიტიკური ისლამის იდეოლოგიასთან, რომელიც ძალიან ქმედითია, ბრძოლა უაღრესად გაგვიჭირდება. პრაქტიკულად, ამ ეტაპზე, თუ სიტუაცია არ შეიცვალა, ეს ბრძოლა წაგებულია. ქვეყანამ თავის ფუნქცია აუცილებლად უნდა განსაზღვროს – რა უნდა, რისთვის არსებობს. არ შეიძლება მხოლოდ ერთი, ეკონომიკური სატრანზიტო ფუნქცია გვქონდეს, ეს ნონსესია. ევროპის ბევრ ქვეყანაში ზუსტად იმიტომაა სიტუაცია მარცხისკენ, რომ ასეთი იდეოლოგიური მექანიზმი არ არსებობს. არსებობს ტრადიციები, რომლის მეშვეობითაც ზოგიერთი ევროპული ქვეყანა ამ შემოტევას უძლებს. მაგალითად, საფრანგეთი, ბრიტანეთი, მაგრამ მხოლოდ ამ ტრადიციებზე დაყრდნობით მომავალს ვერ შექმნი, ეს ამოწურვადია. საჭიროა მძლავრი იდეოლოგიური მექანიზმი. საქართველოს, სამწუხაროდ, ეს არ გააჩნია და ვერც ვატყობ, რომ ვინმეს ამის კეთება უნდოდეს.



**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# ბაგა-ბაღებში დაწყებული საპროტესტო აქციების უკან „ნაციონალები“ დგანან?

## ბაღის დირექტორი, რომელიც ბავშვებისთვის მოპარულ კარაქს მაღაზიაში აბარებდა და თავისი მანქანის გარეცხვას თანამშრომელს აიძულებდა, პოლიტიკურ დევნაზე ნუ ლაპარაკობს

თბილისის მერიის შიდა აუდიტის დასკვნის საფუძველზე, ბაგა-ბაღების მართვის სააგენტომ სკოლამდელი აღზრდის ხუთი დაწესებულების დირექტორის თანამდებობიდან გაათავისუფლა. დასკვნის თანახმად, ბაღებში გამოვლინდა ისეთი დარღვევები, როგორიცაა ბავშვებისთვის განკუთვნილი საკვების ზედმეტად ჩამოწერა, საკვები პროდუქტისათვის გამოყოფილი თანხების სააგენტოსთან შეუთანხმებლად სამეურნეო ხარჯების დასაფინანსებლად გამოყენება და ა.შ. ცნობისთვის, მსგავსი დარღვევების გამო, ბოლო ორი კვირის მანძილზე თანამდებობა 10-ზე მეტი (90-ე, 215-ე, მე-6, მე-2, 92-ე და ა.შ) ბაგა-ბაღის დირექტორმა დატოვა. გათავისუფლებულებს შორის არიან ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ცნობილ სახეებთან ახლო ნათესაურ კავშირში მყოფი პირები. კერძოდ, 90-ე ბაგა-ბაღის დირექტორი ლელა გოგორიშვილი პარლამენტარი ხათუნა გოგორიშვილის ღვიძლი და გახლავთ, მე-6 ბაგა-ბაღის დირექტორი თამარ ბაქარაძე კი დავით ბაქრაძის ნათესავი და უკრაინაში მიხეილ სააკაშვილის მრჩევლის დავით კიზირიას მეუღლეა. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბაგა-ბაღების დირექტორების თანამდებობიდან გათავისუფლებას უსწრაფესი რეაქცია მოჰყვა ნაციონალური მოძრაობის მხრიდან. სავარაუდოდ, მთავარ ოპოზიციურ ძალასთან კონსულტაციების შემდეგ, დირექტორების მხარდამჭერი მშობლების ნაწილმა მათი თანამდებობაზე აღდგენის მოთხოვნით აქცია ჯერ მერიასთან, შემდეგ კი ქალაქის საკრებულოსკენ გამართა.

სკოლამდელი აღზრდის სისტემაში მეტ-ნაკლებად გათვითცნობიერებულ ადამიანებს ახსოვთ, რომ 2007 წელს თბილისის მთავრობის გადაწყვეტილებით, დედაქალაქის ბაგა-ბაღები არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებად ჩამოყალიბდნენ. იმ დროისთვის მოქმედი ბაგა-ბაღის გამგეები თავისივე ბაღებში დირექტორებად ისე დაინიშნენ, რომ მათთან შრომითი ხელშეკრულებები არ გაფორმებულა. იმავე წლის სექტემბერში კი დედაქალაქის 103 ბაგა-ბაღის დირექტორი სამსახურიდან იმ შრომითი ხელშეკრულებების შეწყვეტის საფუძველზე გაათავისუფლეს, რომელიც მათთან არავის გაუფორმებია. მალე გათავისუფლებული დირექტორების ადგილებზე ნაციონალური მოძრაობის წევრების, მერიისა და საკრებულოს მაღალჩინოსნების ნათესავები, ახლობლები და ოჯახის წევრები დაინიშნენ. კერძოდ, მე-6 ბაღში დავით ბაქრაძის ბიძაშვილი თამარ ბაქრაძე, 85-ე და 36-ე ბაღებში გია უდესიანის დები, 90-ე ბაღში ხათუნა გოგორიშვილის და, 155-ე ბაღში ყოფილი ვიცე-მერის გიორგი მელაძის ნათესავი,



მე-2 ბაღში იმერეთის ყოფილი გუბერნატორის ლაშა მაქაცარიას კლასელი, 86-ე ბაღში საკრებულოს წევრის გიორგი ხაჰნელიძის ნათესავი და ა.შ. სკოლამდელი აღზრდის სისტემაში დაუსაქმებელი არც სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურში მომუშავე და არც ნაციონალური მოძრაობის რაიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ოჯახის წევრები დარჩენილან.

გარდა იმისა, რომ ახალი დირექტორების უმეტესობა არაპროფესიონალი იყო, ბევრს საერთოდ არ ჰქონდა უმაღლესი განათლება და ბაგა-ბაღის დირექტორთა შესარჩევ კონკურსზე დაწესებული ბარიერიც ვერ გადალახა, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია, რომ ბაღების დირექტორებად მოგვლინებოდნენ.

რით იყო სკოლამდელი და ზოგადად, განათლების სისტემა ნაციონალური მოძრაობისთვის საინტერესო? თუ გავითვალისწინებთ, რომ განათლების სისტემაში რაოდენობრივად ყველაზე მეტი ამომრჩეველია მობილიზებული, ხოლო არჩევნები სკოლებსა და ბაგა-ბაღებში გახსნილ საარჩევნო უბნებზე ტარდება, ნაციონალების ინტერესი სრულიად გასაგებია. 2007 წელს გათავისუფლებული დირექტორების ბედი იმანაც გადაწყვიტა, რომ ისინი ნაციონალური მოძრაობისთვის არასაიმედო პირებს წარმოადგენდნენ. ყოფილი სახელისუფლებო გუნდისთვის დღესავით ნათელი იყო, რომ ეს ადამიანები საუბნო კომისიის თავმჯდომარეებად მუშაობის პერიოდში, მათ სასარგებლოდ არჩევნებს არ გააყალბებდნენ. რაც შეეხება წინა კვირას განვითარებულ პროცესებს, 2007 წელს თანამდებობიდან გათავისუფლებული ბაგა-ბაღების დირექტორების თქმით, მოვლენების ამგვარად განვითარება მოსალოდნელი იყო. სამართლიანობის აღდგენა დროში გაჭიანურდა, ამიტომ დაუსჯელობით გათამამებულმა ნაციონალებმა გამოღმა შედავების პოზიცია დაიკავეს და საკუთარი ცოდვების „ქართულ ოცნებაზე“ გადაბრალების სტრატეგია შეიმუშავეს.

სკოლამდელი აღზრდის სისტემაში განვითარებულ პროცესებს ეხმაურება იურიდიულ და ფიზიკურ პირთა უფლებების დაცვა-ანტიკორუფციული კავშირის თავმჯდომარე. **გიორგი ბურჯანაძე** ამბობს, რომ ზოგიერთი დირექტორის კორიფციული საქმიანობის დამადასტურებელი ვიდეომასალებით ბაგა-ბაღების სააგენტოს 2012 წელს მიმართა, თუმცა მაშინ ამით არავინ დაინტერესებულა. – ხშირ შემთხვევაში, ძალიან კრიტიკულად ვარ განწყობილი ბაგა-ბაღების სააგენტოსა და მისი ხელმძღვანელის მუშაობის მიმართ, მაგრამ ამ შემთხვევაში, ვეთანხმები, მხოლოდ ერთი შესწორებით- ეს ადრე უნდა გაეკეთებინათ. ჩვენი ორგანიზაციის მონიტორინგის სამსახურის მიერ წლების განმავლობაში მოკვლეული მასალა ადასტურებს, რომ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმძღვანელთა დიდი ნაწილი თანამდებობიდან დიდი ხნის გასაშვები იყო, მაგრამ სააგენტოს შეცდომაა, რომ ეს მხოლოდ ახლა, წინასაარჩევნოდ გააკეთა. 2012 წელს სააგენტოს წარვუდგინეთ ჩვენი მონიტორინგის ჯგუფის მიერ მოპოვებული ვიდეომასალა, რომელშიც ჩანს, როგორ ეზიდება ზოგიერთი დირექტორი ბაღიდან პროდუქტებს, როგორ აბარებს ამ პროდუქტებს მაღაზიებში და ა.შ. მაგრამ მაშინ არავინ მოგვისმინა. ერთ გარემოებას დავაკვირდი- როცა დირექტორს ხსნიან, მხოლოდ მაშინ აღმოაჩენენ ხოლმე, რომ კვების ბლოკში გაფუჭებული თევზი და ვადაგასული პროდუქტებია. შე დალოცვილო, მანამდე სად იყავი, ბურჯანაძე პროვოკატორი და დეზინფორმატორიაო, რომ გაიძახოდი? რაც შეეხება გათავისუფლებულ დირექტორებს, ვფიქრობ, რომ რამდენიმე მართლაც უსამართლოდაა გათავისუფლებული და ჩვენი ორგანიზაცია მათ უფლებებს დაიცავს, მაგრამ დანარჩენებს არავითარი მორალური უფლება არა აქვთ, რომ პოლიტიკურ დევნაზე ისაუბრონ. ამ ხალხს ავიწყდება, რომ მათ ადგილებზე მართლაც პროფესიონალი და საკუთარ საქმეზე შეყვარებული ადამიანები მუშაობდნენ, რომლებიც ხელის ერთი მოსმით სახლში გაუშვეს. პოლიტიკურ დევნაზე ნუ მელაპარაკება დირექტორი, რომელიც ბავშვებისთვის მოპარულ კარაქს, შაქარს და წიწიბურას თევდორე მღვდლის ქუჩაზე, მაღაზიებში და ჯიხურებში აბარებდა ან დირექტორი, რომელიც თანამშრომელს საკუთარი მანქანის გარეცხვას აიძულებდა. ამას ქურდობა და ტრეფიკინგი ქვია და პოლიტიკური დევნა არაფერ შუაშია. დირექტორს, რომელიც დაბადების დღეებზე ფულის აგროვებას და ბრილიანტის საყურეებს ითხოვდა, სახლში კი არა ციხეში უნდა უშვებდნენ და ერთი-ორი პრეცენდენტი ნამდვილად დაამყარებდა სისტემაში წესრიგს.

**მანანა ნიკოლაიშვილი** (ექსპერტი):

არავისთვის საიდუმლო არ გახლავთ, რომ სკოლამდელი აღზრდის სისტემაში ბევრი პრობლემააა. უვარგისი სტანდარტების წყალობით, ელემენტალურ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს კვების ბლოკი, სანჰიგიენური პირობები და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი, მაგრამ საინტერესოა, ამდენ ხანს რატომ არ მოგვარდა ეს პრობლემები და რატომ დაიწყეს ამაზე საუბარი ახლა, როცა საარჩევნო წამმზომი ჩართულია? 15 კი არა, ყველა უნდა გაეშვათ, მაგრამ ახლა არა, როცა არჩევნები კარსაა მომდგარი. ახლა რომ გაჰყვირიან, ღრმა რეფორმები უნდა გავატაროთო, აქამდე რას აკეთებდნენ?



გიორგი ბურჯანაძე



მანანა ნიკოლაიშვილი

ეს ღრმა რეფორმები ქართული ოცნების კარგ პროგრამაში იყო ჩაწერილი, მაგრამ სამი წლის განმავლობაში ვერ განახორციელეს. საარჩევნო რეჟიმში კი ამ დონის საკადრო ცვლილებების განხორციელება არ შეიძლება. ჩემდა გასაკვირად, ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია საუბრობს, რომ ბაგა-ბაღებიდან პროფესიონალებს უშვებენ და არაპროფესიონალები მოჰყავთ. ამ ადამიანებს შევახსენებ, რომ პროფესიონალი ვერ იქნება ადამიანი, რომელსაც შესაბამისი განათლება არა აქვს. პროფესიონალები და სკოლამდელი აღზრდის სპეციალისტები სისტემიდან სწორედ წინა ხელისუფლების დროს გატარებულმა რეფორმებმა გაუშვა. სამართლის ისტორიას არ ახსოვს, რომ შევიწროებულებაში მყოფი ადამიანები სამსახურებიდან მასიურად გაეშვათ და ეს საქართველოში მოხდა. 2007 წლის აგვისტოში ბაღის დირექტორები სახლებში გაუშვეს, მასწავლებლებს ხელშეკრულებები შეუწყვიტეს და მერე 1000-ზე მეტი ბაგა-ბაღი ლიკვიდაციაში გაუშვეს. იმაზე აღარაფერს ვიტყვი, რომ გათავისუფლებულების ადგილზე თავიანთი არაპროფესიონალი აქტივისტები, ოჯახის წევრები, დები, დეიდები, მამიდები, ბიცოლები, მეგობარი ქალები ნათელიები და ა.შ. დანიშნეს. ამას მოჰყვა ის, რომ მარტო თბილისში 75 ბაგა-ბაღი დახურეს და იგივე ყველა დიდ ქალაქში გააკეთეს. საინტერესოა, მმართველი კოალიციის რიგებში მეხსიერების მქონე არავინ ჰყავთ, რომ ნაციონალების ეს შეახსენოს და მათ ბრალდებებს პასუხი გასცეს? ვინ ჰყავთ საზოგადოების სამსახურების უფროსებად? ადამიანები, რომლებსაც არ გააჩნიათ მეხსიერება, არ იციან ადამიანებთან ურთიერთობა და პიარის ანბანი? ან მშვენივრად იციან და შეგნებულად არ აკეთებენ ამას? საუბრის ბოლოს გეტყვით, რომ თუ ადამიანი პროფესიონალია და კეთილსინდისიერად მუშაობს, რომელი პოლიტიკურ ძალასაც არ უნდა ეკუთვნოდეს, მუშაობა უნდა აცადონ. წესიერი ადამიანები, რომლებიც კეთილსინდისიერად ასრულებენ მოვალეობას, ყველგან არიან და ამაში ოდნავაც არ მეპარება ეჭვი. ზოგადად, საკადრო საკითხი ისეთი ფაქიზი თემაა, რომელიც პირდაპირ ეხება ადამიანების ჯანმრთელობას და სიცოცხლეს. შეგახსენებთ, რომ წინა ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორმების საშუალებით, განათლების სისტემა ათასობით ადამიანს დაატოვებინეს. შედეგად, მარტო ჯავახიშვილის უნივერსიტეტიდან 70 საკმაოდ ახალგაზრდა პროფესორ-მასწავლებელი სხვადასხვა მძიმე დაავადებებით გარდაიცვალა. ამის განმეორება დაუშვებელია და ყველა საკადრო გადაწყვეტილება სათანადო არგუმენტებით უნდა იყოს გამყარებული.

2007 წელს უგულავა-ქაცარავას რეფორმების შედეგად თანამდებობიდან გათავისუფლებლი ბაგა-ბაღის გამგე და ამჟამად „სკოლამდელთა განვითარებისა და უფლებების დაცვის ლიგის“ ხელმძღვანელი **მზია ფაილოძე** აცხადებს, რომ ბაგა-ბაღებში მიმდინარე პროცესები 2007 წლის გამოძახილია, როცა ნაციონალურმა მოძრაობამ სისტემა პოლიტიზირებული გახადა.

ის ქაოსი, რაც თბილისის ბაგა-ბაღებშია, სათავეს 2007 წლიდან იღებს, როცა ნაციონალურმა მოძრაობამ სკოლამდელი აღზრდის სისტემა პოლიტიზირებული გახადა და სამწუხაროა, რომ დღესაც იგივე მეორდება. იმის ნაცვლად, რომ ბაგა-ბაღების მართვის სააგენტომ წესდებით გათვალისწინებული ფუნქცია შეასრულოს, ბაგა-ბაღებს საადამსჯელო ორგანოდ მოევლინა. არაკვალიფიციური დასკვნებით დირექტორების სამსახურიდან გათავისუფლება და მათ ადგილებზე საკუთარი აქტივისტების დანიშვნა, ძალიან მოგვაგონებს ნაციონალების ხელწერას. როგორც ნაციონალური ჩატარებული რეფორმა-ოპტიმიზაციის მსხვერპლს, მიმაჩნია, რომ ასეთი მუშაობის პრინციპი ხალხთან არ ამართლებს და სწორედ ამგვარმა ქმედებებმა განაპირობა, რომ დღეს ენმ პოლიტიკური გვამია. შეგახსენებთ, რომ მერიის შიდა აუდიტის მონიტორინგის სამსახურის მიერ დასკვნები დადებულია მე- 2, მე-6, 83-ე, 211-ე, 90-ე, 215-ე ბაღებზე და ბაგა-ბაღზე „ჩიორა“. დეტალებზე საუბრით თავს არ შეგაწყენთ, უბრალოდ გეტყვით, რომ დასკვნებში მითითებული დარღვევები დირექტორების ბრალეულობაზე კი არა, სააგენტოში არსებულ სისტემურ დანაშაულზე მიუთითებს. შესაბამისად, იგივე პრობლემები 161-ვე ბაგა-ბაღს ექნება. ეს კი იმის შედეგია, რომ სააგენტოში კვალიფიციური და სისტემის მცოდნე სპეციალისტები არ ჰყავთ. სააგენტოს წესდების ზოგიერთი მუხლი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას და ადამიანის უფლებებს. სწორედ ამიტომ იანვარში საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი შევიტანეთ. და ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ 2007 წელს გათავისუფლებული დირექტორების მიმართ კოლეგიალობის გრძნობა არ გამოუჩენიათ და მომხდარი ერთი სიტყვითაც არ გაუპროტესტებიათ, „საქართველოს სკოლამდელთა განვითარების ლიგა“ მზად არის კვალიფიციური დახმარება გაუწიოს ბაგა-ბაღების სააგენტოს მიერ გათავისუფლებულ ყველა დირექტორს მისი პოლიტიკური შეხედულების მიუხედავად. აქვე, დავამატებ, რომ ნაციონალურ მოძრაობასთან ასოცირებული ზოგიერთი დირექტორი ფიქრობს, რომ ნაციონალების დროსაც უნდა „ეხვეტა“, ნაციონალების შემდეგაც და ყველა მომდევნო ხელისუფლების დროსაც. კარგი იქნება თუ ფულის შოვნის ნაცვლად, ეს ადამიანები ბავშვებისთვის უკეთესი გარემოს და პირობების შეცვლაზე იზრუნებენ, თორემ ამ ქვეყნად მარადიული არაფერია. პრეზიდენტები იცვლებიან და ვერც ბაგა-ბაღის დირექტორის თანამდებობა იქნება მარადიული. ვფიქრობ, აუცილებელია სააგენტოს გაუქმება და სისტემის საფუძვლიანი რეფორმირება. ბაღის დირექტორების შესარჩევი კონკურსის თავიდან ჩატარება და კვალიფიციური სპეციალისტების შერჩევა.



მზია ფაილოძე

დავინტერესდით, რას ფიქრობენ თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოში მათი მისამართით გამოთქმულ ბრალდებებზე და კომენტარისთვის სააგენტოს დირექტორის მოადგილეს **ნინო ბურძენიძეს** დავუკავშირდით:

როგორც იცით, ბაგა-ბაღების დირექტორები თანამდებობიდან გაათავისუფლეს მერიის შიდა აუდიტის დასკვნის საფუძველზე. მათ შეუძლიათ ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრონ სასამართლოში. როგორც იცით, ამას მოჰყვა პროტესტი. დირექტორებს ჰყავთ თავიანთი მხარდამჭერები, რომლებიც თავიანთ პოზიციას აფიქსირებენ და ამის უფლება ნამდვილად აქვთ. ამჟამად, მღელვარება ნელ-ნელა ჩაცხრა და ყველაფერი სიმშვიდისკენ მიდის. მინდა მკაფიოდ და ყველას გასაგონად ავღნიშნო, რომ წლისა და რვა თვის განმავლობაში, სააგენტო დირექტორებთან აქტიურად თანამშრომლობდა, მეგობრობდა, რთავდა მათ პროცესებში და ეს რომ ყოფილიყო პოლიტიკური ნიშნით განპირობებული, მოახერხებდა, რომ გაეშვა ისინი სამსახურიდან. მოგეხსენებათ, რომ ბაგა-ბაღების დირექტორების უმეტესობა წინა ხელისუფლების დროსაა დანიშნული. 160 ბაღის დირექტორიდან რამდენიმეს ნათესაური კავშირიც აქვს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებთან, მაგრამ ეს ჩვენთვის ინფორმაციის დონეზეც კი არ არის ცნობილი. ხშირ შემთხვევაში, ჟურნალისტებისგან ვგებულობთ, ვინ ვისი ნათესავი და ახლობელია.

— **სკოლამდელი აღზრდის სისტემაში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ექსპერტების აზრით, უკანონო კონკურსის შედეგად დანიშნული დირექტორები თანამდებობიდან აქამდეც უნდა გაგეშვათ. ამასთან, ანტიკორუფციული კავშირი ზოგიერთი დირექტორის კორუფციულ საქმიანობაზე ამახვილებს ყურადღებას, რაც სააგენტოს ყურადღების მიღმა დარჩა..**

— ჩვენთვის ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ვიმეორებ, კონკრეტული, უარყოფითი შედეგების გამოვლენამდე



ნინო ბურძენიძე

ჩვენ მათთან ვთანამშრომლობდით და გვქონდა კოლეგიალური დამოკიდებულება. მეორე მონენტია, რომ ეს სააგენტოსაც არ გაუკეთებია და აუდიტმა დადო დასკვნები, რომელიც ჩვენს მიერ რეალურად იქნა მიჩნეული. რაც შეეხება იმას, რომ ბაგა-ბაღებში ჯერ კიდევ არსებობს პრობლემები, რა თქმა უნდა, არ არის კარგი ფაქტი, მაგრამ მაქსიმალურად შევეცდებით, რომ ეს მანკიერი პრაქტიკა და პოლიტიკა ბოლომდე აღმოვფხვრათ.

**ნელი თორდია**

571 35 36 88



# „ახალი“ სახეები „ნაცმოძრაობაში“, ანუ გაწელე გარმონი, დაკა დოლი და წავიდააა!











ახალი სახეები ეყოლება „ნაციონალურ მოძრაობას“ საარჩევნო სიაშიო – ისეთი რიხით გვამცნო „რუსთავი-2-ის“ „კურიერმა“, სხვა თუ არაფერი, ცნობისმოყვარეობის გამო მაინც მოუსმენდა კაცი, ნეტავ, ვინ არიან ის „სახეები“, ან სად ნახეს, ვის აქვს ჩაძირულ გემზე საკუთარი ნებით მოხვედრის სურვილიო? აღმოჩნდა, რომ „ახალ სახეებად“ შესაძლოა მოგვევლინონ როგორც ხატია ბუნიათიშვილი და ელენე ხოშტარია, ისე, ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე, ყოფილი სახალხო დამცველი გიორგი ტუღუში, ადვოკატები: ოთარ კახიძე და ზაზა ბიბილაშვილი, ექსპერტები: რომან გოცირიძე და გიგა ბედინეიშვილი, ეკა ტყეშელაშვილი...

„ვრწმუნდები, რომ ყველაფერი ახალი ამათთან, კარგად გაბოხებული ძველიაო“, – აღნიშნა ცოტნე გამსახურდიამ და შეუძლებელია არ დაეთანხმო.

ვინ არის „ახალი სახე“, პიანისტი ხატია? ახალი კი არა, ხალხს ჯერ არც დავიწყებია გუშინდელი, ფილარმონიის დარბაზში მისი ბიუსტჰალტერის გარეშე ყელყელაობა; ან ელენე ხოშტარიაა „ახალი“ რომლის სქესსაც ბოროტი ხუმრობით კარგა ხანია ვერ „ადგენს“ ხალხი? თუ, გიორგი ქადაგიძეა მთლად „სვეჟი“, წესით ოთხკედელსშუა რომ უნდა იჯდეს საბანკო „მაიმუნობის“ გამო? ან გიორგი ტუღუში, რომელსაც სამ დღეში სასჯელაღსრულების სისტემაში ჩანაწერების გაქრობაში ეჭვმიტანილად აცხადებენ პოტენციური ამომრჩევლები? ოთარ კახიძე ხომ მთლად ოჯახის წევრად არის გამხდარი ტელემაყურებლისთვის, ვინცკი „მამალი ნაცი“ იყო და კანონთან მოუწია შეხება, ყველას ადვოკატად რომ დაიყენეს – ან ბიბილაშვილი? „ალ კუპონედ“ და „გოცირიკად“ სახელდებული გოცირიძე როგორღა არის „ახალი სახე“, როცა გვარიანად ცნობილი, ოღონდ დამჟავებულად არის წარმოდგენილი? ტყეშელაშვილის ქალია კიდევ „ახალი“ და ბედინეიშვილი?

თუნდაც, მართლა „ახალი სახეები“ იყვნენ, ვინ არიან, რას წარმოადგენენ, რო?

საინტერესოა, მომდევნო, ოდნავ მოძველებული „ახალი სახეების“ ათეული როგორ გამოიყურება, გიორგი ბარამიძე, ხათუნა გოგორიშვილი, გიგი წერეთელი, კოტე გაბაშვილი, გოკა გაბაშვილი, მიხეილ მაჭავარიანი, გივი თარგამაძე, ზურაბ ადეიშვილი, ლევან ბეჟაშვილი, მიხეილ სააკაშვილი?

ახლები კი არა, ისეთი ჩამყაყებული ძველები არიან, ნაფტალინში თუ არ ამოავლე, ჩრჩილი შეწამს. ამ „ახლებს“, როგორც ჩანს, ჟოზეფ დოლის იმედი აქვთ, ეს დოლი კი ის გაცვეთილი დოლია, რომელსაც პრემიერმინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადებისთვის პასუხის გაცემამ მოუწია არცთუ დიდი ხნის წინ? არადა, ბატონმა ივანიშვილმა სწორედ ის თქვა ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე, რაც უნდა ეთქვა – „ნაცმოძრაობას“ მოქრთამული ჰყავს ევროპარლამენტარებიო.

რაგინდ იძახოს ჟოზეფ დოლიმ, ევროპარლამენტი თავისუფალი, მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი დემოკრატიული ინსტიტუტიაო, როგორ დაიჯერონ საქართველოში, როცა მისი პარტია მხოლოდ „ნაციონალებზეა“ ღრმად და უპირობოდ „გასწორებულ-მომართული“ და მათ მიღმა სხვა არავინ და არაფერი მოიაზრება?

„ევროპის სახალხო პარტია“ აყვირდა და აღშფოთდა, როცა დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ დამნაშავედ ცნობილი გიგი უგულავა ხელმეორედ დააპატიმრეს და იმავე ჟოზეფ დოლიმ განცხადება იშვლიპა;

იგივე „ევროპის სახალხო პარტია“ აყვირდა და აღშფოთდა, საქართველო ავტორიტარიზმის გზით მიდის, არიქათ, რუსთავი-2-ის“ სახით საქართველოს ხელისუფლება მედიის თავისუფლების ჩახშობას ცდილობსო და იმავე ჟოზეფ დოლიმ კვლავ განცხადება იშვლიპა;

იგივე „ევროპის სახალხო პარტია“ აყვირდა და აღშფოთდა, არიქათ, დედოფლისწყაროში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისზე თავდასხმა მოხდაო და იმავე ჟოზეფ დოლიმ კვლავ განცხადება იშვლიპა, მკაცრად ვგმობ შეიარაღებულ თავდასხმებსა და ძალადობას ოპოზიციურ პარტიაზეო;

რამდენჯერაც დოლი ახმაურდა და ვის გამოც, ყველას რა ჩამოთვლის, აღსანიშნი მხოლოდ ისაა, რომ გარდა „ნაციონალური მოძრაობისა“ და მისი ლიდერებისა, არავისზე ხმა არ ამოუღია, არაფერზე აღშფოთებულა; არც „ნაცმოძრაობის“ მხრიდან ძალადობა გაუგია ვინმეზე, არც შეიარაღებული თავდასხმები; არც თავისუფალი სიტყვის ჩახშობა და საერთოდ, არც არაფერი, ქვეყანასა და ერზე გადაგებულ სახელმწიფო მოღვაწეებად ჰყავს (თ) გაფორმებული გონებაში...

მთავარი ძაღლის თავი კი იმაში მარხია, რომ ჟოზეფ დოლი საკმაო ხანია აღარც ევროპარლამენტარია და აღარც ევროპარლამენტის EPP-ს ფრაქციის თავმჯდომარე. იგი გახლავთ პარტიის საპატიო პრეზიდენტი. ევროპარლამენტში „სახალხო პარტიის“ თავმჯდომარეა გერმანელი ევროდეპუტატი მანფრედ ვებერი, ხოლო ვიცე-პრეზიდენტი, იტალიელი ევროპარლამენტარი პარტია „ფორცა იტალიადან“ ლარა კომი. ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, ბატონ დოლს არანაირად არ შეუძლია ევროპარლამენტში რაიმე გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის მოხდენა.

ამდენად, „ევროპის სახალხო პარტიას“ და კონკრეტულად ბატონ დოლის სრულებით არ ენაღვლება და არც ეკითხება ვინმე ბუნიათიშვილი იქნება „ნაცმოძრაობის“ ახალი სახე და საარჩევნო სიის პირველი ათეულის პირველი კანდიდატი თუ ვინმე გულმკერდაშვილი, თუმცა, ვიხილეთ და მოვისმინეთ, რომ მთავარია, პარლამენტში „ნაცმოძრაობას“ გარანტირებული ჰქონდეს სკამები. ფეხზე ჰკიდია, რა გზით უნდა დაბევდეს ის სკამები, ამბობს და იქადნება, თუ ასე არ იქნება, აღვშფოთდები(თ) და სულ ერთ ადგილზე გვახატიხართ სრულიად საქართველო, განცხადებებს განცხადებებზე გამოვტყორცნით და ხმასაც არ მოგცემთ ვიზალიბერალიზაციის საკითხშიო.

„ჩვენ, საქართველომ, უმაღლესი წარმატებით შევასრულეთ ყველა საშინაო დავალება ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით და ასეთივე უმაღლესი შეფასებები მივიღეთ თავად ევროპელებისგან. დარჩა მხოლოდ საკითხის კენჭისყრაზე გატანა ევროპარლამენტში და შემდეგ ევროკავშირის საბჭოზე ბოლო წერტილის დასმა.

არავის, არასდროს, არც ერთ ეტაპზე ვიზალიბერალიზაციის საკითხის გადაწყვეტა ოქტომბრის არჩევნებთან არ დაუკავშირებია!

ახლა, როგორც ჩანს, „ნაცმოძრაობა“ იყენებს კიდევ ახალ იარაღს იმისთვის, რომ ჩაშალოს ეს პროცესი და ზიანი მიაყენოს ხელისუფლებას და საკუთარ ხალხს.

არ გამოგივათ!

თუ ასე გააგრძელეთ, ერთი წუთითაც ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ უმკაცრესი რეაგირება თქვენს მორიგ მოღალატეობრივ მზაკვრობაზე და პირდაპირ ანტიქართულ საქციელზე, ექნება სწორედ ამავე ქვეყნის ხალხს და ამომრჩეველს, რომლის ხელისუფლებაში დაბრუნებას ასე შანტაჟით და დაშინებით ცდილობთ.



მაინც, ასე ბრიყვულად როგორ მოიქეცით? არც-კი გიფიქრიათ, რომ ეს საქციელი, შეიძლება, ზუსტად თქვენვე შემოგიტრიალდეთ უკან...

არ გამოგივათ და არც გაპატიებთ!“ – დაწერა ზვიად კვაჭანტირაძემ „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე.

კაცმა რომ თქვას, „მიზანი ამართლებს საშუალებას“, ანუ არჩევნების ჩატარებამდე რომ სურდეთ „ნაციონალებს“ ვიზალიბერალიზაციის თემის გადაწევა და ამავდროულად ყველა საშუალებით, მათ შორის ლობისტური, ცდილობდნენ გავლენის მოხდენას, რა გასაკვირია? ვინ იცის, ისე, ყოველი შემთხვევისთვის, იქნებ 3-4 საჩოთირო ფარული ჩანაწერი ევროპარლამენტარებზეც კი ჰქონდეთ გადაღებულ-შემონახული...

**გიორგი ჩხეიძე**

234 28 97



# თუ საჭირო იქნება, აქციებსაც მოვაწყობთ მოთხოვნით – დაბრუნდეს პოლიტიკაში ირაკლი ღარიბაშვილი!

## გვესაუბრება მოძრაობა „ივერიელების“ ხელმძღვანელი ლევან კოჭლოშვილი



**თქვენი გაზეთის საშუალებით ვაცხადებ: სულ მალე ეკა კვესიტაძე თავის „აქცენტებში“ ირაკლი ღარიბაშვილის დისტრედიტაციისთვის მოამზადებს გადაცემათა ციკლს. ვითომდა ახალ და ექსკლუზიურ ინფორმაციას გაავრცელებს ექსკლუზივების მოყვარული ზოგიერთი ცრუ ბეჭდური მედია. ინფორმაცია მაქვს, რომ „რუსთავი-2“-ს გადაცემა „პოსტსკრიპტუმი“ ირაკლი ღარიბაშვილზე უარყოფით სიუჟეტს მომზადებს უახლოეს ხანში და გაშიფრავს ე. წ. „კახურ კლანს“ და ყოველივე ეს მიმართული იქნება ირაკლი ღარიბაშვილის რეიტინგის დაცემისკენ.**

საქართველოს ისტორიაში არ ყოფილა პრეცედენტი, რომელიმე პრემიერს ან პრეზიდენტს ჩვეულებრივი სამგზავრო თვითმფრინავით ესარგებლა. ამით იმის თქმა მინდა, რომ არც სიმდიდრე დაუგროვებია პრემიერობისას და არც ქონება. ის ჩვეულებრივ, რიგით ქართველად დარჩა და ისე ცხოვრობს, როგორც ჩვეულებრივი მოქალაქე.

წეღან ვთქვი, არ აწყობს ნაციონალებს მისი პოლიტიკაში კვლავ დაბრუნება-მეთქი. ამის დასტურად გეტყვით: „რუსთავი-2“-მა უკვე დაიწყო მის წინააღმდეგ მიზანმიმართული ქმედებები, მას აჰყვა ბეჭდური მედიის სხვა წარმომადგენლებიც. ხელახლა, მიზანმიმართულად ავრცელებენ ჭორებს ირაკლი ღარიბაშვილზე.

თქვენი გაზეთის საშუალებით ვაცხადებ: სულ მალე ეკა კვესიტაძე თავის „აქცენტებში“ ირაკლი ღარიბაშვილის დისტრედიტაციისთვის მოამზადებს გადაცემათა ციკლს. ვითომდა ახალ და ექსკლუზიურ ინფორმაციას გაავრცელებს ექსკლუზივების მოყვარული ზოგიერთი ცრუ ბეჭდური მედია. ინფორმაცია მაქვს, რომ „რუსთავი-2“-ს გადაცემა „პოსტსკრიპტუმი“ ირაკლი ღარიბაშვილზე უარყოფით სიუჟეტს მოამზადებს უახლოეს ხანში და გაშიფრავს ე. წ. „კახურ კლანს“ და ყოველივე ეს მიმართული იქნება ირაკლი ღარიბაშვილის რეიტინგის დაცემისკენ.

კიდევ ერთხელ გავიმეორებ – ირაკლი ღარიბაშვილი არის ის კაცი, ის პოლიტიკური ფიგურა, რომელიც სჭირდება ქართველ საზოგადოებას და „ქართულ ოცნებასაც“.

– **ლევან, რა გააკეთა ირაკლი ღარიბაშვილმა ისეთი, რომ ამდენი ქება-დიდება მიუძღვენი. ნაციონალების მიმართ თუ შეურიგებელი იყო, ეს, პრინციპში, ჩვეულებრივი ამბავია. პოლიტიკური ოპონირებაა, ოღონდ რადიკალური...**

– ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერობისას დაიწყო ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც ახლო მომავალში ეფექტურ შედეგებს მოიტანს. იგივე „აბრეშუმის გზის“ პროექტი, თუნდაც სოლიდარობის ფონდი, რომელიც კეთილ საქმეებს აკეთებს და მე ამაყი ვარ, რომ ეს ფონდი ირაკლი ღარიბაშვილის სახელს უკავშირდება. ევროპისკენ მიმავალი გზა, ასე ვთქვათ, ირაკლი ღარიბაშვილმა „გათი-ბა“ და ნუ ექნებათ ნაციონალებს იმის ილუზია, რომ თვითონ იყვნენ ამ საქმეში მნიშვნელოვნები. ღარიბაშვილის პრემიერობისას იდგა ეროვნული ლარი მყარად მიუხედავად იმისა, რომ უამრავი ხელისშემშლელი ფაქტორი იყო მის ირგვლივ, მათ შორის, სამთავრობო რგოლებიდანაც კი.

ღიად გეტყვით, პაპუაშვილი სააკაშვილის კადრი იყო, ქადაგიძე ნაციონალების მხარდამჭერი, რომელი ერთი ჩამოვთვალო. თითქმის იზოლაციაში იყო ირაკლი ღარიბაშვილი.

იმდენი ნაღმი და ბომბი დატოვეს ნაციონალებმა, ამ ნაღმებზე რომ არ აფეთქებულიყავი, დიდი ვაჟკაცობა იყო და ეს შეძლო ირაკლი ღარიბაშვილმა.

– პირდაპირ გეტყვით, გული დამწყდა, ბატონმა ირაკლიმ გადადგომის გადაწყვეტილება რომ მიიღო, ის სჭირდებოდა ქართულ პოლიტიკას.

გამოხატავდა საზოგადოებრივ აზრს, ლაპარაკობდა და აკეთებდა იმას, რაც სჭირდებოდა საქართველოს მოსახლეობას.

გახსოვთ, როგორ რადიკალურ განცხადებებს აკეთებდა ნაციონალების მიმართ. ამბობდა: მადლობელი იყვნენ, ქართველი ხალხი ისე რომ არ ექცევა მათ, რისი ღირსებიც არიანო. ირაკლი ღარიბაშვილი იყო ის, ვინც ხმამაღლა აჟღერებდა ქართველი ხალხის ინტერესებს და რეალურადაც იდგა ჩვენს გვერდით.

არ შემიძლია არ აღვნიშნო ერთი ფაქტი: რომ ირაკლი ღარიბაშვილი იყო ერთადერთი პრემიერი, ვინც უფლებამოსილების შესრულებას მას შემდეგ შეუდგა, რაც უწმიდესისგან აიღო კურთხევა.

ბატონ ირაკლის დღემდე ხალხში დიდი რეიტინგი აქვს და თუ ის კვლავ დაბრუნდება პოლიტიკაში, ალბათ, ეს ძალიან არ მოეწონება „ნაცმოძრაობას“ და გარკვეული სახის დესტაბილიზაციის მოწყობასაც შეეცდებიან. ისინი იგრძნობენ: თუკი ბატონი ირაკლი დაბრუნდება, მათი საბოლოო ჩაძირვა გარდაუვალი გახდება.

– **ირაკლი ღარიბაშვილი ჯერჯერობით ისვენებს, რამდენადაც ვიცი.**

– რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ის ამჟამად საქართველოში იმყოფება, თუმცა ცოტა ხნის წინ ბერლინში იყო დასასვენებლად.

ღარიბაშვილი უბრალო და გულისხმიერი კაცია. ვიცნობ მას და ამიტომ ვლაპარაკობ ღიად და უყოყმანოდ მასზე.

ამასწინათ აეროპორტში შემხვდა შემთხვევით. „თურქიშ აირლაინის“ ეკონომკლასის თვითმფრინავით გაფრინდა.

ხომ ხედავთ, რა ხდება დღეს?! გაქანებული შანტაჟი ვიდეოფირებით. ახლა ცდილობენ ირაკლი ღარიბაშვილთან დააკავშირონ ყოველივე ეს. რატომ? იმიტომ, რომ ძალიან ბევრს ეშინია მისი მიუკერძოებელი და უკომპრომისო პოზიციების.

– **მისი უკომპრომისობა და მიუკერძოებლობა პოზიციას ვერ გასცდა. რეალური ქმედებები, იგივე ნაციონალებთან მიმართებაში ვერ დავინახეთ. მისი პრემიერობისასაც იდგა ე. წ. სამართლიანობის აღდგენის პრობლემა და ახლაც დგას.**

– მოდით, ასე ვთქვათ, ირაკლი ღარიბაშვილი იყო ის კაცი, რომელთანაც საერთო ენის გამონახვა ვერ მოახერხეს ნაციონალებმა. ვერ ეკარებოდნენ. ღარიბაშვილთან კომუნიკაცია ნაციონალებისთვის ურთულესი პრობლემა იყო.

ღარიბაშვილი იყო ის კაცი, რომელსაც უხსენებდი თუ არა ნაციონალს, მათთან მიმართებაში კანონის და სამართლის ენაზე იწყებდა საუბარს ყოველგვარი შეღავათების გარეშე.

– **თქვენ ე. წ. ყინწვისის საქმეზე დაპატიმრებული ახალგაზრდების მეგობარი და თანამოაზრე იყავით. არ ეცადეთ ღარიბაშვილის პრემიერობისას ამ საქმის გარკვევა?**

– არც მიცდია ამ საქმის გარკვევა და არც გამირკვევია, რადგან ეს იყო ჩემს მიმართ წარმოებული ცილისწამება. ყველა აბსურდს თუ ყური დაუგდე, მიზნისკენ ვეღარ წახვალ.

ირაკლი ღარიბაშვილისთვის ამ თემასთან დაკავშირებით არ მიმიმართავს. არ მიმიჩნევია საჭიროდ. დღეს სხვა პრობლემები დგას ჩვენს წინაშე. ხომ ხედავთ, ჯულიეტა ვაშაყმაძის ოჯახში გიორგი გაბუნია გაიზარდა, თეა თუთბერიძე უწმიდესს შეურაცხყოფას აყენებს, ზაზა ბურჭულაძე პატრიარქის ვოლიერში ჩასმას მოითხოვს. ამისთვის გვჭირდება ჩვენ დღეს ირაკლი ღარიბაშვილისნაირი ხისტი პოლიტიკოსები, რომ ამ უმსგავსობებს საკადრისი პასუხი გაეცეს.

ეს საზოგადოებრივი დაკვეთაცაა.

მე ერთი რამ ვიცი, საზოგადოება ძალიან მალე მოითხოვს ირაკლი ღარიბაშვილის დაბრუნებას პოლიტიკაში და ის ვალდებულიც არის, ეს გააკეთოს.

– **როგორ ფიქრობთ, მას უნდა ეს?**

– არ მქონია მასთან საუბარი ამ თემაზე, მაგრამ დარწმუნებული ვარ, საზოგადოებას სურს ღარიბაშვილის პოლიტიკაში დაბრუნება.

ვფიქრობთ, მშვიდობიან და კონკრეტულ აქციასაც მოვაწყობთ, რომ ბატონი ირაკლი დაბრუნდეს პოლიტიკაში.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# კიდევ ვიმეორებ, ძლიერი ეროვნული სპეცსამსახურების გარეშე არც ერთ ქვეყანას მომავალი არ აქვს



## პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი სხვადასხვა ქვეყნების სპეცსამსახურების მუშაობის სტილსა და თვისებებზე გვიყვება

პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკ დავით გაგნიძის განცხადებით, რომელსაც ათეულობით წლის ოპერატიული მუშაობის გამოცდილება აქვს, სპეცსამსახურების წარმატებული მუშაობა, უპირველეს ყოვლისა მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მართვას, მათი მეშვეობით ადამიანების ტვინის გამორეცხვას ეფუძნება.

**დავით გაგნიძე:** „მთავარია, ადამიანის გონებაში შეაღწიო და იქ, როგორც სუფთა ქაღალდზე დატოვო შენთვის სასურველი ჩანაწერები. სამწუხაროდ, ადამიანების უმრავლესობა ამას ვერ გრძნობს და ხვდება, თუმცა არიან ისეთებიც, ვინც ხედავს გონებრივი დივერსიის მიმდინარეობას, მაგრამ ამ ყველაფერთან ბრძოლა რეალურად არ ძალუძს, მათ ფაქტობრივად გასაქანი არ აქვთ, რომ საზოგადოებას აუხსნან რასთან გვაქვს საქმე, რადგან ასეთი ადამიანებისთვის მასობრივი საინფორმაციო საშუალებების კარი საიმედოდაა ჩარაზული. ამიტომ მხოლოდ ვიწრო საახლობლო წრე რჩება, მაგრამ მათი უმეტესობაც, უკვე მასობრივი გონებრივი „დამუშავების“ მსხვერპლია. გონებრივი დივერსიის დამღუპველი შედეგის გამცნობიერებელი ადამიანი მარტო რჩება, აღარავის სურს მასთან ამ თემაზე საუბარი, უკეთეს შემთხვევაში, მას შეიძლება გონებრივი გადახრები დასწამონ, თუ მაინც ვერ გააჩუმეს, მერე თავად სპეცსამსახურები ჩაერთვებიან და უშუალო კონტაქტის გარეშეც საბოლოოდ გამოათაყვანებენ. სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევები მრავლად არსებობს. „ტვინგამორეცხილ“ ადამიანებს კი, საპოლემიკოდ სხვადასხვა აბსურდულ თემებს „შეუგდებენ“, მასმედიის საშუალებით ატეხავენ ჟრიამულს, ჩაითრევენ საზოგადოების უმეტესობას, გაავრცელებენ ათასგვარ ჭორებს, დამთავრდება თუ არა ერთი აბსურდი, იწყება მეორე და ასე გრძელდება უკვე რამდენი წელია. ამ ფარსის საბოლოო მიზანია, მოსახლეობას დაავიწყონ ყოველდღიური საზრუნავი, დაამსგავსონ ზომბებს, რომ ქვევრივით, რასაც ჩასძახებენ, უკან ამოსძახოს. სიმართლე




გითხრათ, საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ქართველ ერს საკმაოდ ძლიერი და სტაბილური გონებრივი შესაძლებლობები აქვს, ათეული წლებია უამრავ სისულელეს ჩაგვჩიჩინებენ, მაგრამ მოსახლეობის უმეტესობა მყარად დგას, სხვას ჩვენს ადგილზე მასობრივი ფსიქოზი დაემართებოდა. ისე, ჩვენთანაც იგრძნობა გარკვეული გადახრები, რისი პირველი მაგალითიცაა თვითმკვლელობებისა და თვითმკვლელობის მცდელობის გაზრდილი მაჩვენებლები.

**- ბატონო დავით, თუნდაც საქართველოს შემთხვევაში რომელი ქვეყნების სპეცსამსახურებს გულისხმობთ, რომელსაც მასმედიის საშუალებით უნდა მოსახლეობის ზომბებად ქცევა?**

- ყველა შემთხვევაში სიონისტებს ვგულისხმობ, გადავხედოთ მსოფლიოს ნებისმიერ წამყვან გაზეთებს, ჟურნალებს, რადიო-ტელევიზიას, ანუ ვისაც რეალურად მიყავს საინფორმაციო პოლტიკა და ყველაფერი მაშინვე აშკარა გახდება. დღეს ნარკობანკური კაპიტალიზმი, თავისი საინფორმაციო საშუალებებით იმ ღირებულებების წინა პლანზე წამოწევას ცდილობს, რაც თავად აწყობს, ამას კი იმ მასობრივი განადგურების იარაღით ახორციელებენ, რასაც ფული ჰქვია. სწორედ ამ ეშმაკისეულ სამკუთხედს – ფული-ბანკები-საინფორმაციო საშუალებები ფლობენ სიონისტები, ხოლო საკუთარ ძალაუფლებას და ინტერესებს სწორედ სპეცსამსახურების მეშვეობით ახორციელებენ. მათ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა აქვთ გამოცხადებული კაცობრიობისთვის, მასობრივი გენოციდიც სამი კომპონენტის გამოყენებით წარმოებს – ნარკოტიკული საშუალებები, ლოკალური ომები, სხვადასხვა ვირუსები. ფულის, ბანკების და მასმედიის ხელში ჩაგდება სიონისტებისთვის ყოველთვის უმთავრეს საზრუნავს წარმოადგენდა, რადგან კარგად იციან, რომ ვინც ხსენებულთ ფლობს, ის მსოფლიო ბატონობისთვისაა „განწირული“, იმ მსოფლიოსი, რომელიც მხოლოდ თავისთვის უნდათ. სიონისტურ „ჭეშმარიტებაში“, მარტივი გონების, ჭკუადაბნეულ ადამიანებს მართლაც უდიდესი ბლეფი ლოზუნგებით აჯერებენ, ესაა „პიროვნების თავისუფლება“ და „დემოკრატია“. ერი ეკლესიამ უნდა აღზარდოს, ერის მიზანი და მისწრაფებები ინტელიგენციამ უნდა დასახოს, ამ მიზნის შესრულებისკენ კი თავადაზნაურობამ უნდა წაიყვანოს, ამ ყველაფერს სათავეში მეფე უნდა ჩაუდგეს. სწორედ სიონისტური მოძრაობის მომძლავრების შემდეგ (მე-19 საუკუნე) დაიწყო მონარქიების დაშლა, რასაც ბუნებრივად მოყვა თავად-აზნაურობის დაკნინება, ინტელიგენცია (უნდოდა თუ არა) მმართველი ფენის სამსახურში ჩადგა. ერთადერთი ეკლესია გადაურჩა ამ რყევებს, იმიტომაც ებრძვიან მას ასე გააფთრებით. „პიროვნების თავისუფლების“ ლოზუნგით ოჯახებში შემოგვიცვივდნენ და ათასგვარი ფუყე







სიტყვების რახარუხით, მარტო ცოლ-ქმრულ ურთიერთობებში კი არ ჩაყვეს თავიანთი ბინძური ცხვირი, ბავშვებსაც გადაწვდნენ და თითქოს რაღაც უფლებები მისცეს. ერთი სიტყვით, ჯერ სახელმწიფოები დაყვეს ოჯახებად, შემდეგ ოჯახების დაქუცმაცებას მიჰყვეს ხელი, რადგან გათითოკაცებული ადამიანების მართვა უფრო ადვილია. ამას დაუმატეთ შერჩევითობის პრინციპით ხალხის სამსახურებიდან მასობრივი გაყრა და სავალალო შედეგიც სახეზეა. სპეცსამსახურების მეორე უდიდესი ძალა თანამედროვე ტექნიკაა (მობილური ტელეფონები, ინტერნეტი, ელექტრობარათები და ა.შ.) რომლის მეშვეობითაც ხდება მოსახლეობის გაკონტროლება. მესამე ძალა აგენტურაა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ინსტიტუტს უმთავრესი ფუნქცია აღარ აქვს, მაინც მნიშვნელოვან ძალად ითვლება. უკვე ათეული წლებია აგენტურამ სახე იცვალა, აგენტები ძირითადად „საბოტაჟნიკები“ გახდნენ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტალინი, რომელსაც ყველაფრის წინასწარ განჭვრეტის უნარი არ აკლდა, მართლაც ცეცხლითა და მახვილით ებრძოდა ამ გადაგვარებულთა კასტას. პირადად მე, მხოლოდ ერთი გამოსავალი მესახება (ამას ჩემზე ჭკვიანი ხალხიც ამბობს), ყველამ უნდა შეიგნოს, რომ ძლიერი ეროვნული სპეცსამსახურების გარეშე, არც ერთ ქვეყანას მომავალი არ აქვს. ამას უპირველესად იმ „ტვინგაცხელებულთა“ გასაგონად ვამბობ, ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების სამსახურის გაუქმების იდეით რომ გამოდიან. ტვინგაცხელებული კიდევ რბილად ნათქვამია, ქვეყნის მოღალატე თუ არ ხარ, როგორ უნდა მოგივიდეს თავში ეს აზრი, მით უმეტეს მაშინ, როცა მსოფლიო ტერორიზმმა წალეკა. უკვე ევროპის შუა გულში, ნატოს და ევროკავშირის შტაბბინების ცხვირწინ აწყობენ ტერაქტებს, რომელსაც უამრავი ადამიანი ემსხვერპლა, ჩვენ კი თურმე სპეცსამსახური არ გვჭირდება, ეს ჭკუათმყოფელი ადამიანის ნააზრევია?

ქართველ მეფეებს ყოველთვის ჰქონდათ სპეცსამსახური, რა მიშვნელობა აქვს მაშინ რა ერქვა, აბა მსტოვრები ვინ იყვნენ? მსტოვარი ძველი ქართული სიტყვაა, რომელიც თანამედროვე ენაზე მზვერავს, ჯაშუშს ნიშნავს. რუსეთთან 200-წლიანი ურთიერთობის პერიოდმა ყველაფერს თავისი კვალი დააჩნია, დამოუკიდებლობის მიღების შემდეგაც ჩვენი ქვეყნის სპეცსამსახურებს უცხოელი „კოლეგები“ მეთვალყურეობენ და კურირებენ, 90-იან წლებში თუ რუსული გავლენა იყო, 21-ე საუკუნეში ამერიკელებმა ჩაანაცვლეს. მათი გავლენა განსაკუთრებით ნაციონალების მმართველობისას გაძლერდა, საკუთარი თვალით მაქვს ნანახი, როგორ მოდიოდნენ გვიან ღამით „მოდულის“ შენობაში ინგლისურად მოსაუბრე პერსონები და ინსტრუქციებს გასცემდნენ. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ რუსეთთან ურთიერთობის დროს, ჩვენთან მართლაც ჩამოყალიბდნენ პროფესიონალი კადრები, რომლებიც დროთა განმავლობაში ეროვნულ საქმესაც აკეთებდნენ. ამერიკულ სპეცსამსახურებთან ურთიერთობამ კი დაგვანახა, რომ ვითარება გაუარესდა, რადგან ისინი ღიად თუ შეფარულად ებრძვიან ჩვენს ტრადიციებს, რელიგიას, განათლებას და რაც მთავარია, ჩვენს ისტორიას, წარსულს. ამას რუსული სპეცსამსახურები ვერ ბედავდნენ, შეიძლება არც კადრულობდნენ, ვფიქრობ, მათ სურდათ ჩვენი სწრაფად გადაგვარება, მაგრამ ამდენ ჭირვარამ გამოვლილ ერთან ეს არ გამოუვიდათ. სხვათა შორის, არც იმას გამოვრიცხავ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ვისი ზეგავლენის სფერო იქნებოდა



ამიერკავკასია, რუსეთის სასარგებლოდ გადაწყდა და რუსულ-ამერიკულმა სპეცსამსახურებმა ერთობლივი მუშაობის შედეგად შეუქმნეს აშშ-ს ზემოხსენებული იმიჯი, მიზანი ამიერკავკასიელების რუსეთისკენ მიბრუნება იყო, რაც ვფიქრობ, კარგად გამოუვიდათ. ამერიკის ზეგავლენის სფეროში მოხვედრის, უფრო ზუსტად კი ალექსი ინაურის თანამდებობიდან წასვლის შემდეგ, ქართული უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელ თანამდებობებზე უინიციატივო, საკუთარი ტყავის გადარჩენის კომპლექსით შეპყრობილ ადამიანებს ნიშნავდნენ, ოღონდ, როგორც გითხარით, რუსეთის გავლენის დროს, მათ რაღაც ეროვნული მუხტი მაინც გააჩნდათ, 21-ე საუკუნეში არაფერი ამგვარი, პატრიოტის მცნება მათთვის უცხო ხილი იყო. ისე, ამ ნიშნის მატარებელ ადამიანს არც დანიშნავდნენ ხელმძღვანელ თანამდებობაზე. ნაციონალების ზეობისას პატრიოტი პროფესიონალები საერთოდ ჩამოაშორეს სპეცსამსახურებს და ხელში შერჩათ უფუნქციო, ხელფასიდან ხელფასამდე „მოღვაწე“ არაპროფესიონალი კადრები, თუმცა სიმართლე უნდა ითქვას, რომ ეს ტენდენცია 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო და დიდი ეჭვი მაქვს, რომ დღემდე გრძელდება.

**- ბატონო დავით, ვინ არის „მეხუთე კოლონა“ და ვინ იყო მისი შექმნის ინიციატორი?**

- დღეს ზოგიერთი ვაიპატრიოტი ამ ასე ვთვათ, ინსტიტუტის შექმნას სტალინსა და ლავრენტი ბერიას აბრალებს, რაც სრული აბსურდია. სტალინის მმართველობისას როგორ იყვნენ ე.წ. ჩამშვებები, მაგრამ არა იმ რაოდენობით, როგორც 70-იანი წლებიდან. საქმე იმაშია, რომ სტალინის დროს არავის არაფერს პატიობდნენ, 70-იანი წლებიდან კი დაიწყეს კომპრომატების შეგროვება, შემდეგ ამ კომპრომეტირებული ხალხის „დავერბოვკება“, ვინც სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაზე უარს იტყოდა, ამ კომპრომატების გამოყენება. სწორედ სტალინის მმართველობის შემდეგ შექმნეს იმ თანამდებობის პირთა ნუსხა, რომელთა წინააღმდეგ ინფორმაციების შეგროვებაც კი აკრძალული იყო. საერთოდ, აგენტურული მუშაობის ორი მეთოდი არსებობს: ინგლისური, რომლის დროსაც მხოლოდ ინფორმაციის ხარიხს ენიჭება უპირატესობა, რაშიც სოლიდურ თანხებს იხდიან და გერმანული, როცა ინფორმაციის რაოდენობაზე კეთდება აქცენტი. მთავარია, ბევრი ინფორმაცია შეგროვდეს, რომლის დახარისხების შემდეგ, საჭირო ინფორმაცია საკმაოდ გროვდება. გერმანული მეთოდი ცხადია, უფრო შრომატევადია, სამაგიეროდ გაცილებით იაფი ჯდება. საბჭოთა კავშირის დროს სპეცსამსახურები გერმანული მეთოდით მუშაობდნენ, იმიტომაც იყო, აგენტების გადაბირებამ და შეგროვებულმა ინფორმაციებმა მასშტაბური სახე რომ მიიღო. თითოეული თანამშრომლისგან ყოველ თვე ახალ-ახალი აგენტების გადაბირებას ითხოვდნენ, მინიმუმ თვეში ერთხელ მაინც უნდა მიგეღო ინფორმაცია, მიგეცა აგენტისთვის დავალება, სწორედ იმ პერიოდიდან გააქტიურდა ე.წ. ოდეერის ინსტიტუტიც. „ოდეერი“ რუსული აბრევიატურაა და მოქმედი რეზერვის ოფიცერს ნიშნავდა, მაგრამ უკვე მოძველებული ტერმინია, ახლა მათ „აპეესი“ ჰქვიათ, რაც მივლინებული თანამშრომლების აპარატს ნიშნავს, თუმცა ფუნქცია იგივე დარჩა. სპეცსამსახურებში მომუშავე მრავალი ოფიცერი სპეცდავალებით იგზავნებოდა სხვადასხვა სფეროებში. თუ ყურადღებით გავაანალიზებთ ეკონომიკის დარგების 90-იანი წლების ისტორიას, დავინახავთ, რომ ყველა მნიშვნელოვან დარგში, ან მიმართულებაში საკმაოდ აქტიურ როლს ასრულებდა ოფშორული ზონები და კომპანიები, რომლებიც 70-იან წლებსა და 80-იანი წლების დასაწყისში შეიქმნა, მაგალითად ოფშორული ფირმა „ჯამბლიკი“ 1984 წელსაა შექმნილი, რომელიც ბრატსკის (რუსეთი) ალუმინის ქარხნის საკონტროლო პაკეტს ფლობდა, ასეთივე ფირმაა 1974 წელს შექმნილი „კილდაც“. სწორედ ოფშორებიდან მოდიოდა საინვესტიციო თანხები, რომლებიც არამარტო ფულად სახსრებს დებდნენ საწარმოებში, არამედ ჩეკისტური კადრებითაც ავსებდნენ, ეს უკანასკნელი მთელი ამ სქემის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი იყო. 80-იანი წლების მეორე ნახევარში დასავლეთში მნიშვნელოვანმა ფულადმა სახსრებმა მოიყარა თავი (რამდენიმე ათეული მილიონი დოლარი), რაც შემდეგ პოსტსაბჭოთა სივრცეში დაბრუნდა ცალკეული ჯგუფების პოლიტიკური ინტერესების გასატარებლად, რომლების ბირთვსაც „კაგებეს“ თანამშრომლები შეადგენდნენ. ეს სახსრები ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკის განადგურების ხარჯზე სულ უფრო მატულობდა, პოსტსაბჭოთა რესუბლიკებში ფაქტობრივად, ქვას ქვაზე არ ტოვებდნენ, რათა ყველას მონატრებოდა ის „ერთიანი ძმური ოჯახი“, რომელსაც საბჭოთა კავშირი ერქვა. ამერიკა კი ამ ყველაფერს თვალს მშვიდად ადევნებდა, რადგან მათსა და საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობას შორის, თავის დროზე გარიგება შედგა, ხომ თქვა კიდეც მამა ბუშმა, საბჭოთა კავშირის დაშლა ჩვენს ინტერესებში არ შედისო. ამერიკა მოგვიანებით თვითონაც ჩაერთო საყოველთაო ფულის კეთებაში, თანაც არამარტო ნარკოტრეფიკის ხარჯზე, რითაც საბოლოოდ დაასამარეს ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების სანუკვარი ოცნება თავისუფლების შესახებ. საბჭოთა კავშირის მემკვიდრედ აღიარებულ რუსეთსა და ყველა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკას რეალურად „კაგებეს“ მიერ დატოვებული მბრძანებელი კადრები მართავენ, ისინი წყვეტენ ყველაფერს, ასე რომ, ამერიკასთან შეთანხმებით მოხდა საბჭოთა კავშირის „კონტროლირებადი დაშლა“. ორი აზრი არ არსებობს, რომ ჩეკისტები ფულს აკეთებდნენ, საგარეო შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი უცხოურ ანგარიშებზე რჩებოდა და ადგილზე გაკეთებული ფულიც საზღვარგარეთის ოფშორულ ანგარიშებზე იგზავნებოდა. სხათა შორის, რამდენიმე ხნის წინ სერბი ჟურნალისტი გაოცებული ამბობდა, ჩემს ქვეყანაში ყველა ელოდებოდა რუსულ ინვესტიციების შემოსვლას, რომელიც სერბეთის ეკონომიკას ააღორძინებდა, სინამდვილეში კი რუსმა ინვესტორებმა ადგილობრივი მფლობელების „გაპრესვა“ დაიწყეს, რათა მათი აქტივები მუქთად ჩაიგდონ ხელშიო. ჩეკისტურ ჟარგონში არის ასეთი ტერმინი – „მეცხრე მუხლი“, ეს არის სხვადასხვა ოპერაციის ჩასატარებლად გამოყოფილი ფული, რომლის შემდგომ ანგარიშში ჩაბარება კატეგორიულადაა აკრძალული იმ მოტივით, რომ საზღვარგარეთ მოქმედმა აგენტებმა ბუჰხალტრული ანგარიშებით არ გაშიფრონ ესა თუ ის ოპერაცია. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვერასდროს გავიგებთ, რამდენი თანხა და რისთვის გავიდა ქვეყნის ფარგლებს გარეთ.



იოსებ სტალინი



ალექსი ინაური



ჯიმი კარტერი და მაშინდელი ცსს შეფი ჯორჯ ბუში

**- მოდით, უფრო კონკრეტულად ვისაუბროთ ოდეერისა და აგენტის ინსტიტუტზე, მით უმეტეს, რომ ბოლო ხანს დიდი აჟიოტაჟია ატეხილი, რა უნდათ სასწავლო სასწავლო დაწესებულებებში ოდეერებს, აუცილებლად უნდა გაუქმდეს ეს ინსტიტუტიო.**

- ე.წ. ოდეერი და აგენტი ერთმანეთისგან აუცილებლად უნდა გავმიჯნოთ, კომუნისტური მმართველობის ბოლო წლებში სულ უმნიშვნელო საწარმო, საპარიკმახერო თუ საბალეტო სკოლაც კი „გადახურული“ იყო ოდეერებით, ანუ უშიშროების სამსახურის ოფიცრებით, თანაც ისე, რომ მათ საერთოდ არ იცოდნენ ჰყავდა თუ არა მის უწყებას იქ თავისი აგენტი. სხვათა შორის, არც ამ უკანასკნელმა იცოდა ვინ იყო ან საერთოდ რას ნიშნავდა ოდეერი, ამ მექანიზმით „კაგებე“ ორივეს აკონტროლებდა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ტრადიციული „ჩამშვებების“ ოჯახები ჩამოყალიბდა, რაც კრიმინალურ სამყაროშიც მოქმედებდა, აბა ვინ იყვნენ „კანონიერი ქურდები“? მათ კი აგენტი „კარგი ბიჭები“ მეთვალყურეობდნენ. მოგვიანებით სწორედ ამათი შთამომავლები მოვიდნენ თანამდებობებზე და დაიწყეს თავისუფალი საქართველოს საბოლოო გამოხვრა, ისინი უსიტყვოდ ასრულებდნენ „ცენტრის“ დავალებებს. აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ კარგ, პროდუქტიულ აგენტს, ნორმალური ოპერატიული თანამშრომელი ოფიციალურად არასოდეს გააფორმებს, მის მოპოვებულ ინფორმაციას, უბრალოდ უმოქმედო აგენტს მიაწერენ ხოლმე. ასე რომ, „ოდეერსა“ და აგენტს თუ შემთხვევით, მაგრამ მაინც გაშიფრავ, კარგი აგენტის გაშიფვრის შანსი ნულის ტოლია, მას ვერასოდეს „გახსნი“. „ოდერის“ გაშიფვრა შედარებით ადვილია, როგორც კი დაადგენ, რომ იგი ადრეულ წლებში სპეცსამსახურებში მუშაობდა, მასთან ფრთხილად უნდა იყო. მათ ასაკს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, როგორც წესი, ისინი სიცოცხლის ბოლომდე მუშაობენ სპეცსამსახურებში, აქედან მოდის გამოთქმა, ყოფილი „კაგებეშნიკი“ არ არსებობსო. ხსენებულ პირთა ჯგუფი რამდენიმე კატეგორიის ადამიანებისგან შედგება: პირველი – თითქოს კარჩაკეტილი, გოროზი, თავის თავში დარწმუნებული; მეორე – გულღია, ბევრს საუბრობს, ანეგდოტების მოყვარული და მხიარულია; ხოლო მესამე, თითქოს მოშტერო, იდიოტური შეკითხვებით დაუსრულებლად მოლაყბე, მაგრამ სამივე კატეგორიას ანალოგიური თვისებებით ხასიათდებიან. ოდეერები, როგორც წესი, რომელიმე საწარმოს, ფირმის თუ სააქციო საზოგადოების უშიშროების სამსახურის უფროსები არიან, მათი თანხმობის გარეშე არცერთი თანამშრომელი არ დაინიშნება თანამდებობაზე, ვერ დაწინაურდება, არ გაეზრდება ხელფასი და ვერც პრემიას მიიღებს. ისინი სახელმწიფო უშიშროების სამსახურს ემორჩილებიან და თვეში ერთხელ ამ სამსახურის ხელმძღვანელობის სახელზე ადგენენ მოხსენებით ბარათს, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი შემთხვევა არ მოხდა. რას იზამთ, ესაა მათი სამსახური, თუ შეძლებთ მის გამოვლენას, იქით უნდა გამოიყენოთ, ისეთ თემაზე უნდა ესაუბროთ, უფრო მეტიც, დაარწმუნოთ, რომელიც თქვენს კარიერას გამოადგება, დაგეხმარებათ მიზნის მიღწევაში. მთავარია, ემოციებს არ აყვეთ, ნერვები მოთოკოთ, მუდამ შემართული და საკუთარ თავში დარწმუნებული უნდა იყოთ და ყველაფერი გამოგივათ.

**მანანა სუხიშვილი**

599 51 28 24

# ე. წ. ოპოზიცია რომ გაიძახის, სად არის შეპირებული ქარხნებიო, მოვიდნენ და ვაჩვენებ ქარხნებს სენაკში!

„საერთო გაზეთის“ რუბრიკის „ძლიერი რეგიონები ძლიერი საქართველოსთვის“ ფარგლებში ორიოდე დღის წინ სენაკს ვესტუმრეთ. გთავაზობთ ინტერვიუს სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებელთან ბატონ გოჩა დგებუაძესთან.



**— ბატონო გოჩა, რა ხდება სენაკში? რა გააკეთეთ, რის გაკეთებას აპირებთ, რა გეგმები გაქვთ?**

— მე სენაკელი ვარ. სენაკთან და სენაკელებთან ერთად გავიარე ყველა ის მოვლენა, რაც ქალაქს გადახდა ბოლო წლების განმავლობაში და უნდა გითხრათ, სენაკი იყო ყველა პოლიტიკური მოვლენის ეპიცენტრში, რაც კი მნიშვნელოვანი მომხდარა ბოლო პერიოდის საქართველოში. სამოქალაქო ომის უბედურებები რომ არ გავიხსენოთ, აფხაზეთის ტრაგედიის პერიოდში სოხუმისა და სენაკის დაბომბვებს ვერ დავივიწყებთ. დიდი ძალისხმევა დასჭირდა დანგრეული ინფრასტრუქტურის აღდგენას სენაკში. იმდროინდელი პრობლემების გამოძახილის მოგვარება დღესაც გვიწევს.

როგორც თითქმის ყველა ქალაქში, აქაც ჩვენი საქმიანობის მთავარ მიმართულებას წყალმომარაგების სისტემის მოწყობა და მოუწესრიგებელი ინფრასტურუქტურის რეაბილიტაცია წარმოადგენს.

წინასაარჩევნოდ და სხვა შეხვედრების დროსაც მოსახლეობა სწორედ ამ საკითხებს აყენებდა ჩვენს წინაშე. საზოგადოების აქტიური ჩართულობა და პროცესების გამჭვირვალობა ჩვენი საქმიანობის უმთავრესი პრინციპია. ამიტომაც ინტენსიურად ვხვდებით მოსახლეობას და მათგან ვღებულობთ ინფორმაციებს არსებული გამოწვევების შესახებ.

სამ წელიწადზე მეტია, რაც ამ პოზიციაზე ვარ და ვფიქრობ, რომ ძირეულად თუ არა, პრობლემების გადაჭრაში გარკვეულ წარმატებებსაც მივაღწიეთ. შედარებისთვის: წყალი მოსახლეობას სამ დღეში ერთხელ მიეწოდებოდა, ახლა უკვე 18-საათიანი წყალმომარაგება აქვს ქალაქს, ხოლო სისტემის სრული რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ მოსახლეობა უწყვეტი წყალმომარაგებით ისარგებლებს. აღსანიშნავია, რომ 2013-15 წლებში ქალაქის 70-ზე მეტი ქუჩა რეაბილიტირდა. მიმდინარე წელს რეაბილიტირდება ქალაქის 16 ქუჩა და 4900 მეტრი გზა სოფლად.

გვაქვს სოციალური პროგრამები დაახლოებით, 16 პროგრამა, რომელთა შორის შემიძლია გამოვყო სამედიცინო ოპერაციებში სახელმწიფო თანადაფინანსებით დარჩენილ თანხაში დახმარება, სოციალურად დაუცველებისთვის წამლებით უზრუნველყოფის პროგრამა.

შარშანდელი წლიდან სოციალურად დაუცველებისთვის სამშენებლო მასალებით უზრუნველყოფის პროგრამა ავამოქმედეთ, შემოსული განცხადებების ანალიზის შედეგად ნათელი გახდა, რომ მოსახლეობა ძირითადად საცხოვრებელი სახლების სახურავების გამოცვლას და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას ითხოვდა.

სამწუხაროდ, მთავარი პრობლემა, როგორც ყველგან, ასევე სენაკშიც დასაქმება გახლავთ. ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი გზა ინვესტიციების მოზიდვაა. დაინტერესებულ ინვესტორს უპირველეს მოთხოვნად ვუყენებთ, რომ დაასაქმოს ადგილობრივი მოსახლეობა.

განათლების სამინისტროს ხელშეწყობით რეაბილიტირდა 17 სკოლა, ხოლო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აღდგენა-მშენებლობა ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად შეიძლება ჩაითვალოს.

წარსულზე ლაპარაკი არ მიყვარს, მაგრამ არ შემიძლია არ გითხრათ, რომ 2012 წლამდე მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში სულ რამდენიმე ბაღი ფუნქციონირებდა. ეს ბაღები სათანადო პირობების უქონლობის გამო შეზღუდული გრაფიკით მუშაობდნენ. ამის მიზეზი ინვენტარისა და სათანადო კვების არარსებობა იყო.

ამჟამად სენაკის ყველა სოფელში არის საბავშვო ბაღი, ზოგიერთ სოფელში ორი ბაღია. მოწესრიგებულია საბავშვო ბაღების კომუნიკაციები. აღსაზრდელები უზრუნველყოფილი არიან სამჯერადი კვებით.

**— კარგია, რომ ამდენი ბაღია საჭირო. მოსახლეობა არის, თაობები მოდიან...**

— ამ კუთხით ჩვენთან საგანგაშო ვითარება არ არის. მდგომარეობა გაუმჯობესდა მას შემდეგ, რაც სოფლის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამები ამოქმედდა. მცირემიწიან ფერმერთა მხარდაჭერის პროგრამებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა — დამაგრდა ხალხი ადგილებზე, სოფლებში, რაიონში.

**— ბატონო გოჩა, სანამ თქვენ შეგხვდებოდით, მოსახლეობას გავესაუბრე, ჩინელები აპირებენ სენაკში ფეხის მოკიდებასო, წუხდნენ. რა ტიპის წინადადებებით შემოდის ინვესტორი?**

— მინდა ჩვენი მოსახლეობა დავამშვიდო, ინვესტორს, რომელმაც შეიძლება სენაკისა და სენაკელებისთვის ზიანი მოიტანოს, ჩვენ არ შემოვიყვანთ.

ჩინური მხარე დაინტერესებულია მუნიციპალიტეტში ცემენტის ქარხნის მშენებლობით, ეს დაახლოებით 80 მილიონიანი საინვესტიციო შემოთავაზებაა, რომელიც, განხორციელების შემთხვევაში, სრულ შესაბამისობაში იქნება მსოფლიო სტანდარტებთან. აქაც კვლავ მთავარი პირობაა მშენებლობის დროს და შემდგომაც ადგილობრივების დასაქმება.

სულ ახლახან მნიშვნელოვანი შემოთავაზება მივიღეთ ჩინელი ინვესტორებისგან სენაკში სამედიცინო ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით. ჯანდაცვის სამინისტროს პროგრამის შესაბამისად ისინი აპირებენ რეგიონული ფსიქო-ნევროლოგიური ცენტრის მშენებლობას.

აქვე ვიტყვი, რომ დღეს ჩვენთან სოფლის მეურნეობის პროგრამის ფარგლებში ფერმერთა ხელშეწყობის პროგრამით დაახლოებით 11 000 ბენეფიციარი სარგებლობს.

11 000 ბენეფიციარი 11 000

გოჩა დგებუაძე დაიბადა ქალაქ სენაკში. წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი და ჰუმანიტარულ-ეკონომიური ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტი იურისტი-სამართალმცოდნის კვალიფიკაციით.

2013 წლის 9 ივლისს დაინიშნა სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლად.

2014 წლის 15 ივნისს არჩეული იქნა სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებლად.

2014 წლიდან არის საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი.

მიღებული აქვს სერთიფიკატები სხვადასხვა ტრენინგებში მონაწილეობისათვის.

გაიარა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები გერმანიაში.

ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ორი შვილიშვილი.

**სოფლის მეურნეობის პროგრამის ფარგლებში ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროგრამით სარგებელი მიიღო 10 519 ბენეფიციარმა.**

**პროგრამის სრული ღირებულება 853 856 ლარია. დამუშავდა 5443 ჰა მიწის ფართობი. აქტიურად მიმდინარეობს მეცხოველეობის დარგის მხარდაჭერის პროგრამები.**

* * *

**თეკლათის ადმინისტრაციულ ერთეულში 427 ჰა-ზე განხორციელდა დაშრობითი სამუშაოები.**

**სოფლად რეაბილიტირდა მაგისტრალური და მიმღები არხები.**

**პროგრამის ფარგლებში სარგებელი მიიღო მუნიციპალიტეტების 700-ზე მეტმა მიწათმოსარგებლემ.**

**მიმდინარე წელს ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში 370 ჰა-ზე განხორციელდა დაშრობითი სამუშაოები.**

* * *

**სკოლამდელ დაწესებულებათა დაფინანსებებმა შეადგინა 1 050 მლნ. ლარი.**

**180 პედაგოგი უზრუნველყოფილია უფასო ტრანსპორტირებით.**

**განათლების სამინისტროს დაფინანსებით რეაბილიტაცია ჩაუტარდა 2 სკოლას. ღირებულებამ შეადგინა 370 000 ლარი.**

**რეაბილიტაცია ჩაუტარდა 8 საბავშვო ბაღს.**

**ჭალადიდისა და ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულებში მიმდინარეობს საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია.**

**სპორტული მიმართულებებისთვის დაიხარჯა 562 000 ლარი.**



„საერთაშორისო ბაზრებზე დაფნა ერთ-ერთი მოთხოვნადი პროდუქტია. სეზონზე 200 ტონა დაფნის გადამუშავებას ვგეგმავთ. პროდუქცია საექსპორტოა და რუსეთის ფედერაციაში გადის. საწარმოს აშენება შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის საშუალებით შევძელით. სამომავლოდ ვგეგმავთ, გავფართოვდეთ. ჩვენი მიზანი ხარისხიანი პროდუქციის წარმოებაა”, - აცხადებს დაფნის გადამამუშავებელი საწარმო „ლაურუსის“ დირექტორი **ივანე ჯალაღონია**.

კოოპერატივ „სოფლის იმედის“ თავმჯდომარე **მალხაზ ხუნწარია:** მოღვაწეობა დავიწყეთ 7 წლის წინათ თხილის ბიზნესის მიმართულებით. 2012 წლის შემდეგ, რაც სოფლის მეურნეობის განვითარება მეტად პრიორიტეტული გახდა, აქტიურად გაიშალა ჩვენი საქმიანობაც. ჩამოყალიბდა კოოპერატივების განვითარების სააგენტო. შევქმენით კოოპერატივი სამ მუნიციპალიტეტში – სენაკში, აბაშასა და ხობში 2014 წელს. მონაწილეობა მივიღეთ NPARD-ს პროექტში და გამოგვეყო თანადაფინანსება 40 000 ევროს რაოდენობით. შევიძინეთ კოოპერატივისთვის მანქანა-დანადგარები. ვთანამშრომლობთ კოოპერატივების განვითარების სააგენტოსაც.



ოჯახს ნიშნავს, რომლებსაც სახელმწიფო თავისი ხარჯებით დაუმუშავებს სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებს. გარდა ამისა, მოქმედებს სხვა სოციალური და ეკონომიკური პროგრამები, მაგალითად, იაფი სესხისა და კოოპერატივების ხელშეწყობის პროგრამები.

დაფუძნდა რამდენიმე ახალი კომპანია. იაფი სესხის ფარგლებში ამოქმედდა ორი დიდი ქარხანა, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმდა. ერთში 200, მეორეში – 300 ადამიანი.

ე. წ. ოპოზიცია რომ გაიძახის, სად არის შეპირებული ქარხნებიო, მოვიდნენ და ვაჩვენებთ ქარხნებს სენაკში!

„აისო" სერტიფიკატის მეორე დონის სამი ქარხანა სენაკში თხილს ამუშავებს ამ დროისთვის. რამდენიმე ქარხნის გახსნა კიდევ იგეგმება.

ჩვენთან მოქმედებს სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავალი", რომლის ფარგლებში დაფუძნდა სანერგე მეურნეობა სოფელ



ნოსირში. ამავე პროგრამის ფარგლებში მეორე ნოსირში ფუნქციონირებს მარწყვის სასათბურე მეურნეობა.

წლის დასაწყისში დაფნის გადამამუშავებელი ქარხანა გაიხსნა, რომელსაც სოფლის მეურნეობის მინისტრი ესწრებოდა. უნდა ვისარგებლო შემთხვევით და აღვნიშნო, რომ სწორედ სოფლის მეურნეობის მინისტრი გვიდგას გვერდით აქტიურად. მისი ხელშეწყობით ბევრი სასიკეთო პროექტი განხორციელდა როგორც სენაკში, ასევე მთლიანად რეგიონში.

– **სამეგრელოს რაიონები ოდითგანვე ცნობილი იყო მესაქონლეობის განვითარების კუთხით, მოგეხსენებათ, მეგრული ჯიშის საქონლის უპირატესობანიც. ახლა რა მდგომარეობაა?**

– თეკლათში ჰოლანდიელებთან ერთად ერთობლივი საწარმო მოქმედებს, სადაც ეკოლოგიურად სუფთა რძის პროდუქტებს აწარმოებენ უმაღლესი სტანდარტების გათვალისწინებით.

რადგან სიახლეებზე ჩამოვარდა საუბარი, აქვე გეტყვით – შარშან სენაკში საცდელად 400 ჰა-ზე ბრინჯი დაითესა და საკმაოდ ეფექტური შედეგიც მივიღეთ.

– **რაც შეეხება გზებს?**

– 30 წელიწადი რომ უმძიმეს მდგომარეობაში იყო, ისეთი გზები გაკეთდა სენაკში. უდაბური ადგილები გამზირების სახით შეემატა ქალაქს.

მიკოტახილის გზის მონაკვეთზე ნოქალაქევის კომპლექსის მიმართულებით სერიოზული სამუშაოები ჩატარდა. ამ უმნიშვნელოვანეს მონაკვეთზე გზა 6 მეტრით გაფართოვდა. უმაღლესი სტანდარტების მაგისტრალია ახლა მიკოტახილის უღელტეხილი.

ნოქალაქევი ვახსენე. მოგეხსენებათ მისი უდიდესი მნიშვნელობის შესახებ. ამ ადგილას ეგრისის ისტორიული დედაქალაქი მდებარეობს. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის – ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალის სარეაბილიტაციო სამუშაოები უახლოეს პერიოდში დაიწყება, ამ მასშტაბური პროექტის ღირებულება 20 მილიონს შეადგენს და რამდენადაც ვიცი, ამ პროექტში აქტიურ მონაწილეობას „ქართუ-ჯგუფი" მიიღებს. პროექტის განხორციელების შემდეგ ჩვენ კიდევ ერთ უნიკალურ და ქვეყნის მასშტაბით უმნიშვნელოვანეს ტურისტულ ცენტრს მივიღებთ.

– **„ნაცმოძრაობის" დარჩენილი წარმომადგენლები დღემდე იკვეხნიან, ეს გავაკეთეთ და ის, ვაშენებდით ქვეყანას, ახალმა მთავრობამ ქვეყნის განვითარება შეაფერხაო. სენაკში გასული საუკუნის 90-იან წლებში დანგრეულს ახლა თუ აკეთებთ, მართლა გასაოცარი ამბავია.**

– ხომ გითხარით, საბავშვო ბაღებში ელემენტარული პირობები არ არსებობდა, იმ დონეზე იყო ყველაფერი. შედარებაც არ შეიძლება ამ მხრივ დღეს არსებულ სიტუაციასთან.

მოქმედებს მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრი, სადაც, დაახლოებით, 200-მდე ბენეფიციარია, ჩვენთან მუშაობს მედიკამენტებით დახმარების პროგრამაც. 70



ლარის მედიკამენტს ღებულობენ სოციალურად დაუცველი სენაკელები უფასოდ.

გასულ წელს 1085 მოქალაქეს გაეზარდა ხელმისაწვდომობა სამედიცინო ოპერაციების და გადაუდებელი მკურნალობის თანადაფინანსებისთვის, სოციალური პროგრამების ფარგლებში ამ მიმართულებით ადგილობრივი ბიუჯეტიდან 172 000 ლარი დაიხარჯა. მინდა ავღნიშნო, რომ სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების განსახორციელებლად ადგილობრივი ბიუჯეტიდან ჯამურად დაიხარჯა 767 940 ლარი. ამ პროგრამებით 3485-მა ბენეფიციარმა ისარგებლა.

ვცდილობთ ერთჯერად დახმარებებს მაქსიმალურად ავარიდოთ თავი და ჩვენი ხელშეწყობა გრძელვადიანი და მრავალჯერადი გახდეს.

ჩვენი ოპონენტები ხელფასებსა და პრემიებზე რომ აპელირებენ, მინდა გითხრათ, რომ ადმინისტრაცია მეორე წელიწადია ეტაპობრივად ამცირებს ხარჯებს. დაზოგილი თანხები გადაგვაქვს სოციალურ და ინფრასტრუქტურულ პროქტებში. შარშან 200 000-მდე შევამცირეთ მუნიციპალიტეტის გამგეობის ხარჯები, რასაც მიმდინარე წელსაც ვახორციელებთ.

– **რამდენადაც ვიცი, სენაკი კლასიკური მუსიკის ფესტივალს მასპინძლობს. კმაყოფილია მოსახლეობა რაიონში ასეთი მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიების ჩატარებით?**

– ამ ფესტივალის ორგანიზატორი ვალერიან შიუკაშვილი გახლავთ.

ფესტივალის ერთ-ერთი ამოცანაა ნიჭიერი ახალგაზრდების წარმოჩენა და ხელშეწყობა. შარშან სწორედ ფესტივალის ერთ-ერთი აღმოჩენა გახლდათ უნიჭიერესი ნორჩი შემსრულებელი, ჩვენი თანაქალაქელი კესო ლეფსაია. კესო ესპანეთში მიიწვიეს ერთ-ერთ პრესტიჟულ საერთაშორისო ფესტივალზე. მუნიციპალიტეტის გამგეობამ დააფინანსა მისი მოგზაურობა ესპანეთში. ამ ფესტივალის ფარგლებში, მინდა აღვნიშნო, რომ სენაკის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე ადგილობრივმა მაყურებელმა და ფესტივალის სტუმრებმა არაერთი მსოფლიო დონის შემსრულებელი იხილეს.

მიხარია, რომ სენაკის თეატრის სრული რეაბილიტაცია დაიწყო. სწორედ ჩვენი ხელისუფლების პირობებში გახლდა შესაძლებელი კულტურული მემკვიდრეობის ამ უმნიშვნელოვანესი ძეგლის განახლება. სამუშაოების პირველი ეტაპი უკვე დასრულებულია, რომლის ფარგლებშიც გამოიცვალა სახურავი და დამონტაჟდა სადრენაჟე სისტემა. სარეაბილიტაციო სამუშაოების მომადევნო ეტაპი უახლოეს მომავალში განახლდება, რომელიც უმაღლესი დონის შიდა რემონტს, კონდიცირებისა და ვენტილაციის სისტემის, ასევე თანამედროვე სასცენო განათების მონტაჟს ითვალისწინებს. სრულად განახლდება ამ უნიკალური ნაგებობის ფასადი. კულტურის სამინისტროსა და კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს დახმარებით მალე სენაკს ულამაზესი თეატრი ექნება, სადაც შესაძლებელი გახდება საერთაშორისო მასშტაბის ღონისძიებების მასპინძლობა.

– **ანუ, თქვენი გაკეთებული საქმეებით კმაყოფილი ხართ...**

– იცით, რა არის? მე გიყვებით იმას, რაც გავაკეთეთ ცენტრალურ და რეგიონალურ ხელისუფლებასთან მჭიდრო კოორდინაციით. რაც არ გაგვიკეთებია და გასაკეთებელია, ისიც ვიცით. ადამიანი კმაყოფილი რომ იქნება და ხელებს ჩამოუშვებს, საქმე, ცხადია, წინ ვერ წავა. ვაპირებთ არაერთი საინტერესო და უმნიშვნელოვანესი პროექტები განვახორციელოთ მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

„საერთო გაზეთის" რედაქცია მადლობას უხდის სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სამსახურის უფროსს, ქალბატონ **ნატალია ხუბუას** და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელს, ბატონ **თენგიზ ბალათურიას** მასალის მომზადებაში გაწეული აქტიური დახმარებისთვის.



**დავით ლაშქარავა** შპს „კედა": შარშანწინ, 2014 წელს, 1%-იანი სახელმწიფო კრედიტის ფარგლებში საწარმო დავაფუძნეთ.

თხილის რეალიზაციის სეზონზე მინიმუმ 300 ადამიანს ვასაქმებთ, გლეხობა კმაყოფილია, დასაქმებულია. თავადაც თხილის მოყვანით არიან დაკავებული და შემდეგ ჩვენთან საწარმოშიც საქმდებიან.

ჩვენი წარმოება თხილს დაუმუშავებელი ფორმითაც აგზავნის ექსპორტზე და დამუშავებული ფორმითაც, როგორც გარჩეულს, ისე გაურჩეველს. დაზიანებული, უვარგისი თხილის გულისგან თხილის ზეთს ვხდით, თხილის ნაჭუჭს საწვავისთვის ვყიდით. ვაპირებთ, კიდევ შევიძინოთ ნაკვეთები სენაკში თხილის პლანტაციებისთვის. ეს ბევრად წაადგება რაიონს, რეგიონს, ჩვენს მოსახლეობას.

**ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელებული სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების თანადაფინანსებამ შეადგინა 767 940 ლარი.**

**დახმარება გაეწია 3 485 ბენეფიციარს. 1 067 ბენეფიციარისთვის შესაძლებელი გახდა სახელმწიფო სადაზღვევო პაკეტის განართოებისა თუ ჯანმრთელობის დაცვის ფინანსური ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, რაზეც დაიხარჯა 161 729 ლარი.**

**მუნიციპალიტეტების მოწყვლად ჯგუფებზე გათვალისწინებულ სოციალურ პროგრამებზე დაიხარჯა 606 211 ლარი.**

**მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დახმარებისა და მოსახლეობის წახალისების პროგრამებზე დაიხარჯა 31 700 ლარი.**

**ამოქმედდა სოციალურად დაუცველ ოჯახთა სამშენებლო მასალებით დახმარების პროგრამა. ღირებულება 75 000 ლარი, რის შედეგადაც 75 ოჯახს გაუუმჯობესდა საცხოვრებელი პირობები.**

* * *

**ინფრასტრუქტურულ პროგრამებზე დაიხარჯა 12 202 945 ლარი. განხორციელდა 36 ინფრასტრუქტურული პროექტი 175 ობიექტზე.**

**დასაქმდა 2018 ადგილობრივი მაცხოვრებელი.**

* * *

**გზების მშენებლობა-რესტავრაციის სამუშაოებზე დაიხარჯა 6 193 917 ლარი.**

**რეაბილიტირდა 19 ქუჩა ქალაქში.**

**რეაბილიტაცია ჩაუტარდა 23 კმ გზას მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში.**

**დასაქმდა სენაკის 560 მაცხოვრებელი.**

* * *

**სრულდება 1000 მ3 და 800 მ3 რეზერვუარების მშენებლობა.**

**მიმდინარეობს ქალაქის ქსელისა და რეზერვუარების დამაკავშირებელი მილსადენების მოწყობა.**

**ქალაქის 84 ქუჩაზე მოეწყო ახალი მილსადენები.**

**სულ დაიხარჯა 3 916 000 ლარი.**

**სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაციის პირველი ეტაპის ჯამური ღირებულება 6 500 000 ლარია.**

* * *

**ქალაქის ქუჩებში დამონტაჟდა გარე განათების სისტემები.**

**4 840 მ3 მოეწყო ტროტუარები და ბორდიურები.**

**რეაბილიტაცია ჩაუტარდა ქალაქის ცენტრალურ პარკს და შადრევანს.**

**კეთილმოწყობის სამუშაოებისთვის დაიხარჯა 350 564 ლარი.**

* * *

**სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში პროგრამის ღირებულებამ შეადგინა 672 400 ლარი.**

**პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ერთეულებს 149 ობიექტზე განხორციელდა სარეაბილიტაციო სამუშაოები.**

**საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია – 191 589 ლარი.**

**კეთილმოწყობის სამუშაოები – 38 502 ლარი.**

**სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია – 116 387 ლარი.**

**გზების რეაბილიტაცია – 110 049 ლარი.**

**გარე განათების მოწყობა – 53 363 ლარი.**

**მინი სპორტული მოედნები – 20 199 ლარი.**

**სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტები – 56 916 ლარი.**

**შეძენილი იქნა სამშენებლო ტექნიკა – 67 241 ლარი.**

# „ხურუშიანების“ მიერ სექსოდრომად ქცეული ქვეყანა – პოლიტიკა და სექსი „ნაციონალურად“

**(დასასრული. დასაწყისი იხ. „სგ“ №10)**

ამ ბანკის საიდუმლო ანგარიშიდან ფულის გატანის უფლება მხოლოდ ვანო მერაბიშვილს ჰქონდა. ვანო მერე ამ ფულს იმას აძლევდა, ვისაც პრეზიდენტის ვნებების მომსახურებისთვის უნდა ეზრუნა, ვისაც ის ქალებით უნდა მოემარაგებინა და მათთვის მომსახურების საფასური გადაეხადა. ხშირ შემთხვევაში, ეს ადამიანები პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსები



და მათი მოადგილეები იყვნენ, ზოგჯერ ადმინისტრაციის სხვა მაღალჩინოსნები, რომლებიც ვანო მერაბიშვილის ნდობით სარგებლობდნენ. პრეზიდენტის უცხოური ვიზიტებისას დელეგაციაში აუცილებლად სვამდნენ ერთ ადამიანს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან, რომელსაც ამ ბანკის საკრედიტო ბარათი ებარა და საჭიროების შემთხვევაში, მიშას „ნახმარი“ ქალებისთვის ფული უნდა გადაეხადა, ზოგჯერ კი პრეზიდენტის გულმოწყალებით დელეგაციის სხვა წევრებიც სარგებლობდნენ, მიშა ტოპ-მეძავებში ეპატიჟებოდა მათ და ამ ქალების მომსახურების ფულსაც იხდიდა. ადგილობრივი „ნაშები“–ს შესახებ, რომლებიც შემდგომ მაღალ თანამდებობებზე დასაქმდნენ და ტელეეთერიდან ჭკუას არიგებდნენ საზოგადოებისთვის ცნობილია. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ „მაღალი“ყოფილ „ნაშებს“ არა მარტო თანამდებობით და მატერიალურად უზრუნველყოფდა, არამედ თავის გუნდის წევრებზეც აქორწინებდა. ამბობენ არც „საახლობლოს“ცოლებს ტოვებდაო გულდაწყვეტილს. მისი მეხოტბე ჟურნალისტებიც არ დაუტოვებია „გაუქინძავი“. აი, რას წერს ჟურნალისტი თამუნა თაბუკაშვილი ინგა გრიგოლიას შესახებ: „ ეს არის ქალი, რომელმაც ფულზე გაყიდა სინდისი, წესიერება და ის წლები, რომლის დროსაც მაყურებელს მოსწონდა, როგორც ჟურნალისტი. შანტაჟზე წავიდა, მიშას ძალადობის გამო (ან იყო ძალადობა, ან არა) და მისგან მაქსიმუმი მოითხოვა. ასე დაიწყო შავი ლაქის გავლება მის ცხოვრებაში. ან იქნებ უნდოდა კიდეც ეს შავი ლაქა? პოპულარობას ჰკარგავდა და ახალი იმიჯი, თუნდაც ეს ცუდი ყოფილიყო, მის კიდევ ერთხელ წარმოჩინებას შეუწყობდა ხელს.

რას წარმოადგენს სინამდვილეში გრიგოლია.

ის ყოველთვის იპყრობდა მაყურებლის ყურადღებას და ტელესივრცის ეთერს.

(თუმცა არც არის გასაკვირი, ის ხომ ნანუკა ჟორჟოლიანის მეგობარია და მათი ამბიცია, ძალიან დიდზე გარბოდა ყოველთვის. ერთგან ჩაიძირებოდნენ და მეორე მხარეს ამოყვინთავდნენ და ამას ყველაფერს ინგა შანტაჟით, ხოლო ნანუკა, ფულით აკეთებდნენ)



ინგას ამბიციურობა იმდენად დიდი იყო ყოველთვის, რომ მან პოლიტიკაშიც კი მოსინჯა ძალები. გიორგი თარგამაძეს „ამოუდგა“ გვერდით. ესეც მიშას რეკომენდაციით... ვითომ ოპოზიციაში ჩაუდგა ნაციონალურ მოძრაობას, როგორც ქრისტიან–დემოკრატი. სინამდვილეში კი, ყველამ კარგად იცის, რასაც წარმოადგენდა ეს პარტია პარლამენტში.

დღეს, როცა ყველამ კარგად იცის, ვის და რას წარმოადგენს ინგა გრიგოლია, აქვს მას უფლება, კიდევ ერთხელ დაჯდეს ტელეეთერში და როგორც ჟურნალისტი განაგრძოს მოღვაწეობა?

კვესიტაძის და პაიჭაძის გადაცემის დახურვა ეწყინ, გრიგოლიას, საზოგადოებრივზე?

მოკლედ, მე ასეთ დასკვნამდე მივედი...

გრიგოლია ნაცების მიერ არის შეგზავნილი ჟურნალისტიკაში — აგენტად!

მე ვგმობ ჟურნალისტიკაში ისეთ სახეებს, როგორიცაა ინგა გრიგოლია, მერაბ მეტრეველი, ნანუკა ჟორჟოლიანი, ლაშა ბერულავა და კიდევ რამდენიმე... ზოგიერთმა ტელევიზიამ კი საერთოდ უნდა შეწყვიტოს ფუნქციონირება, დეზინფომაციების გავრცელების და საზოგადოების შეცდომაში შეყვანის გამო... (მაგალითად: „რუსთავი–2“, „ტვ–25“ და კიდევ რამდენიმე საინფორმაციო საშუალება გასაუქმებელია... მათ შორის გაზეთი „ბათუმელები“... რომელიც საქართველოს მტრებით არის დაკომლექტებული...)...

ყველა ეს ჩამოთვლილი საინფორმაციო, თუ ტელე–საშუალებები და იქ მოღვაწე ჟურნალისტები, საქართველოს წინააღმდეგ მიზანმიმართულ კამპანიას ეწევიან...“ ვფიქრობ, სამართლიანი შეფასებაა, მე ვეთანხმები თამუნას. ბიუჯეტის თანხებს ნაცელიტის წარმომადგენლები პირადი სურვილების დასაკმაყოფილებლად რომ იყენებდნენ არახალია, თუმცა არც „ახეულ“თანხებს იყენებდნენ ქვეყნის საკეთილდღეოდ. ჯერ კიდევ 2010 წლის აგვისტოში გამოაქვეყნდა ავსტრიის დედაქალაქ ვენაში გადაღებული ფოტომასალა, რომელზეც თბილისის მერის მეუღლის, ლელა კილაძის მშობიარობის „საგულშემატკივროდ“ ჩასული წინა ხელისუფლების წევრები არიან ასახული. ვენაში მშობიარობას და ქართველი დელეგაციის რამდენიმე დღით საუკეთესო სასტუმროში დაბინავებას კი (უგულავას სასტუმრო „ზახერში“ ჰქონდა ნომრები დაჯავშნილი) კოლოსალური თანხა მოხმარდა...




არსებობს მტკიცებულება. რომ გიგი უგულავა ერთი წლის განმავლობაში, გაურკვეველი მისიით სამჯერ იმყოფებოდა ამერიკის უმშვენიერეს ქალაქ ლას-ვეგასში. რაც მთავარია, დოკუმენტაციით მტკიცდება, რომ თბილისის მერი თავის მეუღლესთან, ნათესავებთან და მეგობრებთან ერთად მოგზაურობდა და ეს ყველაფერი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა. პირველი ვიზიტი 19 ათას ლარზე მეტი დაჯდა, მეორე – 15.012 ლარი, ხოლო მესამე – 10.662 ლარი. ეს ყველაფერი საქართველოს ბიუჯეტიდან არის გაწერილი, როგორც სამივლინებო ხარჯი.

მოკლედ, თბილისის ყოფილი მერი ახალი სიყვარულის „გასაფურჩქნად“ ლივლივებდა საზღვარგარეთ ქვეყნის ბიუჯეტიდან გაწერილი თანხებით და ეს ხარჯები „საოცრადაა“ ასახული თბილისის მერიის ოფიციალურ დოკუმენტებში... საქმე ეხება 2011-2012 წლებში გიგი უგულავას სამ ვიზიტს ლას-ვეგასში. პირველი დოკუმენტი 2011 წლის აპრილით არის დათარიღებული და ვიზიტის მიზანში წერია, რომ „გამოცდილების გაზიარების მიზნით“ მიემგზავრება (საინტერესოა, რისი გამოცდილების?). ამ ვიზიტისთვის გამოყოფილი 18.500 ლარი მხოლოდ ბილეთების თანხაა. ამის შემდეგ,

2011 წლის დეკემბერში კიდევ გაიღრმავა გამოცდილება და „ახლობლებსაც“ გაუზიარა, რადგან სამიდან ორი ვიზიტის დროს მას მეუღლე ლელა კილაძესთან, ცოლისდასა და მის მეუღლე გიორგი ღონიაშვილთან ერთად აქვს საზღვარი გადაკვეთილ-გადმოკვეთილი. ერთ-ერთი ვიზიტისას მან საზღვარი გადაკვეთა და გადმოკვეთა გოკა გაბაშვილთან და მის მეუღლესთან ირინა კლდიაშვილთან ერთად. ხოლო შემდეგ ვიზიტზე, 3-დან 8 იანვრამდე გიგი უგულავას ახლდნენ: ლელა კილაძე, მისი და მაკა კილაძე, გიორგი ღონიაშვილი, გიორგი ბარამიძე და მისი მეუღლე ეკა ჯაფარიძე, ასევე ცნობილი ვიზაჟისტი, ლელა კილაძის მეგობარი მარი გოშხეთელიანი (კარგად ჩანს ანონიმურად გადაღებულ ცნობილ ფოტოებზე, სადაც მერის გართობაა აღბეჭდილი). ისინი ერთად გავიდნენ და ერთი და იმავე რეისით დაბრუნდნენ საქართველოში.არადა „ხელგაშლილმა“ მერმა არ იცოდა, „სიყვარული არ იქნება ძალადა,როგორც მოვა,ისე წავა წავა თავისთავადა“...“ნაყაჩაღარი“ ავტომობილებით და სხვა საჩუქრებით ანებივრებდა თავის „მტაცებელ“ ცოლს „გვამების შემგროვებელი“ გარეწარი, ერეკლე კოდუაც. რომლის დედაც კი ჩართული იყო ხალხის ძარცვა–დარეკეტებაში. არც მათი ოჯახი აღმოჩნდა მყარი...

მოკლედ „მაღალის“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდი საქართველო ერთი დიდი სექსოდრომი იყო, სადაც მოსახლეობის დაახლოებით 20% თავს ბედნიერად გრძნობდა. დანარჩენი ან ციხეში იჯდა, ან პატიმრის პატრონი იყო, ან პრობაციაში უწევდა შიშით სიარული ან ნაგავში იქექებოდა და უამრავი „ან“ არსებობდა მათ შორის სიკვდილს ნატრობდა და დაბადების საათს იწყევლიდა გაუბედურებული. მიშას და მისი ხროვის ტვინში წარმოუდგენელი სიბინძურეები იხარშებოდა. ქვეყნის მართვის სადავეები, რომ არ გაქცეოდათ, 2004 წლოდან კომპრომატების მოგროვება დაიწყეს. ისე შევიდნენ აზარტში, ერთმანეთსაც აღარ ინდობდნენ. ვანო მერაბიშვილი როცა მთელ საქრთველოს, მათ შორის, ოპოზიციასა და თავის თანაგუნდელებს უსმენდა, ფარულად იღებდა მათ უღირს ქმედებებს, მას შემდეგ, რაც სოდის უფროსის პოსტიდან ვანო მერაბიშვილმა ერეკლე კოდუა მოხსნა, დათა ახალაია, ფაქტობრივად, ქვეყნის უშიშროების მინისტრად იქცა. ოფიციალურად კუდის თავმჯდომარე იყო და სოდსაც აკონტროლებდა. სარწმუნო წყაროს ცნობით,

დათა ახალაიას ხელთ აქვს ძალზე სერიოზული სექსუალური ხასიათის კომპრომატები „ნაციონალური მოძრაობის“ პარტიულ და პოლიტიკურ ლიდერ ქალბატონებზე. მათ შორის, ერთ-ერთი ყოფილი პარლამენტარი ქალბატონისა და ევროკავშირის ოფიციალური წარმომადგენლის აღვირახსნილობის სრული ჩანაწერი.აღნიშნული ფარული ჩანაწერი, მერაბიშვილის ინიციატივით, სწორედ კუდმა გადაიღო პოლონეთში,ვარშავის ერთ-ერთ სასტუმროში. მეორე სკანდალური ჩანაწერია სააკაშვილის ყოფილი მინისტრის (მამაკაცის) და მსოფლიო ბანკის წარმომადგენლის გეიორგიიის ამსახველი კადრები. ეს ჩანაწერი თბილისში, სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“ გაკეთდა. ამავე ქართველი მინისტრისა დასააკაშვილის ხელისუფლების ერთ-ერთი მაღალჩინოსნის (სატრანსპორტო სფეროდან) სექსუალური აქტიც ამავე სასტუმროშია გადაღებული. სხვათა შორის, ამ პიროვნების სექსუალური ორიენტაციის შესახებ სააკაშვილმაც იცოდა, როდესაც მისი კანდიდატურა მინისტრის პოსტზე წარუდგინეს.თავიდან წინააღმდეგი იყო, დაენიშნა, მაგრამ ვანო მერაბიშვილისა და გიგა ბოკერიას რჩევას დათანხმდა, თან უხუმრია“– თუ ევროკავშირში შევდივართ, ერთი პედერასტი მინისტრი ჩვენც გვყავდეს კაბინეტში, როგორმე ავიტანოთ. სამწუხაროდ ამით არ მთავრდება ყოფილი ხელისუფლების «მამაკაცთა» სექსუალური



თავგადასავლები. ერთი მოქმედი «ნაციონალი» დეპუტატისა და ევროპის «სახალხო პარტიის» ერთ-ერთი ევროპარლამენტარის სექსუალური აქტის ჩანაწერიც არსებობს, რომელიც სტრასბურგში სასტუმროშია გადაღებული. იმავე პარლამენტარისა და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი გეი-თანამშრომლის სექს-აქტის ფარული ჩანაწერიც მის მრავალფეროვან არქივში ინახება. ეს ჩანაწერიც «სტრასბურგულია».

გარდა ამისა, მათ არქივს ამშვენებს «ნაციონალი» დეპუტატების ოჯახის წევრების — ცოლების, დედების, დების, რძლების, ქალიშვილების სექსსკანდალები, მათ შორის, ზოგიერთი მათგანის ლესბოსური ურთიერთობები მეგობარ ქალბატონებთან. შემზარავია, რომ ვანო მერაბიშვილი საკუთარი მოადგილეებისა და შს სამინისტროს დეპარტამენტების უფროსების ოჯახის წევრებსაც უთვალთვალებდა და მათ უსაქციელობას ფარულად იღებდა. ასევე, ისმინებოდა ყველა მინისტრის, მინისტრის მოადგილის, ყველა დეპუტატის ტელეფონები ცხადია, თუ რომელიმე მათგანზე საეჭვო ინფორმაციას ჩაიგდებდა მერაბიშვილი, დათა ახალაიას მის კონტროლზე აყვანას ავალებდა. ხანგრძლივი ფარული თვალთვალისა და მოსმენების შემდეგ საჭირო დროსა და ადგილას სპეცსამსახურები ახერხებდნენ ობიექტის იმ სიტუაციაში გადაღებას, რომელიც მისი კომპრომეტირებისთვის გამოადგებოდათ. მერაბიშვილს სააკაშვილის პირად დაცვაშიც ჰყავდა აგენტები. როდესაც სააკაშვილი უცხოეთში რომელიმე სასტუმროში ჩერდებოდა, დაცვა საგანგებოდ ამოწმებდა საპრეზიდენტო ნომერს, რომ მოსასმენი ან ფარული გადამღები აპარატურა არ ყოფილიყო იქ. მათ ძებნაში კი მერაბიშვილის აგენტები, სადაც საჭიროდ თვლიდნენ, იქ ამონტაჟებდნენ ფარულ გადამღებებს.



სარწმუნო წყაროს ცნობით, არსებობს კიდევ მრავალი ტიპის ფარული ჩანაწერი „ნაციონალ“ პოლიტიკოსებსა და ყოფილ ჩინოვნიკებზე, რომელთა ერთი ნაწილის გამომზეურება მათ ციხისკენ მიმავალ გზას გაუხსნის, მეორე ნაწილის გამოქვეყნება კი უამრავ უხერხულობას შეუქმნის. ამ ჩანაწერებში ფიგურირებენ დავით კეზერაშვილი,ძმები – გელა და დავით ბეჟუაშვილები, ზაზა გოგავა, გია ბარაბიძე,გიორგი მელაძე,გოკა გაბაშვილი, გიგი უგულავა, მამუკა ახვლედიანი, ლაშა მაქაცარია, ზაზა გოროზია, გურამ მისაბიშვილი, მერაბ სამადაშვილი, ირაკლი ჩიქოვანი, ზურაბ არსოშვილი, გიორგი ღვინიაშვილი,მარიკა ვერულაშვილი, ნუგზარ წიკლაური, ხათუნა კალმახელიძე, გიორგი არველაძე, აჩიკო გეგენავა, აკაკი ბობოხიძე, ბადრი ბასიშვილი, დათო კირკიტაძე, დევი ოვაშვილი, გოჩა ენუქიძე, გიგი წერეთელი, გიორგი თევდორაძე, რამაზ ნიკოლეიშვილი, ანდრია ურუშაძე, კობა ხაბაზი, ლადო ვარძელაშვილი,პაპუნადავითაია,ნიკაგილაური, ნიკა რურუა, ნუგზარ აბულაშვილი,პეტრე ცისკარიშვილი, თემურ გრიგალაშვილი, ზაზა გამცემლიძე, ლევან ბეჟაშვილი, ნინოკალანდაძე, ვერა ქობალია, რატი სამყურაშვილი და კიდევ სხვა მრავალი „ნაციონალი“.ასერომ,კომპრომატების ომი, ვფიქრობ, გაგრძელდება. ნაცების პრეტენზიები არსებული ხელისუფლების მიმართ, მინიმუმ, უხერხულია. მათი ბელადი, თურმე „ნაშებთანაც“ კი მისტირის ძველ „ოქროს ხანას“ და ნებისმიერი ხერხით საქართველოში ძალაუფლების ხელში ჩაგდებას ლამობს. ზოგიერთი ნაციონალის მშრალი აღიარება შეცდომების შესახებ და ბოდიშის მოხდაც ვერ გააცოცხლებს მათ მიერ უმოწყალოდ ჩახოცილ ადამიანებს და ვერც იმ ბავშვებს დაუბრუნებს ღიმილს, რომელთა ოჯახის წევრები უდანაშაულოდ გამოკეტეს ციხეში და შიშით და ტერორით აცხოვრეს მათი ახლობლები. დღემდე ვერ გაიმართნენ წელში ნაცების მიერ გაუბედურებული ადამიანები, რომლებსაც ნაცებმა არა მხოლოდ ბიზნესი წაართვეს და ყველაფერი კაპიკებში გააყიდინეს, არამედ სული ამოაცალეს და მომავლის იმედი დაუკარგეს, იმედი, რომელიც ყველაზე ბოლოს კვდება. „ნაცმოძრაობის“ პასუხისმგებელ პირთა მიმართ სასამართლო გადაწყვეტილების მოლოდინის პირობებში საზოგადოების მიერ განსაკუთრებით მწვავედ აღიქმება სხვადასხვა არხით გავრცელებული ის ინფორმაციები, რომელიც მათ ბრალეულობას საბოლოოდ, რა თქმა უნდა, არ ადასტურებს, მაგრამ მნიშვნელოვნად მაინც ამყარებს საზოგადოების დიდი ნაწილის მიერ ისედაც უეჭველად მიჩნეულ შეხედულებას, რომ „ნაცმოძრაობის“ მმართველობა იყო დაფუძნებული მასიურ ტერორზე და ადამიანის უფლებების დარღვევის უამრავ შემთხვევაზე, რომელთაც საზოგადოების ფსიქოლოგიური დაშინების ან ადამიანების ფინანსური გატყავების სისტემური ხასიათი ჰქონდათ. ადამიანები სულ უფრო მეტად გამოხატავენ დარწმუნებას იმაში, რომ ნაცმოძრაობა დამნაშავე რეჟიმი იყო და ამავდროულად – ეჭვს იმაში, რომ არსებულ ხელისუფლებას ამ რეჟიმის გასამართლება ძალუძს! ეს კი ძალიან ფეთქებადსაშიში ნაზავია!

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

# პატრიოტმა „მაცაცომ“ საქართველო „იხსნა“!

## როგორ „ჩაშალა“ ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული შეთქმულება ქალბატონმა „მაცაცომ“, იგივე ბატონმა გიორგი ტატიშვილმა, რომელიც ადრე გიორგი ჩხარტიშვილი იყო


გიორგი ტატიშვილი („მაცაცო“)

ბოდიში მომითხოვია და, ცოტა უხერხულ სიტუაციაში ვარ ამ ჩვენი ახალგამოჩეკილი გმირის წინაშე, რაც, სიმართლე გითხრათ, მთლად ჩემი ბრალი არ არის.

საქმე ის გახლავთ, რომ ვერა და ვერ დავაზუსტე, როგორ მოვიხსენიო და როგორ მივმართო ამ ჩვენს პატივცემულ გმირს, ქვეყნისთვის თავდადებულ ამ რაინდს, რომელმაც ქართული სახელმწიფო დიდი შეთქმულებისგან იხსნა.


„მაცაცო“

ქალბატონი მაცაცო დავუძახო, შეიძლება ითაკილოს – ქალბატონი მაცაცო ადრე ვიყავი, ახლა გიორგი ვარო, რომ მითხრას?

რომელი გიორგი ხარ, ჩხარტიშვილიო, რომ ვუთხრა, შეიძლება ესეც ეწყინოს – ჩხარტიშვილი კი არა ტატიშვილი ვარ, ბატონოო! – დამიტატანოს.

მოკლედ, დიდ გასაჭირში ვარ – არ ვიცი, როგორ მივმართო და რა დავუძახო ამ ადამიანს.

თუმცა, იქნებ სჯობდეს, არჩევანი მაინც იმ სახელზე შევაჩერო, რომლითაც მას საზოგადოება უფრო კარგად იცნობს და მისი „ყმაწვილქალობის“ სახელი „მაცაცო“ დავუძახო?

სიტყვა „ყმაწვილქალობა“ ვთქვი და იქვე შემეშინდა – ხომ შეიძლება, ღრმად პატივცემული მაცაცო ამაზეც გამიბრაზდეს და ქოში უკუღმა ჰყაროს – ქალი არასოდეს ვყოფილვარ მე, გეი ვიყავი, გეი, ქალსა და გეის შორის კი დიდი განსხვავებაა, შე ბნელო და გაუნათლებელოო.

მოკლედ რომ მოვჭრათ, ამ საქმეს არაფერი ეშველება, სანამ ეს ადამიანი თვითონვე არ გაერკვევა, ვინ არის და რას წარმოადგენს, თუმცა სანამ ეს მოხდება, იქნებ ერთი ფრაგმენტი გავიხსენოთ მისი ბობოქარი და სკანდალებით სავსე ბიოგრაფიიდან.

დაუდეგარი მაცაცო ციხეში მოხვდა, იქიდან გამოსულმა კი ისეთი სკანდალური განცხადებების გაკეთება დაიწყო, მყისვე ყვითელი თუ მოყვითალო მედიის ყურადღების ეპიცენტრში მოექცა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ოფიციალურად არ არსებობს პროფესია სექსმუშაკი, მაცაცო თავის თავს მაინც სექსმუშაკის სტატუსით მოიხსენიებდა და საქმეს ისე წარმოაჩენდა, თითქოს ცუდად ატეხილი და ახურუშებული მთელი პოლიტიკური სპექტრი, სამთავრობო თუ ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები, მხოლოდ მაცაცოსთან მიდიოდნენ მოჭარბებული სექსუალური ენერგიის დასახარჯად.

მაცაცო, თვალებმინაბული და წინტუჩებწამოწეული, მიამიტური გამომეტყველებით ჰყვებოდა და ჰყვებოდა, როგორ გაიზიარეს მასთან სარეცელი ერთმა დეპუტატმა, მეორე დეპუტატმა, მოსამართლემ, პოლიციის მაღალჩინოსანმა და ა.შ.

მოკლედ, ვისაც კი აუჩუჩუნდებოდა, ყველა მაცაცოსთან გარბოდა ჟინის მოსაკლავად.

ჰოდა, ჰყვებოდა და ჰყვებოდა სექსმუშაკი მაცაცო ამ ეროტიკულ-პორნოგრაფიულ ამბებს და მისი ნაამბობს იმწამსვე აიტაცებდნენ ხოლმე ჟურნალ-გაზეთები, რადიოარხები და ტელეარხები.

მიუხედავად იმისა, რომ მაცაცოს არასოდეს წარმოუდგენია თავისი ნაამბობის დამამტკიცებელი რაიმე კონკრეტული მასალა, მას, როგორც იტყვიან, სიტყვაზე ენდობოდნენ სენსაციებს დახარბებული რედაქტორები და ჟურნალისტები, იმაზე კი არავინ დარდობდა, რომ, როცა მაცაცო გულარხეინად ამბობდა, სექსი ჰქონდა ერთ-ერთ დეპუტატთანო, მაგრამ დეპუტატის ვინაობას არ ასახელებდა, ამით დეპუტატთა მთელ კორპუსს აყენებდა ჩრდილს.

იგივე ითქმის მოსამართლეებზე, მთავრობისა და ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენელთა მისამართითაც.

მაცაცო ან მიზანმიმართულად და გააზრებულად, ან სიბრიყვით თუ სიყეყეჩით მთელი სახელმწიფო სტრუქტურების დისკრედიტაციას ახდენდა, მაგრამ მაცაცოსთვის, რამდენადაც ვიცი, პასუხი არავის მოუთხოვია და არავის უთქვამს: – შენ, მაცაცო ხარ თუ ბაცაცო ხარ, რას მიედ-მოედები და რეებს როშავო?

გათამამებულ და წახალისებულ-წაქეზებულ მაცაცოს ერთ მშვენიერ დღეს უცებ გონება გაუნთდა და ის ამბავი გაიხსენა, როგორ დაამყარა მასთან სექსუალური კონტაქტი ციხის ერთმა ოფიცერმა.

– კორიდორში დამიჭირა, სექსუალური კავშირი დაამყარა ჩემთან და შიდსი გადამდოო, – ირწმუნებოდა მაცაცო ერთი გაზეთის ფურცლებიდან და ამჯერად, გამონაკლისის სახით, ოფიცრის სახელსაც ასახელებდა და გვარსაც.

გადაირია ოფიცერი: – რა მაცაცო, რის მაცაცო, რა შიდსი, რისი შიდსიო და თავისი სიმართლის დასამტკიცებლად სამედიცინო დასკვნაც წარმოადგინა, რომ სრულიად ჯანმრთელი და საღ-სალამათი იყო.

ეს ის დროა, როცა მაცაცო ცირკთან დგას და, მისივე მტკიცებით, შიდსიანი, სექსმუშაკებს ანუ კლიენტებს გარკვეული საზღაურის საფასურად „პატიოსნად“ ემსახურება და, ცხადია, შიდსითაც აჯილდოებს, თუ მას ნამდვილად აქვს ასეთი ავადმყოფობა, ეს კი სისხლის სამართლის დანაშაულია და, წესით და რიგით, ცირკის ვახტაზე დამდგარ სექსმუშაკს სათანადო ორგანოები დაუყოვნებლივ უნდა მიაქანებდნენ შესამოწმებლად და თუ სექსმუშაკს შიდსი დაუდგინდება, კლინიკიდან პირდაპირ ციხეში უნდა გააქანონ.

მსგავსი არაფერი მომხდარა – სექსმუშაკი მაცაცო ამ



განცხადების გაკეთების შემდეგაც კიდევ დიდხანს ეწეოდა თავის პროფესიულ საქმიანობას, მაგრამ მისთვის სათანადო პასუხი არავის მოუთხოვია.

ოფიცერმა დიდხანს ირბინა, დიდხანს იყვირა: – ცილს მწამებს, შეგნებულად მიტეხს სახელს ეს ოხერი მაცაცო და ჩემო ძვირფასო სამართალდამცავებო, მიშველეთ და დამიცავითო, მაგრამ ამაოდ...

აი, ასეთი და ამნაირი მაცაცო, აწ უკვე გიორგი ტატიშვილად გადანათლული, გასულ კვირას პატრიოტობის ხასიათზე დადგა და ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დიდი „შეთქმულება“ „გამოააშკარავა“.

მართალია, ამ გმირული ნაბიჯის გადადგმა ბატონმა გიორგიმ (წერილის ამ მონაკვეთიდან, ალბათ, ასე უნდა მივმართოთ მას) მხოლოდ მას შემდეგ გადაწყვიტა, როცა მიხვდა, რომ მის მიერვე დაგეგმილი და განხორციელებული პროვოკაციით, რაც საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანაში გამოიხატებოდა, ფულს ვერ იშოვიდა და, როგორც ჩანს, იფიქრა, ფულს თუ არა სახელს მაინც ვიშოვი, სულ არარაობას ხომ სჯობიაო?

სიანთა ქორწინების დაკანონებისთვის ბრძოლით დაიწყო.

...ზოგადად მიმაჩნდა, რომ საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვა აღმატებული იყო. გადავწყვიტე, ამ გზაზე ყველაზე მასშტაბური პროვოკაცია განმეხორციელებინა, რაც იქნებოდა ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება. ჩემთვის, როგორც ლგბტ უფლებადამცველისთვის, ეს იქნებოდა კარიერის პიკი, თან კონსტიტუციის შავი ხვრელი ამოივსებოდა“.

როგორც ხედავთ, ლგბტ უფლებადამცველი გიორგისთვის არავის დაუვალებია და არავის უკარნახია – მიდი, ერთი, შენს გახარებას, საკონსტიტუციო სასამართლოში ერთსქესიანთა ქორწინების შესახებ სარჩელი შეიტანე და აგერ ვართ ჩვენო.

ეს მან, როგორც თვითონ ამბობს, საკუთარი ინიციატივით გააკეთა, რომ ამ „მასშტაბური პროვოკაციით“ კარიერის პიკისთვის მიეღწია.

ხა, რაც ამ გეგმის განხორციელების სანაცვლოდ უნდა მიმეღო. პირველ ეტაპზე ეპიცენტრი ვიყავი, ყველაფერს მე მეკითხებოდნენ, სად რა უნდა მომხდარიყო, რა ინტერვიუ უნდა მიმეცა და ა.შ., მაგრამ რაღაც ეტაპი რომ დასრულდა, ეს იყო საპატრიარქოს განცხადებების მერე, პრაქტიკულად, ჩემთან ყოველგვარი კომუნიკაცია შეწყდა, ეს საქმე მომშორდა, აღარავინ არაფერს არ მეკითხებოდა, ცდილობდნენ, რომ აქ ეპიცენტრი აღარ ყოფილიყო. პრესასთან ურთიერთობაშიც კი ბოიკოტი მქონდა. რაღაც პერიოდის გასვლის შემდეგ ამ ადამიანებთან დაკავშირებას ვცდილობდი. მწერდნენ, რომ დაგიკავშირდებითო. 26-29-ში თავად მომწერა, რომ საქართველოში ჩამოდის და ამ საკითხზე მსჯელობა მოხდებოდა“.

როგორც ირკვევა, პრეშკოვმა „მაცაცო“-გიორგი გადააგდო და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ლგბტ



გიორგი ჩხარტიშვილი („მაცაცო“)

„ყველა ადამიანი, ვისთანაც შეხვედრა მქონდა, მთელი ეს „სასტავი“, ირაკლი ღარიბაშვილის გარშემო ტრიალებდა“, – ბრძანებს ტატიშვილი და მართალც ბრძანებს, – ადამიანები, რომლებსაც ტატიშვილი დახმარებისთვის მიმართავდა, სწორედ ამ ნიშნით იყვნენ მის მიერ შერჩეული.

ტატიშვილის მცდელობა ამაო გამოდგა – ღარიბაშვილის „სასტავმა“ ლგბტ უფლებადამცველი ფეხებზე დაიკიდა და „დიდი პროვოკატორის“ ოცნება მილიონ ლარზე ოცნებად დარჩა.

ასეთი იყო რეალობა, მაგრამ თუნდაც მონათლული და გვარ-სახელშეცვლილი გიორგი ჩხარტიშვილი იგივე გიორგი ტატიშვილი, ისე როგორ მოისვენებს, რომ „მაცაცოური“არ გამოურიოს.

ჰოდა, ამ ექსვგვერდიან ინტერვიუშიც „მაცაცო“-გიფარულ ვიდეოჩანაწერში აქვს მონაწილეობა მიღებული.

გიორგი ტატიშვილი („მაცაცო“): „ვიდეოჩანაწერები არსებობს ჩემი მონაწილეობით და საუბარი იყო მათ გამოქვეყნებაზეც. გადაღებული ვარ მოსამართლესთან, მინისტრის მოადგილესთან, ერთ-ერთი დიდი სიპის ხელმძღვანეკთან, დეპუტატებთან“.

და მზად არის, გულახდილი ჩვენება მისცეს პროკურატურას.

**„მაცაცო“ უძახე შენ და „გადაუხნია“ ამ „მაცაცოს“ მთელი სახელმწიფო სტრუქტურები თავის მოსამართლეებიან, მინისტრების მოადგილეებიან, დეპუტატებიანად და თუ ვინმემ არ გააჩერა, შეიძლება მთელი სახელმწიფო „გადახნას“.**

პატივცემულო პროკურატურავ, ბოლოსდაბოლოს, დაა-



„შეთქმულება ქართული სახელმწიფოს წინაღმდეგ“ – ასეთი მრავლის მიმანიშნებელი და საგანგაშო სათაურით კი არის დასათაურებული ეს ვრცელი, გაზეთის ექვს გვერდზე გადაჭიმული ინტერვიუ ბატონ გიორგისთან, თუმცა ინტერვიუს გადაკითხვის შემდეგ ხვდები, რომ, უბრალოდ, მოგატყუეს და არავითარი შეთქმულება არ ყოფილა – იყო მხოლოდ პროვოკაცია, რომელიც ბ-ნმა გიორგიმ თავისი ორეულის, მაცაცოს სტილში დაგეგმა და განახორციელა.

ბ-ნი გიორგი, იგივე „მაცაცო“, ინტერვიუს დასაწყისშივე აღიარებს, რომ ეს „შეთქმულება“ მან თვითონვე დაგეგმა.

მოვუსმინოთ მას: „მე ვარ გიორგი ტატიშვილი, ლგბტ უფლებადამცველი. დღეს გადავწყვიტე, იმ პროცესებზე ვისაუბრო, რომელიც ერთსქე-

როგორც კი სარჩელი შევიტანე, ჩემთან ინტენსიური არაპირდაპირი კონტაქტები დაიწყო და საქმეში პოლიტიკური წრეების წარმომადგენლებიც ჩაერთვნენო, – აცხადებს „მაცაცო“-გიორგი, თუმცა იქვე დასძენს, რომ მანამდე მას პირდაპირი მოლაპარაკება ჰქონდა ვინმე ვლადიმერ პრეშკოვთან, რომელიც მას მილიონ ლარს შეჰპირდა.

– ის ერთ-ერთი ცნობილი ადამიანის მეშვეობით დამიკავშირდა. ამ ეტაპზე მისი ვინაობის გამხელა არ მინდა, მაგრამ გეტყვით, რომ მან სწორედ ამ დღეებში შემომთავაზა მასთან სახლში ცხოვრება, რადგან ძალიან დიდი საფრთხე მემუქრებოდა. ამ ცნობილმა ადამიანმა ბრიფინგის წინ ტანსაცმლის პრობლემა მომიგვარა, ბრიფინგის ორგანიზებაში დამეხმარა, პირადად დაურეკა ერთ-ერთ რედაქტორს. ფინანსების საკითხიც გვარდებოდა მისი მეშვეობით. პრეშკოვთან იმაზე შევთანხმდით, რომ სარჩელების შეტანა უნდა გამეგრძელებინა, აქტივობა მაღალი უნდა ყოფილიყო და სანაცვლოდ მპირდებოდნენ ერთ მილიონ ლარს. ეს იყო ის თან-

**გიორგი ტატიშვილი („მაცაცო“):**

**„ვიდეოჩანაწერები არსებობს ჩემი მონაწილეობით და საუბარი იყო მათ გამოქვეყნებაზეც. გადაღებული ვარ მოსამართლესთან, მინისტრის მოადგილესთან, ერთ-ერთი დიდი სიპის ხელმძღვანელთან, დეპუტატებთან“.**

უფლებადამცველი თვითონ იწყებს მოქმედებას, რომ სიტუაციიდან გამოძვრეს.

როგორც საქმეში კარგად ჩახედულმა წყარომ გვითხრა, გიორგი ტატიშვილს კი არ უკავშირდებოდნენ ვიღაცვიღაცები, ის თვითონ უკავშირდებოდა ხან ერთს, ხან მეორეს, ხან მესამეს და თავგამოდებით ცდილობდა, ვინმეს ირაკლი ღარიბაშვილის ყურამდე მიეტანა მისი ამბავი.

წყაროს ცნობით, ტატიშვილი ფულს ითხოვდა – ამხელა პოლიტიკური თემა მოგეცით საპიაროდ და მილიონი ლარი არ მეკუთვნისო?

ტატიშვილი იმ ადამიანებთან ცდილობდა დაკავშირებას, რომლებსაც შეიძლებოდა რაღაც ფორმით გარკვეული კავშირები ჰქონოდა ღარიბაშვილთან.

ორგი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ რეალობა უკუღმა შემოაბრუნოს და მის მიერვე მოფიქრებული და მის მიერვე განხორციელებული პროვოკაცია მაინცდამაინც ირაკლი ღარიბაშვილს გადააბრალოს.

როგორც ჩანს, ახლა ასეა საჭიროო, უთხრეს „პრინციპულ“ და „პატრიოტ“ ლგბტ უფლებადამცველს და ისიც უსიტყვოდ დაჰყვა ნებას.

ხვალ რომ სხვა რაღაცის თქმა გახდეს საჭირო, ისიც ხალისით გადააბრუნებს „პლასტინკას“ და სულ სხვანაირად აჟღურტულდება.

გინდ ათასჯერ გამოიცვალოს გვარ-სახელი, „მაცაცოა“ და რა ქნას, მაინც „მაცაცოდ“ დარჩება.

ტატიშვილი ინტერვიუში ამბობს, რომ რამდენიმე ყენეთ საშველი ამ „მაცაცოს“, კიდევ სხვა „მაცაცოების“ და მათი გამომყენებელ-ხელშემწყობების საფუძვლიან, კვალიფიცირებულ დაკითხვას, ისიც გაარკვიეთ, ვინ იყენებს ამ „მაცაცოებს“ პოლიტიკური სპეკულაციის და მანიპულაციისთვის, პოლიტიკური ოპონენტების შანტაჟისთვის და სხვა ათასგვარი უმსგავსოებებისთვის.

ჰოდა, გამოიძიეთ, თქვე დალოცვილებო, გამოიძიეთ და ერთხელ და სამუდამოდ დაამთავრეთ ქართველი საზოგადოების, ქართველი ხალხის, ქართული სახელმწიფოს შეურაცხმყოფელი ეს მორალური ტერორი, რომლებსაც „მაცაცოები“ წლებია უკვე, ასე წარმატებით ახორციელებენ.

**გიორგი ჩხეიძე**

# რადგან სამშობლო გვიყვარს...

*„საერთო გაზეთის“ სტუმარია ჟურნალისტი ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲮᲔᲘᲫᲔ.*

**— ბატონო დავით, პირველ რიგში დიდი ბოდიშს გიხდით, რომ თქვენი წერილი „ჰოდა, მე ვბედავ“, ტექნიკური შეცდომის გამო სხვისი გვარ-სახელით გამოქვეყნდა „საერთო გაზეთის“ წინა ნომერში. აქვე გეტყვით, რომ წერილს ძალიან დიდი გამოხმაურება ჰქონდა...**

— მე არაერთხელ მითქვამს, საქართველომ მთავარ პოლიტიკურ პარტნიორად რუსეთი უნდა აირჩიოსო, თუმცა, უნდა ვაღიარო, ასეთი გამოხმაურება არც ერთ ბეჭდურ გამოცემაში არ ჰქონია.

ადამიანის თვისებაა ასეთი – რაც დრო გადის, იცვლება მისი შეხედულებები. 60 წლის ვხდები წელს, კომუნისტურ პერიოდში ვარ გაზრდილი. იყო დრო, ჩემს ახალგაზრდობაში, ესენი, ვინც ახლა ვითომ ევროპულ ღირებულებებს გვიკიჟინებენ, დაბადებულებიც არ იყვნენ, როცა მე ამერიკის დროშა მქონდა საძინებელში გაკრული. მამაჩემი მეჩხუბებოდა – ჩამოხსენი, ვინმე დაინახავს და პარტიიდან გამრიცხავენო.

ჩვენი თაობა ყველაზე პროამერიკულად განწყობილი თაობა იყო. ფანატიზმამდე მოგვწონდა ამერიკული თავისუფლება, ყველაფერი კომუნისტური გვძულდა, რუსეთის სიძულვილიც გვქონდა, გარკვეულწილად, იგივე სტალინთან მიმართებაში. მე ვიყავი, ვინც სტალინს და მის პოლიტიკას ლანძღავდა და აგინებდა. ახლა, შეიძლება ითქვას, სტალინის ერთ-ერთი პირველი დამცველი მე გამოვდივარ.

**— იმის თქმა გინდათ, რომ თქვენი თაობა იმედგაცრუებულია?**

— ჯინსები, კევი, როკ-ენროლი, აი, ეს გვეგონა ყველაფერი, თუმცა ამას იქით ამერიკული დემოკრატია, ჩვენთვის, სამწუხაროდ, არ წასულა.

90-იან წლებში საკმაოდ რომანტიკულად შევხედეთ ჩვენს ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს და როგორც ვხედავთ, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ყველაზე მეტად ჩვენ დავზარალდით. დღეს ჩვენ ვიმართებით ამერიკის საელჩოდან, იმას, რის უფლებასაც ამერიკის ელჩი აძლევს თავის თავს, ვერც ერთი ცკ-ს მდივანი ვერ მისცემდა.

ახლანდელი გადასახედიდან საბჭოთა კავშირი სოციალურად ყველაზე სამართლიანი სახელმწიფო იყო, თავისი მინუსებით, პლუსებით, გადაცდომებით. სწორედ სტალინმა ჩაუყარა საფუძველი სოციალურ თანასწორობაზე დაფუძნებულ სახელმწიფოს. ისეთ ქვეყანას, სადაც შეიძლებოდა არავინ არ გყოლოდა პროტექციის გამწევი, მაგრამ შენი ნიჭით და უნარით მიგეღწია იქამდე, რომ საზოგადოებაში დასაფასებელი ადამიანი შეიძლებოდა გამხდარიყავი.

დაუჩემებიათ – ქართველი ხალხის არჩევანი არის ნატო. გასაგებია, მაგრამ თუ ვამბობთ, რომ მაშინდელი არჩევნები გაყალბებულია, რატომ არ არის, მაგალითად, გაყალბებული რეფერენდუმი ნატოს შესახებ. ეს ხომ ალოგიკურია.

კარგი, თავი დავანებოთ ამასაც.

გამოკითხვები ჩატარდა რამდენიმე თვის წინათ და მოსახლეობის 31 % ევრაზიულ კავშირში გაწევრიანების მომხრეა. ეს გამოკითხვა ერთ-ერთმა ამერიკულმა ორგანიზაციამ ჩაატარა და წარმოიდგინეთ, დაწერეს 31 %. ორჯერ მეტი იქნება სინამდვილეში.

ხშირად ლაპარაკობენ, რომ საქართველოში არის რუსული პროპაგანდა.

გადაჭრით შემიძლია გითხრათ – არაფერს არ აფინანსებენ საქართველოში რუსები. პრორუსულ პროპაგანდას აქ ეწევა ამერიკის შეერთებული შტატები თავისი მოქმედებებით თუ უმოქმედობით.



როგორ დაგვეხმარნენ 2008 წლის ომის დროს, ხომ კარგად ვნახეთ.

როგორ დაშალეს სერბეთი და იუგოსლავია, ისიც ვნახეთ.

რას აკეთებენ უკრაინაში, დღესავით ნათელია. დაშალეს ეს 60 მლნ-იანი ქვეყანა, გამოდის ობამა და ამბობს: უკრაინა არ შედის ამერიკის ინტერესების სფეროში, ყველაფერი რუსეთის პასუხისმგებლობაზეაო. ამას ამბობენ მას შემდეგ, რაც ნარინჯისფერი რევოლუცია მოაწყვეს და „პერაშკებს“ არიგებდნენ მაიდანზე. პუტინი ან რუსეთის მთავრობის რომელიმე წარმომადგენელი იყო მაშინ იქ ჩასული?!

დღეს კი თვითონ ამერიკელები გვეუბნებიან – დაალაგეთ ურთიერთობები რუსეთთანო.

ამ კუთხით წინ ერთი ნაბიჯიც კი ვერ გადავდგით.

იგივე კარასინის განცხადება გავიხსენოთ. მართალი გითხრათ – ვერაფერი საგანგაშო მე იქ ვერ დავინახე.

კარასინმა სინამდვილეში ის კი არ თქვა, ტანკებით შემოვალთო, არა, ფეხებზე დაგიკიდებთ და რაც გინდათ, ის გიქნიათო.

პუტინი უდიდესი პოლიტიკოსია. სტალინივით ზის მოსკოვში და იქედან მართავს პროცესებს. ამასწინათ ობამამ თვითონ დაურეკა და შეხვედრა სთხოვა. აქ კიდევ გამოდიან და ნადეჟდა სავჩენკოს მხარდასაჭერად „ხორუმს“ ცეკვავენ სუხიშვილები. თქვე კაიდედმამიშვილებო, 9 წელიწადი ნაცები რომ გვხოცავდნენ და გვჟლეტდნენ, მაშინ სად იყავით, მხარდასაჭერი აქციები რატომ არ გამართეთ?!

ჩერჩილის სიტყვები გამახსენდა ახლა: არ არსებობს ინგლისისთვის მუდმივი მეგობრები, არსებობს მუდმივი ინტერესებიო. ჩვენთვის არსებობს მუდმივი მტერი, ეს არის რუსეთი და არ გვაქვს არავითარი სახელმწიფოებრივი ინტერესები.

კი, ოკუპირებული აქვს ჩვენი ტერიტორიები რუსეთს, მაგრამ რამდენი დადებითი მესიჯი გამოაგზავნეს მას შემდეგ, ჩვენი მხარე კი ულტიმატუმს აყენებს – თუ იქნება საუბარი დეოკუპაციაზე, მაშინ შეგხვდებითო. ეს იგივეა, სახლის შენება დაიწყო სახურავიდან. უნდა გვესმოდეს, რომ ეს უახლოეს პერსპექტივაში შეუძლებელი საქმეა.

აფხაზები და ოსები იმ სტატუსით, როგორადაც იყვნენ ჩვენთან, აღარასდროს დაბრუნდებიან. ეს უნდა გავიგოთ. ნაურუმ აღიარა აფხაზეთის რესპუბლიკა თუ ბურკინა-ფასომ, ამას არ აქვს მნიშვნელობა. რუსეთმა ხომ აღიარა, ჰოდა, საკმარისია! თუ ქვეყნის შეგნებული მტერი არ ხარ, ასე რატომ ლაპარაკობ?! ყველამ კარგად ვიცით, არასამთავრობოები და სხვა მათი კუდები, ვინც ასეთი რიტორიკით მიმართავს ჩვენს საზოგადოებას, ამერიკის სპეცსამსახურებისგანაა დაფინანსებული და მტრობას უწევს ქვეყანას.

**— კაცისა და კაცის სიყვარულობანა ოჯახად უნდა შევრაცხოთ და კონსტიტუციაში უნდა დავაკანონოთო.**

— ახლა იტყვიან, პრორუსული ორიენტაციის კაცია დათო მხეიძე და იმიტომ არღვევს შეყვარებული მამაკაცების უფლებებსო. გაგიჟდება ადამიანი – არ მაქვს უფლება, არ მინდოდეს, ჩემი შვილი ცისფერი იყოს?!

არავინ გაძალებს, ნუ იქნები გეი, ოღონდ მათ უფლებებს ნუ არღვევო. ჩემი შვილი ერთსქესიანების ოჯახში გაზრდილ ბავშვთან სკოლაში რომ ივლის, გავლენას ხომ მოახდენს. ესაა ლიბერალიზმი.

ნეოლიბერალიზმი დაფუძნებულია ოთხ არაზე – არა სამშობლო, არა ღმერთი, არა ეროვნება და ახლა დაემატა არა სქესი.

რუსეთი არის დღეს ერთადერთი სახელმწიფო, რომელიც ამას ეწინააღმდეგება. რუსეთის ფედერაცია ევროპული ტიპის ქვეყანაა, რომელსაც საკანონმდებლო დონეზე აქვს გეიპროპაგანდა აკრძალული.

ჰილარი კლინტონმა კი განაცხადა: აშშ-ის მთავარი პრიორიტეტი არის ლგბტ-თა უფლებების დაცვა საქართველოშიო. ამას მოჰყვა ობამას შეთავაზება, რომ აშშ ეკონომიკურად დაეხმარება იმ ქვეყნებს, რომლებიც განუხრელად იცავენ სექსუმცირესობების უფლებებსო. რიგაში, 2012 წელს, ბალტიის ქვეყნების პედერასტების საერთაშორისო პარადი ჩატარდა, რომელთაც ელჩები მიუძღოდათ წინ. ამ ამბავს უბრალო რიგელები შორიდან უყურებდნენ და ცრემლები სდიოდათ.

ჩვენთან ამბობენ – ესენი ასე ფრთების გაშლას საქართველოში ვერასდროს გაბედავენო. რას ვერ გაბედავენ. ჩვენი უწმიდესი პატრიარქი გვშველის კიდევ და ჩვენი მენტალობა, თორემ, ვნახავდით, როგორ კარგად გაბედავდნენ.

ერთადერთს, რუსეთს ვერ მოერივნენ ეს ავადმყოფები და მეორე, ჯვარი აქაურობას და, ჩვენ.

წეღან დიდი ილია ვახსენე და მისი სიტყვები მოვიყვანე მაგალითად – ჩვენი თავი რომ ჩვენად უნდა გვეყუდნოდეს. ეს თქვა ჩვენი ერის მამამ, მაგრამ ამ სიტყვების წარმოთქმიდან გავიდა 30 წელიწადი და 1889 წელს დაწერა პუბლიცისტური ნაშრომი რუსის ჯარის პირველად შემოსვლაზე საქართველოში სათაურით „ასის



წლის წინათ“. ფინალი წაიკითხეთ ხელახლა!

ილია ჭავჭავაძემ არ იცოდა, რა მოგვიტანა რუსეთთან შეერთებამ? მაგრამ ყველაფერი ეს ისტორიულ სასწორზე რომ დადო, რუსეთისგან მიღებულმა სიკეთემ გადასწონა – ჯერ ერთი, ფიზიკურად არ გავნადგურდით და მეორე, რაც ყველაზე მთავარია, მენტალურად გადავრჩით. ბოლოს და ბოლოს პირჯვრის გადაწერას ხომ არ გვიკრძალავდნენ?

თურქეთსა და ირანში გადასახლებული ქართველები პირჯვარს იწერენ კი არა, სახელები და გვარები აქვთ თურქულ-ირანული, ქართული არაფერი შერჩენიათ. 99% რუსეთში მაცხოვრებელი ქართველი დღემდე ქართველობს. ეს სწორედ ერთმორწმუნეობის დამსახურებაა.

**— ახლანდელი მთავრობა არ გამოირჩევა მაინცდამაინც მწვავე ანტირუსული ორიენტაციით.**

— მთელი ცხოვრება ოპოზიციაში ვარ, რადგან არ ეღირსა საქართველოს ისეთი მთავრობა, რომელიც იქნებოდა ეროვნული. ღვთისმოშიში ხალხი უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში და მაშინ აღარ ჩავდგები მეც ოპოზიციაში.

მე დღესაც ვიბრძვი. ჩემი ცხოვრება უკვე გავიარე, მაგრამ ახლა ჩემი შვილებისა და შვილიშვილების კარგი მომავლისთვის ვშრომობ.

მინდა ეს ინტერვიუ ილიას სიტყვებით დავამთავრო: „რატომ დავმალოთ, ჩვენ უთუოდ გვიყვარს ჩვენი სამშობლო და რად ვიცრუოთ, ჩვენი სამშობლო რომ გვიყვარს, მხოლოდ ამიტომ გვიყვარს რუსეთიცა. ეს ასეთი ბუნებრივი, ჩვეულებრივი და გასაგებია ჩვენი მამა-პაპური ზნეობისა გამო. რუსეთმა დაიფარა ჩვენი სამშობლო დარბევისა და დამცირებისაგან, იგი ამჟამადაც აშორებს მას უწინდელ ავბედობა-განსაცდელს. რუსეთმა განკურნა ჩვენი სამშობლოს წყლულნი... ჩვენი სამშობლოს სიყვარული თვითონ არის ნაყოფიერი ნიადაგი, სადაც ფესვიანდება, იზრდება და ძლიერდება ჩვენი კეთილი დამოკიდებულება და ერთგულება რუსეთისადმი“.

**— დიდი მადლობა საინტერესო საუბრისთვის. შეიძლება თქვენი ტელეფონის ნომერი დაუტოვოთ ჩვენს მკითხველებს?**

— კი, ბატონო – 593 59 19 17 ესაა ჩემი ტელეფონი.

**ᲗᲐᲛᲝ ᲙᲔᲨᲔᲚᲐᲕᲐ**
555 46 08 04

# ქალაქი, რომელიც შეიძლება უბედურების ზონად იქცეს

წინასწარმეტყველობაზე პრეტენზიები ნამდვილად არ გვაქვს, მაგრამ სათაურში გამოტანილი სიტყვების თქმის საფუძველს ჩვენს დედაქალაქში მიმდინარე უთავბოლო მშენებლობები გვაძლევს.

თბილისმა ისე უცებ შეიცვალა საკუთარი იერსახე, რომ ქალაქს ძირძველი, აქ დაბადებული და დაბერებული მაცხოვრებელიც ვეღარ ცნობს. სამწუხარო ფაქტია, მაგრამ თბილისმა დაკარგა ის პეწი, რომლითაც ხიბლავდა სტუმარ-მასპინძელს. მიზეზი ქალაქში გაჩარებული მართლაც უთავბოლო მშენებლობებია. ზოგჯერ ადამიანს შთაბეჭდილება გექმნება, რომ საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობები ყოველგვარი დაგეგმარების, პროექტების გარეშე მიმდინარეობს.



ვაკე თბილისში ერთ-ერთ ელიტარულ უბნად ითვლებოდა. დღეს კი ქაოტური მშენებლობების წყალობით, არათუ მშენებარე, უკვე აშენებული ბინების გაყიდვა ჭირს. მათი ფასებიც დაეცა. ამის მიზეზად ქვეყანაში ეკონომიკური გაჭირვებით ხსნიან. როგორც ამბობენ, წყალწაღებული ხავსს ეჭიდება, თუმცა მთავარ მიზეზებზე არავინ საუბრობს. კორპუსები და სახლები ისე მჭიდროდ არის ერთმანეთს მიბჯენილი, მანქანებს კი არა, ხალხი გაჭირვებით უვლის გვერდს ერთმანეთს. ბავშვებისთვის სათამაშო ადგილიც არ აქვთ. მარტივი ტიპის სპორტული მოედნების არსებობა, საერთოდ, ფანტაზიის სფეროა. ადგილების და მისამართების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. თუმცა თბილისში მცხოვრები ხალხი ყველაფერს კარგად ხედავს.

სპორტის სასახლე საქართველოს ერთ-ერთი მთავარი სპორტული არენაა. სამწუხაროდ, საცხოვრებელი კოსპუსებით ისეთ ალყაში მოაქციეს, ძნელი დასაჯერებელია, რომ მთავარი სპორტული არენაა. თუ რომელიმე დიდი ღონისძიება იმართება, სტუმრები კიდევ უფრო გაუსაძლისს ხდიან იქ ცხოვრებას.

დედაქალაქის მერიის უკან საცხოვრებელი კომპლექსი შენდება, თანაც ისე, რომ ადამიანს წესიერად ვერ გაურკვევია, ერთი კორპუსია თუ რამდენიმე. ამის გარდა, კორპუსები ისე ახლოს არის ერთმანეთთან, რომ თუ მოინდომეს, მოქეიფეები ერთი კორპუსიდან მეორეში თავისუფლად ჩამოართმევენ ხელს და ერთმანეთს ჭიქასაც მიუჭახუნებენ. სამწუხაროდ, თბილისში კორპუსების სიახლოვის გამო მზის სხივები კი არა, ხალხს შეიძლება საერთოდ დღის სინათლეც კი გაუხდეთ სანატრელი.

თაბუკაშვილის ქუჩაზე 11-სართულიანი კორპუსი, რომელიც „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებამ ერთპიროვნულად და უბოდიშოდ დაანგრია, თბილისის არქიტექტურას შეესაბამებოდა. თუმცა რეჟიმის ხელისუფლების წარმომადგენლები ასე როდი ფიქრობდნენ. გაყიდეს მიწის ნაკვეთი თავის კორპუსიანად. საუბედუროდ, იმ შენობის დანგრევას ორი მუშის სიცოცხლე შეეწირა. ახლა იმ ადგილზე 40-სართულიანი შუშის სასტუმროა წამოჭიმული. შენობა თავისი სიმაღლით გამოირჩევა, თორემ კაპიკია მისი არქიტექტორული ღირებულება. ამას თბილისელთა უმრავლესობა დაგიდასტურებთ. საერთოდაც, ხალხს ვერ გაურკვევია, რა საჭირო იყო თბილისის ცენტრში ამ უსახური ნაგებობების წამოჭიმვა.

მარჯანიშვილის ქუჩაზე, თეატრის სიახლოვეს საცხოვრებელი კორპუსი ნაცების ხელისუფლებაში მოსვლამდე ააშენეს. არქიტექტურის თვალსაზრისით, კაცი ვერ დაიწუნებს, ამის გარდა, იმ მონაკვეთზე ქუჩა გაფართოვდა, იყო მანქანების გასაჩერებელი ადგილი და ქვეითად მოსიარულენიც თავისუფლად გადაადგილდებოდნენ. „ნაცმოძრაობამ“ საჭიროდ არ ჩათვალა, ხალხისთვის ასეთი კომფორტი და მიშენების საკითხიც უცბათ მოაგვარეს. შედეგად, კორპუსის მე-2-მე-3 სართულების მოსახლეობას დისკომფორტი შეუქმნეს, ხოლო პირველ სართულზე არსებული კომერციული ორგანიზაციები გაკოტრების პირას მიიყვანეს.

ძველმა თბილისმა, განსაკუთრებით აბანოთუბანმა და მისმა შემოგარენმაც იცვალა იერი, სამწუხაროდ, უარესობისკენ. თავად უცხოელები, რომლებიც ადრეც ყოფილან ჩვენს დედაქალაქში სტუმრად, გულისტკივილით აღნიშნავენ, რომ თბილისმა დაკარგა ის პეწი, რომლითაც იზიდავდა მათ.

ნურავინ დაგვაბრალებს, თითქოს მშენებლობის, მით უფრო, საცხოვრებელი კორპუსების წინააღმდეგ გამოვდიოდეთ.

ელემენტარულად, ხომ უნდა არსებობდეს ქალაქის, მით უფრო, ქვეყნის დედაქალაქის განაშენიანების გენერალური გეგმა, რომელიც სპეციალისტებმა, მათ შორის, არქიტექტორებმა. ისტორიკოსებმა, გეოდეზისტებმა და სხვებმა უნდა შეადგინონ. თორემ რა გამოდის, ვისაც სად მოესურვება, იქ აშენებს, რასაც უნდა. ქარაფშუტული მიდგომების გამოისობით რეკრეაციულ ზონებსაც მივადექით. ვაკის პარკის ტერიტორიის ნახევარზე მეტი უკვე დაკარგულია. ახლა მიდის დავა სასტუმროს მშენებლობაზე, რომელიც პარკის გარკვეულ ნაწილს ისიც გაანადგურებს. თბილისის ზღვის ტერიტორიაზე, რომელიც, ფაქტობრივად, დედაქალაქის წყალსაცავია, მის მიმდებარე ტერიტორიაზე, ფაქტობრივად, სანაპიროზე, ყოფილმა ჩინოვნიკებმა სასახლეები აიშენეს! განაშენიანების გეგმის არსებობის შემთხვევაში, მსგავსი ფაქტები ნამდვილად არ მოხდებოდა.

რას და როგორ ვაშენებთ, ხომ უნდა ვიცოდეთ. ქართველი კაცი სახლს საშვილიშვილოდ აშენებდა, ადგილსაც საგულდაგულოდ არჩევდა, რათა ბუნებრივი სტიქიური მოვლენის შემთხვევაში მეტ-ნაკლებად დაცული ყოფილიყო და მოსალოდნელი საფრთხე თავიდან მაქსიმალურად აეცილებინა. ახლა რა მოგვივიდა, რას ვუტოვებთ შთამომავლობას, რატომ ამაზე ერთხელ მაინც არ დავფიქრდებით.

ფაქტობრივად, საცხოვრებელ სახლებს კი არა, ხაფანგს ვუგებთ ჩვენს თავს და საკუთარ შთამომავლობას. უცნაური ის არის, რომ ამ ხაფანგში საკუთარი ნებით გვსურს გავებათ.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ კავკასიის რეგიონი და საქართველო სეისმურად არამდგრადი რეგიონია. სამწუხაროდ, სტიქიური უბედურებისგან დაზღვეული არავინ არის. მათ შორის, მიწისძვრისგანაც. გავიხსენოთ, თუნდაც 80-იან წლებში სომხეთში მომხადრი დამანგრეველი მიწისძვრა. თუნდაც თბილისში და საქართველოში ბოლო 15 წლის მანძილზე რამდენჯერ დაფიქსირდა მიწისქვეშა ბიძგები. საინტერესოა ქართველ სეისმოლოგთა აზრი, რამდენად მიზანშეწონილია თბილისის ყველა უბანში მაღალსართულიანი კორპუსების მშენებლობა. მით უფრო, როდესაც კორპუსები ერთმანეთს ებჯინება.



ჩვენი მოკრძალებული აზრით, მიწისძვრის შემთხვევაში ჩვენს ქალაქს, ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ დიდი უბედურება ელის, რადგან ამოქმედდება დომინოს პრინციპი — ერთ დანგრეულ კორპუსს შეუძლია მის გვერდზე მდგომი შენობაც დაანგრიოს. მსგავს ტრაგედიას ნამდვილად არავის ვუსურვებთ. თუმცა, რას და როგორ ვაშენებთ, ხომ უნდა გაითვალისწინოს მშენებელმა და ნებართვის გამცემა. როგორ შეიძლება დავიჯეროთ, რომ „ნაცმოძრაობის“ რეჟიმის დროს ექცეოდა ყურადღება მშენებლობის უსაფრთხოებას, როდესაც თბილისის ერთ-ერთ უბანში ნაყარ მიწაზე მაღალსართულიანი კორპუსია წამოჭიმული! გამოდის, რომ ღმერთს, ბუნებას, ვეთამაშებით სიკვდილ-სიცოცხლეზე!

საკითხავია ისიც, თუ როგორი ხარისხის სამშენებლო მასალები გამოიყენება მშენებლობებზე, ამის შესახებ თავად სპეციალისტებმა უნდა გააკეთონ კომპეტენტური დასკვნები, მაგრამ სტანდარტები ზოგჯერ დარღვეული იყო, განსაკუთრებით რკინის კონსტრუქციების მონტაჟისას.

განაშენიანების პროცესში ერთ-ერთი მთავარი ადგილი საკანალიზაციო სისტემას უკავია. სამწუხაროდ, ჩვენთან ამაზე არავინ ფიქრობს. მოძველებულ და ისედაც გადატვირთულ არსებულ სისტემას ახალაშენებულ კორპუსებს უერთებენ. ესეც დამატებითი საფრთხე ქალაქისთვის, რადგან უცნობია, რამდენად გაუძლებს მოძველებული სისტემა გაზრდილ დატვირთვას.

გასაგებია, რომ „ნაცმოძრაობის“ რეჟიმმა უამრავი ნაღმი დაგვიტოვა, მათ შორის, მშენებლობის დარგში, მაგრამ ხომ უნდა დამთავრდეს ოდესმე არსებული განუკითხაობა. ბევრი დანაშაულის თუ შეცდომის გამოსწორება ახლა ძნელია, ზოგიერთ შემთხვევაში შეუძლებელიც კი, მაგრამ რისი გაკეთებაც შეიძლება, რატომ არავინ ფიქრობს მის გამოასწორებაზე? დედაქალაქში ფუნქციონირებს მერია, საკრებულო, მაგრამ თუნდაც საუბარი თბილისის იერ-სახის მოწესრიგებაზე ნაკლებად გვესმის. თავისთავად კარგია ქალაქის ცენტრალური უბნების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია, მაგრამ ახლის აშენებაზე, რომელიც მართლაც ღირებული იქნება. არავინ არაფერს ამბობს, ვიფიქროთ, რას დავუტოვებთ ჩვენს შთამომავლობას, წლების შემდეგ შვილებისა და შვილიშვილების საგინებლად ნუ გავიხდით თავს და, რაც მთავარია, მართლაც უბედურების ზონად ნუ გავხდით ჩვენს დედა-თბილისს.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# ძლიერი რეგიონები ძლიერი საქართველოსთვის


აბაშა

## აბაშა: მუნიციპალიტეტში 4 ახალი საბავშვო ბაღი გაიხსნა.

ტყვირში, პირველ მაისში, გაუწყინარსა და სეფიეთში სკოლამდელი დაწესებულებები სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა ლევან შონიამ, აბაშის გამგებელმა მამუკა კვიტაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარე პაატა ქურდოვანიძემ საზეიმო ვითარებაში გახსნეს.

ღონისძიებას მშობლები, სოფლის მოსახლეობა ესწრებოდა. მათ გუბერნატორთან, გამგებელთან საუბარში აღნიშნეს, რომ მანამდე არსებული ამ ბაღების შენობები ავარიული გახლდათ და ამის გამო ბავშვები მეზობელი სოფლების საბავშვო ბაღებში დაჰყავდათ. ეს წლების განმავლობაში სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა მათ, ამიტომაც დიდი მადლიერება კმაყოფილება გამოთქვეს ახლი, თანამდეროვე სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღების შენობებისა და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვის გამო, მადლობა გადაუხადეს გუბერნატორსა დაგამგებელს ამ დიდი საქმისათვის.

ოთხივე ბაღის მშენებლობა რეგიონალური განვითარების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან ჯამში 755 153 ლარით დაფინანსდა. მშენებლობაზე 60-მდე ადგილობრივ მოსახლე იყო დასაქმებული. ამ ეტაპზე ტყვირის, სეფიეთის, გაუწყინარისა და პირველი მაისი ბაღებში 120 აღსაზრდელი ირიცხება (ბავშვთა მაქსიმალური რაოდენობა კი 200 აღსაზრდელია) და 32 ადამიანია დასაქმებული.

ბოლო სამი წლის განმავლობაში აბაშაში სულ 7 ახალი საბავშვო ბაღი აშენდა (სოფ. ნორიოში, წყემში, ონტოფოში, ტვირში, სეფიეთში, პირველ მაისსა და გაურყინარში). მშენებლობების გარდა რეაბილიტაცია ჩაუტარდა ძველ შენობებსაც.

გამგებლის მამუკა კვიტაშვილის განცხადებით სკოლამდელი აღზრდის სფერო აბაშის მუნიციპალიტეტში კვლავაც პრიორიტეტულად რჩება და წელს კიდევ ორი: მაცხოვრისკარისა და გეზათის საბავშვო ბაღებისათვის ახალი შენობების მშენებლობა იგეგმება.

## ინფრასტრუქტურული სამუშაოები დუშეთის მუნიციპალიტეტში

დუშეთის მუნიციპალიტეტში შემავალ სოფლებში ინტენსიურად მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული სამუშაოები, კერძოდ, ხიდების მშენებლობა. სოფ. ლაზვიაანთკარში კეთდება 24-მეტრიანი ხიდი, სოფ. საშაბუროში – 18-მეტრიანი კაპიტალური ხიდი თავისი გამტარითა და ნაპირსამაგრით, სოფ. ტონჩაში – სამანქანე ხიდი, ხოლო დუშეთის ხევზე მიმდინარეობს საცალფეხო ხიდის მშენებლობა.


სამუშაოები დუშეთის მუნიციპალიტეტში

ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაათვალიერა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვაჟა ჩოხელმა.

## დედოფლისწყარო: შირაქში თუთის ნერგები დარგეს

კომპანია ,,ასკანელი ძმების“ მიერ საქართველოს მთავრობისთვის საჩუქრად გადაცემული თუთის ასი ათასი ნერგიდან 500 ერთეული დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, კერძოდ კი შირაქის ტერიტორიაზე დაირგო. ბუჩქოვანი ჰიბრიდული ჯიშის თუთის პლანტაციების გაშენების მიზანია საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარება. ნერგების დარგვაში მონაწილეობდნენ აგრეთვე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები. საკრებულოს თავმჯდომარემ ზვიად ჯავახიშვილმა, გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ნუგზარ პაპიაშვილმა ჰიბრიდული ჯიშის თუთის ხეები კოლეგებთან ერთად დარგეს.

დედოფლისწყაროს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურებმა სოფელ არხილოსკალოში მშენებარე საზოგადოებრივი ცენტრიც დაათვალიერეს.


ამბროლაურის სტომატოლოგიური კლინიკა

## ამბროლაურში ახლად გახსნილი სტომატოლოგიური კაბინეტი ბავშვებს უფასოდ მოემსახურება

დანიური კომპანია Fair Trees-ის დაფინანსებითა და სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის ადმინისტრაციისა და ქ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ხელშეწყობით, ამბროლაურში სტომატოლოგიური კლინიკა გაიხსნა, რომელიც მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 18 წლამდე ახალგაზრდებს უფასოდ მოემსახურება.

კლინიკა აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიების შესაბამისი სამედიცინო აპარატურით, პაციენტებს კი პროფესიონალი ექიმი-სტომატოლოგი მოემსახურება.

დაწესებულებაში არსებული ინფრატრუქტურა ევროპულ სტანდარტებს აკმაყოფილებს. სტომატოლოგიური კლინიკის მოსაწყობად განხორციელდა 500 ათასი დანიური კრონის კერძო ინვესტიცია.

კომპანია Fair Trees-ის დამფუძნებელია დანიის სამეფოში საქართველოს საპატიო კონსული. მარიანე ბოლსის კომპანია ევროპაში, რაჭული გირჩის ექსპორტსაც ახორციელებს.

## მესტია: სოფლის კრება მულახში

მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შეხვდნენ მულახის მოსახლეობას. კრებაზე თემის მოსახლეობამ ძირითად პრიორიტეტულ პრობლემებად დაასახელა ცენტრალური გზიდან სოფ. ჭოლაშის ცენტრთან დამაკავშირებელი სამანქანო გზის რეაბილიტაცია, წყლის სისტემის მოწყობა, სტადიონისა და ადმინისტრაციული შენობის აშენება.

## საჩუქრები ხობის სალოტბარო სკოლას

ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის სახლში ფოლკლორის ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებმა სალოტბარო სკოლას სასწავლო ლიტერატურული კომპლექტი, კომპაქტდისკები და საკრავი ინსტრუმენტები საჩუქრად გადასცეს.

შეხვედრას სამეგრელო ზემო-სვანეთის გუბერნატორი ლევან შონია ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო.

ხობის სალოტბარო სკოლაში 120 მოსწავლე ქართულ ხალხურ სიმღერასა და გალობას ეუფლება, მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ, სახელმწიფო დაფინანსებით, სწავლა განაგრძონ თბილისის გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლეს სასწავლებელში.

შეხვედრის დასრულების შემდეგ გუბერნატორი ლევან შონია ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა და მათ ხობის მუნიციპალიტეტში დაგეგმილ და მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ესაუბრა.

## ნიადაგის კვლევა ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფლებში

სოფელ აწყურში, აგარაში, ფერსასა და კლდეში ნიადაგის უფასო კვლევები განხორციელდა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამმართველოს სპეციალისტი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად, სოციალურად დაუცველ მოსახლეობასა და იძულებით გადაადგილებულ პირებს შეხვდა.

მათ მოსახლეობას აგრონომიურ საკითხებთან დაკავშირებით უფასო კონსულტაცია გაუწიეს. სპეციალისტებმა მიწის ანალიზები,ნიადაგის მჟავიანობაზე და სამ ძირითად საკვებ ელემენტებზე – აზოტზე, ფოსფორსა და კალიუმზე აიღეს.

,,ნებისმიერ პირს შეუძლია მოგვმართოდ და უფასოდ ჩავატარებთ ნიადაგის ლაბორატორიულ კვლევას“, – განმარტა სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამმართველოს მთავარმა სპეციალისტმა ლია თედორაძემ.

## ბოლნისი: რაჭისუბანში შიდაგზების კეთილმოწყობა მიმდინარეობს

სოფელ რაჭისუბანში ამორტიზირებული ქუჩების გზის საფარის კეთილმოწყობის სამუშაოები დაიწყო. 90-იან წლებში დაგებული ასფალტი მწყობრიდან გამოვიდა. რამდენიმე ქუჩაზე ორმოული შეკეთება მიმდინარეობს, რიგ უბნებზე კი საფარის მოშანდაკება.

სამუშაოებს ბოლნისის №2 საგზაო-საექსპლოატაციო სამმართველო ასრულებს, რომელიც მეორე წელია შიდა გზების მოვლა-შენახვას ახორციელებს.

გზის კეთილმოწყობა ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და ზედამხედველობას ინფრასტრუქტურის სამსახურის თანამშრომლები უწევენ.

## ჩოხატაური: შეხვედრა სოფელ ხიდისთავის თემის მოსახლეობასთან

ჩოხატაურის გამგებელი, მუნიციპალიტეტის სხვა ხელმძღვანელ პირებთან ერთად, სოფელ ხიდისთავისა და ზენობნის მოსახლეობას შეხვდა. შეხვედრის მთავარი მიზანი იყო სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობის განხილვა და პრიორიტეტულ პროექტებზე შეთანხმება.


ჩოხატაურის გამგებელი სოფლის მაცხოვრებლებთან

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია

## ღია წერილი ედუარდ შევარდნაძეს

**თბილისი 1992 წელი**

*უსამართლო ძლიერებას საყრდენი არ აქვს ძალი,*
*უძლეველი სამუდამოდ არის მხოლოდ სამართალი.*

აკაკი წერეთელი



თქვენ იყენებდით საბჭოთა იმპერიასა და დასავლეთს შორის დამყარებულ ალიანსს თქვენი საკუთარი ქვეყნის გასანადგურებლად, მისი **ლიბანიზაციის დასაჩქარებლად,** სისხლიანი პუტჩისა და გადატრიალების მოსაწყობად. თქვენი მეცადინეობით ჩვენს წინააღმდეგ ამოქმედდა კრემლის უზარმაზარი პროპაგანდისტული მანქანა, რომლის პირისპირ **ჩვენი საინფორმაციო საშუალებები უძლური აღმოჩნდა.** პარალელურად კრემლი აძლიერებდა საქართველოში თავის მიერ შექმნილ შეიარაღებულ „ოპოზიციას“ და მის მოკავშირე კრიმინალურ ბანდებს, რომელთაც აიარაღებდით საოცარი ინტენსივობით. **ხოლო როდესაც ჩვენ კანონი ავამოქმედეთ, დასცეს განგაში პოლიტიკური რეპრესიების შესახებ.** ამასთან, თქვენ და გორბაჩოვი ყოველნაირად უჭერდით მხარს **ოს სეპარატისტებს**, რაც ხელს უწყობდა შიდა ქართლის კონფლიქტის გაღვივებას და საუკეთესო საშუალება იყო ჯარის შემოყვანისა და საქართველოს ხელახალი ანექსიისა. ამასთან, ყოველნაირად ინიღბებოდით და მალავდით კავშირს ამ მოვლენებთან. **თქვენ თითიც არ გაანძრიეთ იმისთვის, რომ ეს საფრთხე აშორებოდა საქართველოს.** შეგახსენებთ ერთადერთ სატელეფონო საუბარს, რომელიც შედგა ჩვენს შორის 1991 წლის გაზაფხულზე, როდესაც გორბაჩოვმა დააპირა საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება შიდა ქართლის მთელს ტერიტორიაზე, რაც საქართველოს ხელახალ ოკუპაციას მოსწავებდა. მაშინ ჯერ კიდევ ვფიქრობდი, რომ შეგებრალებოდათ თქვენი ქვეყანა და სწორ ინფორმაციას მაინც მივიღებდი თქვენგან. მითხარით, რომ უნდა დამერეკა გორბაჩოვისთვის და მეთხოვა შეეჩერებინა საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება. **ეს კი იმას მოასწავებდა, რომ გორბაჩოვი სანაცვლოდ მომთხოვდა სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას, ამიტომ, ცხადია, აღარ დავურეკე მას.** შემდეგ მე მოვითხოვე თქვენგან დაგვხმარებოდით საქართველოს გამოყოფაში სსრ კავშირიდან, თანაც შეგახსენეთ, რომ თქვენ თქვენი სამშობლოს მეტი არაფერი დაგრჩენოდათ და უნდა გეფიქრათ მის კეთილდღეობაზე. **„დამანებეთ თავი, მე ერთი პენსიონერი კაცი ვარ და ნუ მთხოვთ იმაზე მეტს, რაც შემიძლია“,** — ასეთი იყო თქვენი პასუხი, მე გკითხეთ აგრეთვე, მიეცით თუ არა ხმა საქართველოს დამოუკიდებლობას 31 მარტის რეფერენდუმზე, რაზედაც თქვენ დუმილით მიპასუხეთ.

ახლა საყოველთაოდ ცნობილია, რომ თქვენ **მხოლოდ 17 მარტის ე. წ. საკავშირო რეფერენდუმში მიიღეთ მონაწილეობა და ხმა მიეცით საბჭოთა კავშირის შენარჩუნებას, ხოლო 31 მარტს საქართველო და მისი დამოუკიდებლობა არც გაგხსენებიათ.**

მაგრამ თქვენი ყველაზე დიდი დანაშაული მაინც არის **საქართველოში კრიმინალური რევოლუციის შემზადება და განხორციელება.** რასაც პრეცედენტი არ გააჩნია მსოფლიო ისტორიაში. თქვენ, ერთ დროს დამნაშავეობასთან ვითომდაც უკომპრომისო მებრძოლი, დაუკავშირდით დამნაშავეთა სამყაროს და მისი მეშვეობით მოახდინეთ გადატრიალება საქართველოში. დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლები ჯ. იოსელიანი თავისი „მხედრიონით“ და თ. კიტოვანი თავისი კრიმინალური „გვარდიით“, რომელმაც უღალატა კანონიერ ხელისუფლებას, თქვენი დასაყრდენი არიან დღესაც. თქვენს მიერ შექმნილმა კრიმინალურმა ხუნტამ საქართველოში „ზაკვოს“ ჯარების დახმარებით დაატრიალა იგივე, რასაც სჩადიოდნენ მურვან-ყრუს, ჯალალედინის, თემურ-ლენგის, შაჰ-აბასისა და აღა-მაჰმად ხანის ურდოები. ხუნტაში დამნაშავე სამყაროსთან ერთად გაერთიანდნენ მაფიოზი პარტოკრატები და თქვენს მიერ პრივილეგირებული კომუნისტური ინტელიგენციის წარმომადგენლები, ის ინტელიგენტები, რომელთა მიერ იარაღის ხელში აღებას თქვენ მიესალმეთ თვითმფრინავის ტრაპიდანვე საქართველოში ჩამოსვლისას. აი, ეს სოციალური ფენები, რომელთაც თქვენ ეყრდნობით დღეს და რომელთა ხელითაც აპირებთ საქართველოს მომავლის „აშენებას“.

**საქართველოს ციხეებიდან და კოლონიებიდან თქვენი „ამნისტიით“ გამოშვებული 4 ათასამდე კრიმინალის დიქტატის ქვეშ არის დღეს მილიცია და პროკურატურა, მთელი სამართალდამცავი ორგანოები, რომელნიც ხელში უწყობენ მათ ახალ-ახალი სისხლიანი დანაშაულების ჩადენაში. თქვენი და ამ კრიმინალების დავალებით შეთითხნა პროკურატურამ „საქმეები“ ჩემს წინააღმდეგ, უზენაესი საბჭოს დეპუტატებისა და სხვა თანამდებობის პირების წინააღმდეგ, ხოლო ნამდვილ დამნაშავეთა საქმეები გააუქმა და მათი რეაბილიტაცია მოახდინა. პატიმრობიდან გაათავისუფლა ქართველი ხალხის მოსისხლე მტერი, ბოროტმოქმედი ტ. კულუმბეგოვი, რამაც ახალი აღმავლობა გამოიწვია ე. წ. სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ-ტერორისტული მოძრაობისა და საბოლოოდ დაგვაკარგვინა შიდა ქართლი.**

თქვენი ხუნტა პირველი დღეებიდანვე არბევდა და არბევს მშვიდობიან საპროტესტო მიტინგებსა და დემონსტრაციებს. საქართველოში, იანვარ-თებერვალში „გვარდიისა“ და „მხედრიონის“ კრიმინალებმა დახოცეს და დაჭრეს ასობით დემონსტრანტი, ხოლო შემდეგ დამალეს მათ მიერ დაღვრილი სისხლი, აუკრძალეს რა ჯანმრთელობის სამინისტროს გარდაცვლილთა გვარების გახმაურება, მაგრამ უნდა გახსოვდეთ, რომ ეს გვარები ყველასთვის ცნობილია და ადრე თუ გვიან მათი მხეცური მკვლელობისათვის მოგეთხოვებნათ პასუხი ყველას.

თქვენმა ხუნტამ საქართველოში გააჩაღა ძმათამკვლელი სამოქალაქო ომი და, რაც ყველაზე საგანგაშოა, არნახულად გააღვივა კუთხური შუღლი. **ფოთის, სენაკისა და ზუგდიდის „დასალაშქრავად“ თქვენ გურულებს, იმერლებსა და კახელებს აგზავნით, თითქოს უცხო ქვეყანას იპყრობდეთ, ძარცვავთ, არბევთ და აწიოკებთ მოსახლეობას, ხოლო როდესაც ზუგდიდის მოსახლეობა აჯანყდა და ქალაქი გაათავისუფლა „მხედრიონის“ და „გვარდიის“ ბანდებისაგან, თანაც ტყვედ აიყვანა მრავალი მათგანი, ამის საპასუხოდ თქვენ თბილისში დააწვევინეთ კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმი, თითქოს იგი მარტო სამეგრელოს კუთვნილება ყოფილიყო. როდესაც ზუგდიდის მკვიდრი 50-მდე შვილმკვდარი დედა დემონატრაციაზე გამოვიდა დაღუპული შვილების პორტრეტებით ხელში თქვენმა „შეიარაღებულმა“ ძალებმა ისინი დაარბიეს, სასტიკად სცემეს და შვილების პორტრეტები თავზე გადაამტვრიეს. აი, თქვენი „ჰუმანიზმის“, „პატრიოტიზმის“ და „დემოკრატიის“ დამადასტურებელი ნიშნები.**

დღეს მოსკოვის საინფორმაციო საშუალებებით ხდება თქვენი რეკლამირება, როგორც პოლიტიკოსისა, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პოზიტიურ პროცესებში. თქვენი განცხადება იმის შესახებ, რომ თქვენ დაიწყეთ გარდაქმნა, გაათავისუფლეთ აღმოსავლეთი ევროპა და ბალტიისპირეთი, გააერთიანეთ გერმანია, განუზომლად გადაჭარბებული შეფასებაა თქვენი პიროვნული როლისა. ეგ ყოველივე რონალ რეიგანის „სოი“-ს და დასავლეთის პოლიტიკის, აგრეთვე საბჭოთა კავშირის დისიდენტური მოძრაობის დიდი გამარჯვებაა უწინარეს ყოვლისა, რამაც აიძულა გორბაჩოვის მთავრობა წასულიყო უდიდეს დათმობებზე. თქვენ და გორბაჩოვმა, ფაქტობრივად, მხოლოდ უკან დაიხიეთ ძალის წინაშე და ხელი მოაწერეთ ფაქტობრივ კაპიტულაციაზე, რაც დიდ დიპლომატიურ გამარჯვებაზე ვერ მეტყველებს. სასაცილოა დღეს თქვენს მიერ იმის განცხადება, რომ ეგ ყოველივე თქვენ გააკეთეთ, რათა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მიეღწია. საქართველოს დამოუკიდებლობა რომ გდომოდათ, საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე ყოფნისას ესოდენის თავდადებით არ იბრძოლებდით საბჭოთა კავშირის შენარჩუნებისთვის, ნებაყოფლობით არ დაბრუნდებოდით შემდგომში ისევ საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე და არ განაცხადებდით, რომ საჭიროა სამშობლოს (ე. ი. სსრკ-ს) ხსნა. საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრე რომ ყოფილიყავით, მონაწილეობას მიიღებდით 31 მარტის დამოუკიდებლობის რეფერენდუმში. ამასთან, დასავლეთის ქვეყნებში დიპლომატიური მისიით მოგზაურობისას **ერთხელ მაინც განაცხადებდით, რომ ეროვნებით ქართველი ხართ და რომ საქართველო დაპყრობილი ქვეყანაა და იბრძვის დამოუკიდებლობისათვის, მაგრამ თქვენ ქართველად არასოდეს ჩაგითვლიათ თავი, ვინაიდან მუდამ იყავით ნამდვილი „ჰომო სოვეტიკუს“, რაც თქვენ თავი აღიარეთ იტალიური გაზეთის „კორიერე დე ლა სიერასთვის„ მიცემულ ინტერვიუში.**

სასაცილოა აგრეთვე იმის მტკიცება, რომ თურმე გენშერის მიერ საქართველოში ჩამოტანილი კრედიტი 10 მილიონი მარკის ოდენობით მოხმარდება „დემოკრატიული ინსტიტუტების“ განმტკიცებას, რაც თქვენმა მოკავშირემ, ოსტანკინოს დეზინფორმცენტრმა გვამცნო. ყველასათვის ცნობილია, თუ რა „ინსტიტუტებია“, „მხედრიონი“, „გვარდია“, „სამხედრო საბჭო“ ანუ ხუნტა, რომელიც ცეცხლით და მახვილით ანადგურებს დემოკრატიას საქართველოში, ძარცვავს და არბევს მოსახლეობას, რამაც საქართველო მსოფლიოში ეკონომიკურად ყველაზე გაღატაკებულ ქვეყნად აქცია, სადაც ყოველდღიურად უკვე მრავალი ადამიანი იღუპება შიმშილით (საქართველოს რადიოს ცნობა). რაც შეეხება დღევანდელი საქართველოს უკანონო რეჟიმის ცნობას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მიერ, ეს იმპერიის მხარდაჭერისა და თქვენი დემაგოგიისა და დეზინფორმაციის ხელოვნების შედეგია. მაგრამ გახსოვდეთ: ჯერ საკუთარმა ხალხმა უნდა გცნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, არავითარი ფასი არა აქვს უცხო ქვეყნების მხრივ ცნობას. სანუგეშოა, რომ ის ქვეყნები, რომელთაც გადატრიალებამდე სცნეს საქართველოს კანონიერი ხელისუფლება, აღარ აპირებენ თქვენი უკანონო რეჟიმის ცნობას, **საკუთარი ხალხი კი თქვენ არ გცნობთ არასოდეს.**

(გაგრძელება იქნება)

# კომპანია „ატინაკი“ უკვე საქართველოშია

28 მარტს „რედისონში“ თურქული კომპანია „ატინაკის“ საზოგადოებისთვის წარდგინების ღონისძიება გაიმართა.

პრეზენტაცია საქართველოში „ატინაკ’’-ის წარმომადგენელმა **ირაკლი კერესელიძემ** გახსნა და დამსწრეებს კომპანიის საქმიანობის თაობაზე დეტალური ინფორმაცია მიაწოდა.

მისივე თქმით, ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოლაპარაკება ფოთში მასშტაბური პროექტის, წალგაყვანილობის სიტემის სრული რეკონსტრუქციის განხორციელების შესახებ.

**ირაკლი კერესელიძე:** კომპანია „ატინაკი“ გამოირჩევა მაღალი პროფესიონალიზმით, აქვს მოღვაწეობის 20 წლის გამოცდილება. ატარებს სამუშაოებს მოლდოვაში, აზერბაიჯანში, საუდის არაბეთში, თვით თურქეთში. კომპანიის მიერ შესრულებული სამუშაოები ყოველთვის მაღალეფექტური და თანამედროვე სტანდარტებისადმი შესაბამისია.

პროფესიულ სფეროში ცნობადობისა და რეპუტაციის მქონე ეს კომპანია წყალგაყვანილობების, საკანალიზაციო სისტემების დამონტაჟება-წმენდა-რეაბილიტაციისა და მსგავს სპეციფიკურ სამუშაოებს ასრულებს.

„ატინაკი“ აპირებს საქართველოში დამკვიდრდეს და გახდეს წყალგაყვანილობის სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაციის წამყვანი ოპერატორი.

წლეულს კომპანია წყალგაყვანილობის სარეაბილიტაციო პროექტს განახორციელებს. ასეთი მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების იმპლემენტირების დიდი გამოცდილება აქვს, როგორც გითხარით, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში.

„ატინაკი“ 1994 წელს დაფუძნდა.

საქმიანობის დასაწყისში კომპანია ახორციელებდა სასმელი წყლის მილსადენების მონტაჟს, წყალსაცავების მშენებლობას, წყალმომარაგების ობიექტების შექმნა-დამონტაჟებას.

კომპანიას აქვს მრავალი ჯილდო და სერტიფიკატი.

„ატინაკში“ მოღვაწეობენ მრავალმხრივი და მრავალწლოვანი გამოცდილების მქონე პროფესიონალები საქმიანობის ყველა სექტორში, რაც განაპირობებს კომპანიის წარმატებას მსოფლიოში.

კომპანიის რეალური შემოსავალი 2014 წელს 17 300 000 ამერიკული დოლარი იყო, რაც ნიშნავს, რომ „ატინაკს“ უდიდესი მასშტაბის სამუშაოები აქვს ჩატარებული.







გვინდა აღვნიშნოთ, თვით კომპანიის სტრატეგიის შესახებ, რასაც, როგორც უკვე ვთქვი, ისინი 1994 წლიდან ახორციელებენ. როცა მსოფლიოში სადმე მსგავსი ტიპის პრობლემა ჩნდება, ყველა ცდილობს „ატინაკს“ დაუკავშირდეს და მას განახორციელებინოს სამუშაოები.

„ატინაკი“ უახლოეს ხანებში სადებიუტო პროექტს განახორციელებს ქალაქ ფოთში.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველო ხდება იმ ტიპის ქვეყანა, სადაც ასეთი გიგანტი კომპანია მკვიდრდება. ეს ნიშნავს, რომ ჩვენთან უკვე არის შესაბამისი გარემო, ბაზარი, უსაფრთხოა საქმიანობის გაშლა და ა. შ.

კომპანია საკუთარ თავს საქართველოს სახელმწიფოსა და ხელისუფლების მეგობრად განიხილავს, შესაბამისად, პრიორიტეტები ლაგდება სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

კომპანია მენეჯმენტის თვალსაზრისით დომინანტი იქნება, პროფესიული პოტენციალი კომპანიის წარმომადგენლებით იქნება დაკომპლექტებული. კომპანიას ხელმძღვანელობს გამგეობის თავმჯდომარე **ატილა აკალანი,** მისი მოადგილე გახლავთ **ინჯი აკალანი**. გამორჩეული ადგილი უკავია კომპანიაში ეკონომისტს, ბატონ **ტუფან უზუნალას**. — დასძინა **ირაკლი კერესელიძემ**.

პრეზენტაციას თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი** და წარმომადგენლობითი ორგანოს მაჟორიტარი წევრი ჯაბა ჯიშკარიანიც დაესწრნენ.

გიორგი ალიბეგაშვილი ქართულ ბაზარზე ახალი კომპანიის შემოსვლას მიესალმა. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ მოხარულია „ატინაკის“ შემოსვლით საქართველოში, რადგან იგი გამოცდილი საინჟინრო-სამშენებლო, სამრეწველო და სავაჭრო კომპანიაა, რომლის მიერ მსოფლიოს მასშტაბით შესრულებული სამუშაოები მაქსიმალური ეფექტურობით გამოირჩევა. პრეზენტაციას კომპანია „ატინაკის“ პრეზიდენტი და დამფუძნებელი **ატილა აკალანი** და პროექტების ხელმძღვანელი **გოკან გოგჩაი** ესწრებოდნენ, რომლებმაც ჟურნალისტების შეკითხვებს ამომწურავად უპასუხეს.



**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18


გოქან ნოლაი

## გოქან ნოლაი:

# ჩვენ გვჭირდება ადამიანური რესურსი, პარტნიორული ურთიერთობები ქართველებთან, დანარჩენი „ატინაკის“ საქმეა!

***გვესაუბრება წყალგაყვანილობებისა და საკანალიზაციო სისტემების სამონტაჟო-სარეაბილიტაციო საერთაშორისო თურქული კომპანია „ატინაკის“ ძირითადი პროექტების კოორდინატორი გოქან ნოლაი:***

**— ბატონო გოქან, ჩვენი გაზეთის მკითხველებს რამდენიმე კვირის წინ მოვუყევით თქვენი კომპანიის შესახებ. მაშინ უკვე დაგეგმილი იყო სამუშაოები ფოთში.**

— პირველ რიგში, დიდი მადლობა, რომ მომეცით საშუალება გავაცნო ჩვენი კომპანიის საქმიანობა ქართველ საზოგადოებას.

კომპანია „ატინაკთან“ ერთად 1997 წლიდან ვმუშაობ. პროფესიით ინჟინერი გახლავართ და ჩემი პროფესიული ცოდნა სჭირდება კომპანიას.

როდესაც ახალ პროექტზე ვიწყებთ მუშაობას, ჩვენთვის მნიშვნელოვანი არაა მოგება. ჩვენ უფრო გვაინტერესებს ახალი გამოცდილება, ის, თუ რამდენად საინტერესოა თვით პროექტი, რა სირთულეები ახლავს და ა.შ.

**— კერძოდ, რას გულისხმობთ, როცა პროექტის სირთულესა და საინტერესოობას უსვამთ ხაზს?**

— იგივე ფოთის მაგალითზე გეტყვით. ფოთში უნდა გამოვცვალოთ კანალიზაციის და წყალგაყვანილობის მთელი სისტემა. მოგეხსენებათ, ფოთი სპეციფიკურია გეოგრაფიული მდებარეობით, ამიტომ წყლის მიმწოდებელი სადგურები ისე უნდა განლაგდეს, რომ, ფაქტობრივად, წყალი თვითდინებით წავიდეს და ზედმეტი წნევა არ დასჭირდეს. ამ შემთხვევაში, ამას ვგულისხმობდი, როცა შესასრულებელი სამუშაოების საინტერესოობაზე ვლაპარაკობდი.

მაგალითად, ჩვენ ვმუშაობთ ლიბიაში. იქ ძალიან მშრალი ნიადაგია და სპეციფიკურ სამუშაოებს საჭიროებს. თუმცა ჩვენთვის, ცხადია, დაბრკოლებებს არ შეუქმნია იმის განცდა, რომ სამუშაოებისთვის თავი დაგვენებებინა. როცა სამუშაოები დამთავრდა და ლიბიამ წყალი მიიღო, ყოველგვარ ანაზღაურებაზე მეტი იყო იმ ადამიანების სახეები, რომლებიც მანამდე ელემენტარული საჭიროებისთვის შორი მანძილებიდან ვედროებით ეზიდებოდნენ წყალს. ჩვენ, ჩვენი კომპანიის სხვა წარმომადგენლებს, ეს გვაძლევს უდიდეს სტიმულს და იშვიათი კმაყოფილების განცდას, რომ ხალხისთვის სასარგებლო საქმეს ვაკეთებთ.

იცით, ალბათ, რომ ძალიან უჭირს უგანდას, უგანდის სახელმწიფოს და მიუხედავად იმისა, რომ იქ აუცილებელი სამუშაოები იყო ჩასატარებელი, ხელისუფლებამ ვერ მიგვიწვია. მაშინ ჩვენ თვითონ გადავწყვიტეთ უფასოდ, ადამიანურად დავხმარებოდით მოსახლეობას.

ეს ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია.

ვაპირებთ უგანდაში თურქეთიდან ჩავიყვანოთ ტექნიკა, სპეციალისტები, ჩავატარებთ სამუშაოებს. უკვე მოვილაპარაკეთ, რომ უგანდის ხელისუფლება 50 წლის შემდეგ გადაუხდის ჩვენს კომპანიას იმ სამუშაოების საფასურს, რასაც იქ ჩავატარებთ. ეს არ არის კომერციულ მოგებაზე გათვლილი ქმედება, ეს არის საჩუქარი უგანდისთვის.

**— საქართველო არ არის უგანდის მდგომარეობაში, მაგრამ ეკონომიკური პრობლემები მრავლად გვაქვს. რაიმე შეღავათები ხომ**



**არ იგეგმება ჩვენთან და თუკი შეღავათებით ვისარგებლებთ, მომავალში გადახდის რა ფორმას შემოგვთავაზებთ?**

— როდესაც ფოთის პროექტზე დავიწყეთ მუშაობა, აღმოჩნდა, რომ პროექტის დასრულების შემდეგ 28 წყალსაქაჩი უნდა აშენებულიყო და ეს იმდენად მიბმული იყო ერთმანეთზე, ერთიც რომ გამოსულიყო მწყობრიდან, ყველა დანადგარს მომენტალურად თიშავდა.

ფოთის პროექტი კარგად შევისწავლეთ და მივხვდით, რომ ხელისუფლებას უნდა ავუხსნათ, რომ აზიის განვითარების ბანკის მიერ ფოთში განხორციელებული სამუშაოებისთვის ანაზღაურება წყალში გადაყრილი ფულია და პატარა შეფერხების შემთხვევაში, ყველაფერი გაფუჭდებოდა.

ჩვენს კომპანიას 21-წლიანი გამოცდილება აქვს. ამ გამოცდილებიდან გამომდინარე, შეგვიძლია საქართველოს მთავრობას ვუთხრათ – შეიმუშავეთ პროექტი უფრო სერიოზულად. დანარჩენი ჩვენზეა.

აქვე უნდა ვთქვა: ფოთის პროექტი არ არის ჩვენი კომპანიისთვის მომგებიანი, თუმცა მაინც მოხარული ვართ, რადგან საქართველო არის ე. წ. კარიბჭე რეგიონში და ეს კარიბჭე ფოთიდან იხსნება.

კომპანია შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობით არის შეიარაღებული. ამ ტექნიკას სრულად ჩამოვიტანთ და ცენტრალურ ოფისს თბილისში გავხსნით. რა თქმა უნდა, ოფისი გვექნება ფოთშიც, სადაც პირველადი ხასიათის მნიშვნელოვან სამუშაოებს განვახორციელებთ. ნებისმიერ ინფრასტრუქტურულ პროექტს საკუთარი ძალებით შევასრულებთ. არ გვჭირდება კონტრაქტორები და ქვეკონტრაქტორები. თუმცა ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ არ გვჭირდება ადამიანური რესურსი, ურთიერთობები, კონტაქტები საქართველოში ქართველებთან. ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

ფოთის პროექტში რომ ჩავერთეთ, არავითარი წინასწარი სპეციალური გეგმა არ არსებობდა. ჩვენ შევხედეთ ძალიან პრაგმატულად, როგორც სოციალური ასევე ეკონომიკური და პრაქტიკული მნიშვნელობით. საქართველოს მთავრობას ვაჩვენეთ, რომ ჩვენი პროექტი ბევრად უფრო ეფექტურია. რაც მთავარია, ეს ცოცხალი პროექტია და არ არის, როგორც პროექტი მხოლოდ ქაღალდზე.

საქართველოში წყალგაყვანილობების სისტემები, ზოგადად, პრობლემურია და ვფიქრობთ, რომ ჩვენთვის აქ სამუშაო ძალიან ბევრი იქნება.

**— ამ სამუშაოებში თუ იქნება ჩართული საქართველოს მოსახლეობა?**

— მაგალითად, ფოთის პროექტის განხორციელებისთვის 350 ადამიანი მუდმივად დაგვჭირდება, მაქსიმუმ, სამი წლის განმავლობაში. ვვარაუდობთ, რომ მათ შორის 250-ზე მეტი საქართველოს მოქალაქე იქნება.

**— სპეციალური განათლება არ დასჭირდებათ მუშებს?**

— იმ 250 ადამიანს, რომლებსაც დავასაქმებთ, შევასწავლით ყველანაირი ტიპის სამუშაოს, რაც საჭირო და აუცილებელი იქნება კონკრეტული სამუშაოს შესასრულებლად. არ ჩამოვიყვანთ მუშახელს თურქეთიდან. ყველა ტიპის სამუშაოს ადგილზე შევასწავლით კომპანიაში დასაქმებულებს.

**— საშუალო ხელფასი რამდენი შეიძლება ჰქონდეს მუშას?**

— ესაა ბიზნესი და ანაზღაურებას ასე ვერ განვსაზღვრავთ. გააჩნია სამუშაოთა სპეციფიკას, ხანგრძლივობას, სირთულეს, თუმცა უნდა ითქვას, რომ თუკი სხვა უცხოური კომპანიები შრომის ანაზღაურებაში, დავუშვათ, იხდიან დღეში 40 ლარს, ჩვენ 45-ს გადავუხდით, რადგან კომპანია „ატინაკი“ გახლავთ მსოფლიო ბრენდი, ჩვენთვის გაკეთებული სამუშაოები პრესტიჟის საქმეა, ვცდილობთ, ანაზღაურება იყოს რეალობასთან მიახლოებული თანხა, ოღონდ სხვა კომპანიებზე მეტი გადავიხადოთ, რათა მუშა ან სხვა კვალიფიცირებული სპეციალისტი მოტივირებული იყოს სამუშაო საუკეთესოდ შეასრულოს.

***ირაკლი კერესელიძე, კომპანია „ატინაკის“ წარმომადგენელი საქართველოში:*** იმის გარდა, რომ ჩვენი მოქალაქეები მიიღებენ რეგულარულ ანაზღაურებას, იქნებიან დაზღვეული და დაცული ყოველგვარი მოულოდნელობისგან ჯანმრთელობის ან სხვა თვალსაზრისით.

ჩვენთან დასაქმებულ თითოეულ ადამიანთან გვექნება საქართველოს კანონმდებლობასთან მისადაგებული შრომის კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები. შრომის უსაფრთხოების ყველა მოთხოვნა დაცული იქნება.

„ატინაკის“ მაღალი სტანდარტი არ არის მხოლოდ ის, რომ კომპანია მაღალხარისხიან სამუშაოებს ასრულებს. ჩვენი სტანდარტი გულისხმობს სრულ პაკეტს, რაც უკავშირდება შრომით საქმიანობას. ჩვენი ნაბიჯები საქართველოში სრულ თანხვედრაში იქნება ქვეყნის კანონმდებლობასთან.

**— „ატინაკის“ მიერ განხორციელებული სამუშაოებს რამდენი ხნის გამძლეობა აქვს. ჩვენ გვაქვს გამოცდილება, მოკლე ხანში ისევ საჭირო ხდება უკვე გაკეთებულის რეაბილიტაცია.**

— პროექტის გაშვებიდან ერთი წლის განმავლობაში ოპერირებას „ატინაკი“ განახორციელებს. ამ ხნის განმავლობაში ასწავლიან, როგორ უნდა მართონ სისტემები, ანუ შესაბამის სამსახურებს, ვისაც გადასცემენ ოპერირებისთვის, შეასწავლიან მართვის ტექნოლოგიებს.

**გოქან ნოლაი:** – ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოების გამძლეობა, მინიმუმ, 20 წელიწადია და რაც ძალიან მნიშვნელოვანია: მაგალითად, ფოთის პროექტი ქალაქის ახლანდელ მდგომარეობაზე იყო გათვლილი, მაგრამ ჩვენ გავითვალისწინეთ ფოთის რეალობა წლების შემდეგ – მოსახლეობის ზრდა, მოთხოვნილებების სიჭარბე და ა. შ. სამუშაოები, გამძლეობის თვალსაზრისით, ათეულ წლებზე განვსაზღვრეთ და ფოთის მოსახლეობის რაოდენობრივი ზრდა ვერ შეაფერხებს ჩვენს მიერ ჩატარებული სამუშაოების რენტაბელობას. მინიმუმ 20 წლის განმავლობაში „ატინაკის“ მიერ შესრულებული სამუშაოების შედეგად წყალგაყვანილობები ეფექტურად მოემსახურება ქალაქს.

**— თუ გაქვთ კარგად შესწავლილი ქართული ნიადაგის სპეციფიკურობა და ბუნებრივი პირობები. ხომ არ იქნება დამაბრკოლებელი, მაგალითად, ქალაქ ფოთის გეოგრაფიული მდებარეობა სამუშაოების შესრულებისას?**

**ირაკლი კერესელიძე:** – შესწავლილია რელიეფი, მიწის ხარისხი და თავისებურებანი. „ატინაკი“ არ აშენებს, მაგალითად, უბრალოდ, სახლს, ეს არის რთული სისტემები. ამ სისტემებმა შემდეგ წლების განმავლობაში უნდა იმუშაოს. შესაბამისად, ყველაფერი უნდა იყოს გათვალისწინებული, გათვლილი, წინასწარ განსაზღვრული და ასეც არის – კომპანია ყველა დეტალს გულმოდგინედ სწავლობს.

**— მადლობას გიხდით, რომ ასე ვრცლად გვესაუბრეთ. იმედს ვიტოვებთ, რომ ხშირად შეგხვდებით და იმის გარდა, რომ თქვენგან ინფორმაციას მივიღებთ სამუშაოების შესრულების შესახებ, ვიქ**


ირაკლი კერესელიძე

**ნებით ერთგვარი მოთვალთვალე ყველა იმ საქმიანობის, რასაც ჩაატარებთ და შესრულდება თუ არა ყველაფერი ისე, როგორც ჰპირდებით საქართველოს მოსახლეობას.**

**გოქან ნოლაი:** – მოხარული ვარ თანამშრომლობით. ჩვენი კომპანია ღიაა ამ ურთიერთობისთვის. ნებისმიერ თემაზე მოგაწვდით ამომწურავ ინფორმაციას, რაც დაგაინტერესებთ, რაც საჭირო და აუცილებელი იქნება საქართველოს მოსახლეობისთვის.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# მენჯის მთავარანგელოზთა სახელობის ტაძარი

ტაძარი აშენებულია მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზთა სახელზე. იგი აგებულია ღირსი მამა – ალექსი ბერის (შუშანია) მიერ 1908 წელს, უხსოვარ დროში არსებული ამავე სახელობის ტაძრის ადგილზე. ამავე ტაძრის ეზოში მდებარე მისივე სახელობის ეკლესიაში არის დაკრძალული წმინდა ბერი ალექსი, ამ სავანის აღმდგენელი და აღმშენებელი. ღირსი მამა ალექსი დაიბადა 1851 წლის 23 სექტემბერს (ძვ. სტილით) სოფელ ნოქალაქევში ღვთისმორწმუნე მშობელთა – ლევან შუშანიასა და ელენე შავდიას ოჯახში. ალექსი ბერი მღვდელმონაზვნად ხელდასმულია 1881 წელს. 1892 წლის





ივნისში, რამდენიმე მოსწავლესთან ერთად ალექსი ბერი დაემკვიდრა მთავარანგელოზთა კუნძულზე, როგორც უწოდებდნენ იმ ადგილს. ძველი ეკლესია თავისი ხარჯებით გადახურა, კედლები მოაშენა და მოაწყო საძირკვლად. ცხოვრობდა პირადი შრომით. შემდგომ დაიწყო ახალი ქვითკირის ეკლესიის მშენებლობა. 1898 წლიდან იგი სრულიად ჩაიკეტა თავის სავანეში და სიკვდილამდე ეწეოდა საეკლესიო დაყუდებულ ცხოვრებას. გარეშე მნახველს იღებდა მხოლოდ შაბათ-კვარაობით. დროს ლოცვასა და სამწერლობოო მუშაობაში ატარებდა.

განმარტოებული მონაზვნური ცხოვრების მიუხედავად, ალექსი ბერი უაღრესად საზოგადოებრივი პიროვნება იყო. ხშირად მის სენაკში საინტერესო საუბრები და კამათი იმართებოდა სარწმუნეობრივ-საზოგადოებრივ საკითხებზე. ეწეოდა ლიტერატურულ მოღვაწეობას, მისი ნაშრომები ცალკე წიგნებად გამოდიოდა. 1903 წელს ალექსი ბერი თავისი ხის დიდი ჯვრით გზაში შეხვდა რუსიფიკატორული პოლიტიკის გამტარებელ ეგზარქოს ალექსის ცნობილ ვოსტორგოვთან ერთად, რომლებიც ცდილობდნენ სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენის სწავლების ამოღებას. მან საპროტესტო წერილი გადასცა ეგზარქოსს. დიდი პატივისცემით მოსილი ბერის საჯარო პროტესტმა დააფიქრა იგი, იქვე დაამშვიდა და აღუთქვა, ეს ჭორია, არ მოხდებაო. ცხოვრების უკანასკნელ წლებში ალექსი ბერი მძიმედ დაავადდა და 1923 წლის 31 იანვარს 70 წლის ასაკში გარდაიცვალა. საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ 1995 წელს იგი წმინდანად შერაცხა და ხსენების დღედ 31 იანვარი დააწესა. კომუნისტური მმართველობის პერიოდში შუშანიების სავანე შრომით, რუდუნებით, განსაცდელითა და გმირული დათმენით შეინარჩუნეს ალექსი ბერის ბიძაშვილებმა: იღუმენია ფავსტომ და სქიმონაზონმა აკეფსიმამ. შემდგომ პერიოდში კი მონაზონთა გაზრდილმა დებმა – ზოია და ნინა შუშანიებმა. 1981 წლის ნოემბრიდან მენჯის სავანის წინამძღვარია არქიმანდრიტი მელქისედეკი (მიქავა). ტაძრის დღესასწაულია 21 ნოემბერი.

**ანასტასია ბაკურაძე** და **მარიამ ოდოსაშვილი** ჯერ 5 და 6 წლისანი არიან, მაგრამ საერთაშორისო მასშტაბით უკვე მოიპოვეს სახელი. ანასტასიამ „მსოფლიოს პრინცესას“ სახელი დაისაკუთრა საერთაშორისო კონკურსზე, მარიამმა კი შარშან ბულგარეთში და თურქეთში, ანტალიაში, ასევე საერთაშორისო კონკურსზე მეორე ადგილი დაიკავა.

ჩვენი თანამემაულე ორივე გოგონა წლეულს ზაფხულში, როგორც კონკურსში გამარჯვებული და საპრიზო ადგილის მფლობელი, ბულგარეთში საერთაშორისო კონკურსზე ჟიურის წევრებად არიან მიწვეული.

„პატარა პრინცესები“ გაარძელებენ თუ არა სამოდელო საქმიანობას, ამას მომავალი გვიჩვენებს, მაგრამ მათი ამჟამინდელი წარმატება ნამდვილად გვახარებს. მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება მათი სასქმიანობა, ისინი მონაწილეობენ ფილმებში, კლიპებსა და ფოტოსესიებში. ნიჭიერ თაობას კი უფროსების მხრიდან ხელშეწყობა და მხარდაჭერა სჭირდება.








**შენ შეგიძლია დაეხმარო პატარა ანის შენი ერთი ზარით**

ივსება ის ყულაბა, სადაც უამრავი შენნაირი კეთილი ადამიანი იღებს მონაწილეობას პატარა ანის გამოჯანმრთელებისკენ მიმავალ გზაზე. ჩვენ ყველა ერთად აუცილებლად მივაღწევთ შედეგს!

0901701032 (დარეკეთ ნებისმიერი ქსელიდან)

GE54TB7970845061600003 მიმღები: მაია არუთინოვი;
კოდი: TBCBGE22 თიბისი ბანკი


ISSN 2233-3983

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39.
E-mail: asavaliprint@yahoo.com